

652/
1968/2

საქართველო
ბიბლიოთეკა

საბჭოთა-საქართველო

საქართველო

98-11

1968 4

ლიტერატურული

4

საქართველო

1968

ივლინი — აბვიანი

ლიტერატურულ-მსაფუძვლი და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები

საქართველოს მფარველთა კავშირის
აზარის განყოფილების ორგანო



ნაკო, ნაკონი...

საკანში მაღალი ახალგაზრდა ოფიცერი შემოვიდა ორი მეციხოვნის თანხლებით. ტუსალები ფეხზე წამოიშალნენ.

— რომელია აბაშიძე? — იკითხა ოფიცერმა.

მკვრივი, ფართომხარბეჭიანი პატიმარი წარუდგა და მიაჩერდა.

— ნუთუ ვერ მიცნო, — გაივლო გულში პატიმარმა.

— თქვენი საჩივარი მოვიდა, რას ითხოვთ? — ჰკითხა ოფიცერმა.

— ბევრს არაფერს, სუფთა წყალსა და ხეირიან ნარს, — მშვიდად მიუგო პატიმარმა და დასძინა:

— ვიდრე ჩვენი დანაშაული გაურკვეველია, ღირსებას ნუ ჩამოგვართმევთ.

— იქნებ გვიბრძანოთ ხალიჩები და ატლასის ბალიშები მოგიფინოთ, — დაცინვით უპასუხა ოფიცერმა და ფეხზე კოხტად მორგებული ჩექმის წვერით ნარის კიდე ასწია. — არც ისე დასაწუნი ჩანს.

— ნახევარი სიცოცხლე ზედ გამიტარებია, ცნობა არ მეშლება! — ოღნავ ხმას აუწია პატიმარმა, — ჩვენ კიდეც მოვითმენთ, მაგრამ დროულ კაცს მაინც ეცით პატივი.

ოფიცერმა მხერა თეთრწვერა მოხუცზე შეაჩერა და მეციხოვნეებს უბრძანა:

— შეუცვალეთ!

მეციხოვნეებმა სწრაფად გაიტანეს ნარები საკანიდან.

ოფიცერი უცებ ერთი ნახტომით პატიმრის გვერდით გაჩნდა, რევოლვერი მიაჩეჩა და წასჩურჩულა: — მემედ-ეფენდი, თოკი ნარში იქნება დამალული, ამაღამვე გაიპარებით, ციხის მცველთა რაზმის უფროსი ჩვენია... შემდეგ ლაზებში გადახვალთ, მეთევზეებთან... აბა თქვენ იცით!

მემედმა სიტყვის ამოღებაც ვერ მოასწრო, რომ მეციხოვნეები შემოიძურწნენ.

— ახალ ნარებს მალე მიიღებთ, — ხმამაღლა წარმოთქვა ოფიცერმა და გავიდა.

საკანის კარი მძიმედ მიიხურა და ჩაიკეტა. როცა ფეხის ხმები მიწ-
ყდა, პატიმრები მემედს შემოეხვივნენ.

— ვინ იყო? — იკითხა ჯემალმა.

— ნუ თუ ვერ იცანით?! ალი ჯაფარიძე, ჩვენებურია, ამათთან მსა-
ხურობს.

— არ გამიკვირდა! — აღმოხდა ხასან ლორთქიფანიძეს.

— ამაზეა ნათქვამი — ძმა ძმისთვისო, — ჩაილაპარაკა მოხუცმა
დაუთ-ეფენდიმ.

მემედს სახე მოექუფრა, დუმდა, ახალი საფიქრალი აწამებდა. ციხ-
იდან მისი გაქცევის საქმის მოგვარებამ უფრო ააფორიაქა. მემედს არას-
ოდეს უფიქრია მარტოოდენ თავის თავზე. თავისთვის ეშველა და სხვები
განსაცდელში მიეტოვებინა...

თავკაცის აწეწილ ფიქრებს სხვებიც გრძნობდნენ და ხმას არ იღებ-
დნენ.

დაუთ-ეფენდის ქარვის კრიალოსანი ნელ-ნელა მარცვლავდა დროს.
როცა საღამოს ნარებიც მოიტანეს, ერთ-ერთ მათგანში საგულდაგულოდ
დამალული თოკი აღმოჩნდა.

— დაყოვნება არ შეიძლება, მემედ! — წამოიწყო ბოლოს მოხუცმა
და ნარზე მოირთხა.

მემედს არაფერი უთქვამს. მხოლოდ წარბებს ქვემოდან გამოიხედა.
მისი მზერა დიდ შინაგან აფორიაქებას ამხელდა.

— ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება არ ივარგებს, — ურჩია
ხასანმაც.

— ყველაზე მეტი საფრთხე თქვენ გემუქრებათ, მემედ-ეფენდი! —
შეწუხდა ჯემალი, — ჩვენ ისეთი რა უნდა გვყოფნას.

მემედი კვლავ უხერხულად დუმდა. ახლა ყოველგვარი სიტყვა უძ-
ლური ეჩვენებოდა, თუმცა კარგად იცოდა სიკვდილი ელოდა... ამხანაგე-
ბმაც იცოდნენ, ალი ჯაფარიძემაც ამიტომ გარისკა. სწორედ ესაა ახლა
რომ აფორიაქებს და აიძულებს გაქცევას დამორჩილდეს. დარწმუნებუ-
ლია, არავინ აპატიებს მემედს იმ გაზედულ საქციელს, რომელმაც მთელი
ქვეყანა აალაპარაკა. სიტყვები, რომლებიც დამპყრობლების მთავარსარ-
დალს უთხრა მემედმა, ყველას თვალში საცნაურს ხდის მთელი აჭარლო-
ბის აზრსა და ფიქრს:

— აჭარა იგივე საქართველოა, თქვენ აქ სტუმრები ხართ, ჩვენ კი მა-
სპინძლები. ამიტომ მოგესალმებით, როგორც სტუმრებს და იმედი გვაქვს
მოკლე დროში ბათუმსა და მის ოლქს დატოვებთ, გარდა ამისა, მოსახლე-
ობის სახელით გთხოვთ სისხლის ღვრა შესწყვიტოთ!

სარდალს ზაფრანისფერი დაედო სახეზე. იქნებ ჯოჯბა არაფერი ეთ-
ქვა მაშინ ასეთ ვითარებაში. ეს ხომ სიმხდალე იქნებოდა, არსებული ის-

ტორიული უკუღმართობისათვის დასტურის მიცემა, არა, ამას ვიდრე მისი მამულიშვილური სინდისი!

მაშინ, საჯაროდ ვერაფერი გაუბედეს მემედს, მაგრამ მალე იპოვეს „მიზეზი“ და მის თანამოაზრეებთან ერთად ტრაპიზონის ციხეში ამოაყოფინეს თავი. ალბათ მთელი საქართველოს საზოგადოებრიობა შეშფოთებულია...

არა, გაქცევა აუცილებელია, მაგრამ რა პირით მიატოვოს განსაცდელში მყოფი ღვიძლი ძმები?!

ათი წლის წინათაც იჯდა ამ ციხეში ზია, რიზა და ფეიზულ აბაშიძეებთან ერთად. მაშინ მეფის მოხელეების დევნას გამოექცნენ, მაგრამ საზღვარზე გადმოსვლისთანავე დაატუსაღეს. ჯერ ზოფისა და ათინას ციხის კედლები ახეხინეს, შემდეგ — ტრაპეზუნდისა, ათათურქის მიერ მოწყობილმა გადატრიალებამ იხსნა.

ციხიდან გამოსულები უნდობლობასა და შევიწროვებას მაინც ვერ გაექცნენ, როცა შვილები ავად გაუხდა, მემედს წამლის ფულიც არ აღმოაჩნდა. ორი ვაჟიშვილი აქაურ მიწას მიაბარა. ალბათ იბრაჰიმც დაეღუპებოდა მშობლიურ მხარეს რომ არ დაბრუნებოდა. არც იქ დაუფენიათ ია-ვარდი. მეფის ხელისუფლებამ მაშინვე დააბატონა, ჯერ ნოვოჩერკასკში გადასახლეს, შემდეგ ენისეის გუბერნიაში. ისევ ქართველმა თანამოძმეებმა იხსნეს და თბილისში დააბრუნეს. თებერვლის რევოლუციამ იმედი არ გაუმართლა.

ცხადია, ამჯერად ვეღარ გადაურჩება, თუ არ გაიქცა. სხვა გზა არ არის...

მამლებმა მეორედ იყიველეს, მაგრამ საკანში თვალი არავის მოუხუჯავს. ამხანაგების დაჟინებულმა მოთხოვნამ გასჭრა. სათითაოდ გულში ჩაიკრა მეგობრები და საოცრად აღელვებულმა ჩაბნელებული საკნის სარკმელს ხელი მოუფათურა... ძლივს გაატია გოლიათური ტანი და თოკს მაგრად ჩაეკიდა. პირველ სართულს რომ გაუსწორდა, თოკიც გათავდა. მკლავებს ძალა აღარ შესწევდათ შეემარებინათ დამძიმებული სხეული. დაფლეთილი ხელისგულები და წვივები ედაგებოდა. მიიხედ-მოიხედა, უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და თოკს ხელი უშვა, სიმაღლე ნავარაუდევზე მეტი აღმოჩნდა. მიწაზე ზღართანი მოადინა.

„მორჩა. გუშაგმა გაიგო და ეგაა“, — გაუელვა თავში და გაიტრუნა, ილიაში რაღაც საშინელმა ტკივილმა დაუარა. — „ალბათ ვიდრე“.

უსიამო მოლოდინში გავიდა წუთი, მაგრამ არაფერი გაფახუნებულა.

მძიმედ წამოიმართა, გასწორდა და კედელს გაეკრა. თვალი სიბნელეს შეჩვევოდა. ღრმა თხრილი შენიშნა, ციხის კედელს შიგნიდან რომ გასდევდნენ თხრილის თავზე ქვიტკირის მაღალი კედელი აღმართულიყო.

(სიბნელე თვალთ გაზომა, ცოტათი უკან დაიხია და თხრილის ზემოთ გაქანდა. ძველი მონადირის ნახტომი მარჯვენა გამოდგა. მიდამო დაზვერა,

კედლისაქნ გამოფორთხდა, კედელი მაღალი იყო, ზევით ეკლიანი მთა-
თულსლართი გასდევდა.

„დავიღუპე, ვერ ავცოცდები“—უცებ იქვე, ათიოდე ნაბიჯზე კედლის
ბურჯთან მიყუდებული კასრი შენიშნა. ისევ სოხვით წავიდა... კასრს ხე-
ლი შეავლო. კედელს ერთხელ კიდევ ახედა და ყველაფერს მიხვდა. რკი-
ნის სამაგრებს შორის გაჭიმული ეკლიანი მავთულის პირველი ორი
მწკრივი გაგლეჯილი იყო, შიგ ადამიანი თავისუფლად გაეტეოდა. „ყველა-
ფერი კარგადაა მოფიქრებული.. ეს ცარიელი კასრიც, ალბათ, საგანგებოდ
აღმოჩნდა აქ“...

მემედი ბურჯს აყვავ, კასრზე აფორთხდა და კედელს შეახტა. მარცხენა
ფეხი მარჯვედ გაჰყო გაგლეჯილ მავთულებს შორის, თავს კიდევ ერთხელ
ძალა დაატანა, სხეული მეორე მხარეზე გადაიტანა და ძირს ჩახტა.

ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩას შეუყვავ. ორივე მხარეზე პატარა
აივნისანი სახლები ერთმანეთს მიკვროდნენ.

„რამდენიმე ასეთი ქუჩა და მერე ეშმაკიც ვერ მიპოვის“. ქალაქს
კარგად იცნობდა. მთელი უბანი ისე გაიარა, სულდგმულს არ გადაყრია.
ჩქარობდა, რომ გათენებამდე აქაურობას გაცლოდა, შემდეგ გზა-კვალს
უფრო ადვილად გაიგნებდა. მთავარი იყო რამდენიმე დღით შეეფარებინა
თავი სადმე და შემდეგ არქაბელი მეთევზეები თუნდაც ქვეყნის კიდემდე
გაიყვანდნენ.

* * *

ბიჭმა გრძელი ჯოხი მოაფათურა. ბალახებში რაღაც შეინძრა. მის
მკლავზე დასკუპულმა მიმინომ ყვითელი თვალეები დააბრიალა და გამო-
ენტო. მწყერმა ფრთის გაშლაც ვერ მოასწრო, რომ მიმინოს კლანჭებში
აფართხალდა. კმაყოფილმა მტაცებელმა თავისი მსხვერპლით ადგილზე
შეინავარდა და პატრონის მოლოდინში მიწაზე დაეშვა.

ბიჭი ყიჟინით მოწყდა ადგილს, მოხარშული კვერცხი ჰაერში აისრო-
ლა. მიმინო მოუთმენლად შეფართხალდა.

ბიჭმა კვერცხის მოზრდილი ნაჭერი მოუტეხა, ბრჭყალებიდან გამოტ-
ყავებულ ცოცხალ-მკვდარ მწყერს თავი წააწყვიტა და გადაკიდებულ ჩან-
თაში ჩააგდო. მერე მიმინოს დაუწრუტუნა და მკლავზე ჩამოისკუპა.

ზვინში ჩაწოლილი მემედი სწორედ ამ ბიჭის ყიჟინმა გააღვიძა. რა
დრო გასულა, ზვინებიდან გადმოფენილი ჩრდილები დაგრძელებულან.

მთელ ტანს თითქოს ცეცხლი შეგზნებია, შემუშუპებული ხელისგულები
უხურს. ხელებზე შემობლანდული პერანგის ნახევი სისხლით გაჟღენ-
თილა, წყურვილი კლავს, ყურები უწივის, განძრევის ღონე აღარა აქვს.
თავს ძალა დაატანა. როცა დარწმუნდა მონადირე ბიჭის მეტი ახლო არა-
ვინ იყო, ზვინი გადასწია.

ბიჭის გამახვილებულ სმენას ეს არ გამოპარვია, ზვინიდან გამოსულ
უტნობს გაოცებით მიაჩერდა.

— ყმაწვილო, წყალი გექნება, — ძლივს უთხრა.

ბიჭმა მკვირცხლად გადაიგდო კისრიდან მათარის თასმა და უცნობ-
თან გაჩნდა.

მემედმა მათარა სულმოუთქმელად გამოსცალა.

— ღმერთმა გიშველოს! — აქაური ხარ?

ბიჭმა თავი დაუქნია.

— რა გქვია?

— მემედი.

— მაშ, სეხნები ვყოფილვართ, — გაუცინა ბიჭს, დაბუყებული
ფეხებით რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაც მოინდომა, მაგრამ ვერ შესძლო.

ბიჭმა მიმინო ზვინზე შესვა და მიშველება მოიწადინა. მემედმა დაას-
წრო, დამძიმებული მკლავი მხარზე დაადო და ზვინის ჩატკეპნილ კიდეზე
ჩამოჯდა.

— დიდი ხანია მოხვედი?

— კარგა ხანია ვნადირობ... აი, ნანადირევიც, — თქვა ბიჭმა და საე-
სე ჩანთას გარედან ხელი მიუტყაპუნა.

— ყოჩაღ! — კარგი მონადირე ჩანხარ. — გახალისდა მემედი.

— მიმინო ვისია?

— ვისი უნდა იყოს, — იწყინა ბიჭმა.

— კარგი ჯიშისაა... შენც კარგი ბიჭი ჩანხარ... ახლა ეს მითხარი, მამა-
შენი რა საქმის კაცია?

— ბაბა არ მყავს, ომში მოკლეს.

— დიდი ხანია?

— მე არც კი მახსოვს... არზრუმთან მოუკლავთ გიაურებს.

— ვინ გზრდის აბა?

— ვინ უნდა მზრდიდეს... ნანა... ნანა და პაპული.

— კიდეუ ოჯახში ვინ გყავს? — არ ერიდებოდა კითხვებს მემედი, რა-
კი ბიჭი ლაპარაკში აპყვა.

— ჯუმა და დიდი ნანა.

— ძმა შენზე უმცროსია?

— უმცროსი? — ბიჭმა დამცინავად გაიღიმა, — ჩემი ჯუმა პირველი
მონადირე და მეთევზეა.

— ძალიან კარგი, — დაუყვავა მემედმა და შემდეგ ვითომდა სხვა-
თაშორის ჰკითხა: — დღეს სოფელში პოლიციელები ხომ არ ამოსულან?

— იყვნენ დილით, ვილაც კაცი ციხიდან გამოქცევიათ და იმას დაე-
ძებდნენ — უთხრა ბიჭმა და გამომცდელად თვალი თვალში გაუყარა.

— ციხიდანო? — ცოტა არ იყოს დაიბნა მემედი. კარგად ვერ მიმხ-
ვლარიყო რას ნიშნავდა ბიჭის ასეთი გამოხედვა.

— მერე?

— რას ნახავდნენ, — ბიჭის თვალები ახლა სხვაგვარად აენათ.
თქვენ ხომ არ გეძებდნენ?

— თუნდაც მე, მერე რა? — ახლა მემედმა გაუყარა თვალი თვალში.

— არც არაფერი, — ხმაში აშკარა წყენა დაეტყო ბიჭს. — ხომ არ გგონიათ, გაცემთ, ჩვენს ჯილაგში ლალატი არ მოდის..

— აფერუმ! შენ მართლა ვაჟკაცი ყოფილხარ... — აღელვებით უთხრა მემედმა და ბიჭი გულზე მიიხუტა.

მზის მოყვითალო შუქი დაჰფენოდა ტყის კორომებით მოხუჭუჭყებულ სერებს, თხილნარით შემოქობილი ფერდობიდან, სადაც მემედის გადამრჩენი ზვინი იდგა, ხელისგულივით გადაშლილიყო ასეთივე ზვინებით მოფენილი დამრეცი. მას მთელ სიგრძეზე საურმე გზა სერავდა. იგი წყდებოდა ყველაზე მაღალი სერის ძირში. აქედან უკვე საცალფეხო ბილიკი მიდიოდა დანგრეულ გალავნის შუაგულში აღმართული გუმბათოვან ქვეყნის საყდრისაკენ. სერის ნახევრადგაშლულ ფერდობზე ბალახებს შორის ეყარა ხავსმოკიდებული დიდრონი თლილი ქვები — ეკლესიის ნაპერანგალი. იქვე ძველისძველი ცაცხვების ზემოთ თავი ამოეყობა კერძოშენებრულ სამრეკლოს.

— აქ რა არის? — ხელი გაიშვირა მემედმა ნანგრევებისაკენ.

— ეს ჩვენი ძველი ოხვამეა.

— საიდან იცი?

— როგორ თუ საიდან! აქ ხშირად ამოდიან ქალები — ავადმყოფის მორჩენას, შვილების სიკეთეს ეხვეწებიან. პაპული ამბობს, ამ ოხვამეში ლოცულობდნენ, უფრო ზევით კლდისძირში მეორე ოხვამეა. ამბობენ იმის კედლებზე ღვთისმშობელი მერიემი და თამარ მეფე ხატიაო... წინათ ჩვენ თურმე ქრისტიანები ვყოფილვართ, ისიც მსმენია ქართველები ჩვენი ძმები ყოფილანო.

— თურქი ხარ თუ ლაზი?

— ლაზი ვარ! — ხმა გაუფიცხდა ბიჭს.

— მაშ, ქართველი შენი რა იქნება?

— ქართველი? — დაიბნა მემედი, — ქართველი ხომ გიაურია!

— მაგრამ ქართველებშიც არიან ისეთები, რომელთაც ალაჰი სწამთ, აი, მაგალითად მე, ჰოდა ჩემსავით გიაური ომში რომ შეგხვდეს ესვრი?

— მაშ! — უყოყმანოდ მიუგო ბიჭმა.

— იმ გიაურმა შორიდან ლაზურად რომ დაგიყვიროს, — არ მესროლო, ძმა ვარ შენო, მაშინ?

— ლაზი გიაური როგორ იქნება! ლაზი ლაზია.

— კარგად მომისმინე, მემედ! — ჩააცივდა მემედი ბიჭს, — აი, მე აჭარელი ვარ, შენ კიდევ ლაზი. ორივენი კი ქართველები, რომელსაც სხვა ღმერთი სწამთ. ამიტომ ეძახი შენ მათ გიაურებს. ჩვენ ერთმანეთს ტყვია არ უნდა ვესროლოთ!

ბიჭმა ხშირი წამწამები ააფარებულა და დადუმდა. მემედი ფიქრებს მიეცა. როგორ გინდა გააგებინო, ეროვნებაც გვეოფს და ღმერთიც არ ეტყობა ყველა ღმერთი როდი სტყუის, თორემ ქართველები და თურქები ასე უსაშველოდ რად გადაეკიდებოდნენ ერთმანეთს. განა ასეა ან აჯობებდა ისევ კეთილმეზობლობა და ურთიერთგაგება ყოფილიყო?! უკვე კარგად ჩამოლამდა.

— აბა, წავიდეთ! — მიუბრუნდა ბიჭს მემედი.

— სად?

— შენს პაპულისთან.

...მოხუცმა ბექირმა მემედი უყოყმანოდ შეიკედლა.

ბექირი ბათუმსა და ფოთში მრავალგზის ნამყოფი აღმოჩნდა. მისი ნავი რიონისა და ჭოროხის ზვირთებითაც განბანილა. ხელმადლიან მეთევზეს, ღურგალსა და ქვისხურს — ყველგან თავისი მკლავის ნალეწი დაუტოვებია და ძმა და მეგობარი გაუჩენია.

როცა სტუმრის ვინაობა გაიგო, ცას ეწია სიხარულით. თქვენი გვარის ხალხს აჭარაში კი არა, ლაზისტანშიც დიდ პატივს სცემენო. ნამეტურ მას შემდეგ, რაც პაიდარ-ეფენდიმ დამშეულ ლაზებს ორი წლის წინათ სამშობლოდან რამდენიმე ნავით ჩვენი მარჩენალი ლაზუტი მოგვაშველა.

მემედს ლაზური სახლის ყველაზე საპატიო სამყოფი — ოჯახის უფროსისათვის განკუთვნილი „პაპულიში ოდა“ მიუჩინა. უცხო თვალთაგან უფრო დაფარულიც იქნებოდა აქ, რადგან ბექირის ოთახში მის დაუკითხავად ვერავინ შეიხედავდა. ამ ოთახში რომ მოხვედრილიყო გრძელი აივანი, გვერდითი და სასტუმრო ოთახები უნდა გაეკლო. სამაგიეროდ, ადამიანს რომ დაჭირვებოდა ჩამოსაშვები კიბით უკანა კარებიდან ისე გავიდოდა, მის ფეხის ხმასაც ვერ გაიგონებდით.

ბექირის მეუღლე — დიდი ნანა ჩინებული მკურნალი გამოდგა. ბალახებისაგან ისეთი მალამო შეამზადა, რომ იარები ორ დღეში დაუამდა.

ბიჭის დედას მხოლოდ ერთხელ მოჰკრა თვალი პაპასქირების ოჯახში, მაგრამ მის კარგ ქალობას უმადლოდა ზრუნვასა და პატივისცემას. მემედის საწოლის წინ, ლაზური ჩუქურთმებით დამშვენებულ ხის მრგვალ მაგიდაზე, მუდამ ელაგა კეცზე გამომცხვარი ჭადი, ნიგვზიანი მწვანე ლობიო, ერბოში მცურავი ფლავი, ხილი...

ბიჭი კი სახლიდან რისთვის გადაიკარგა მემედი კარგად ზედებოდა, იგი სოფლის მისადგომებთან სტუმრის სიმშვიდისა და ხელშეუხებლობის დარაჯად იდგა.

ბიჭს ბაბუამ სტუმრის ოთახში შესვლა აუკრძალა, მაგრამ მალხაზი ბიჭი თავის ყურადღებას არ აკლებდა — ხან ნანადირევს შეუგზავნიდა. ხანაც ყასიდად თოფს გაისვრიდა ან სიმღერას ჩაარაკრავებდა, განსაკუთრებით ერთი სიმღერა ჰქონდა ამოჩემებული:

— ფელუკა იალქენინი,

გენთი, მენდა მიუონი...

ამ სიტყვებს თარგმნა არ სჭირდება, სხვა რაზე უნდა ემღერა ლაზს, თუ არა იალქანგაშლილ ნაგზე, რომელიც სადღაც მიისწრაფვის, რომელსაც ვიღაც დიდი ხნის მტანჯავი მოლოდინით, იმედითა და სასოებით ელოდება...

ნავო, იალქნიანო...

ნავო, იალქნიანო...

თითქოს ამ სიმღერის იდუმალი ჰანგის ფარული იმედითა და დარდით სუნთქავდა ირგვლივ ყველაფერი, როცა სოფელს ღრმა ძილით ძინავდა და ბრჭყვიალა ცა ქვეყანას იისფერი შუქით ავსებდა, ბალიშზე თვალმილულულ ვაჟკაცს იალქნიანი ნავი ელანდებოდა. უპირქუბო სივრცის წინაშე, ბობოქარი ზღვის აკვანში ეულად მოქანავე პატარა ნავს თითქოს ვიღაც უხმობდა ნაპირისაკენ, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩანდა.

ამ სიმღერის, ამ ხმების, ამ მოლანდებების გაგრძელება იყო ისიც, რასაც ღამ-ღამობით ბეჭირისაგან ისმენდა. მის ბებერ სხეულში თითქოს ლაზური სულის მოუთოკავი სწრაფვა ჩაკირულიყო, ელადის ნაპირებთან დანთქმული ხომალდების საიდუმლოებით.

ამბები იწყებოდა შორიდან, ძალიან შორიდან...

— ოდეს რომის კეისარმა ლაზთა ტომის დამორჩილება მოიწადინა...

— რუსთაველი ტრამტიდან ათინას რომ მიბრძანდებოდა...

— მაშინ კახაბერმა მიწაში ჩაასო რკინის პალო და თქვა...

— იმდროინდელი ამბავია, როცა ჩვენი წინაპრები...

— ფაიყ-ეფენდიმ ლაზებს რომ ანბანი შეგვიდგინა...

იქ სადაც ჩნდებოდა სიცარიელე, შველოდა არაკი.

ადგილის გრძნობამ, ბუდის გამძაფრებულმა გრძნობამ თუ შექმნა ეს საოცარი შეგონება.

თავგს უთხრეს: შენი სოროდან გამოდი, მეორეში შედი და ერთ გულს ყველს მოგცემთო.

თავგმა იფიქრა: აქ გამოვიდე, იქ შევიდე ეს ძალიან პატარა ადგილია და ამაში გულს ყველს რაზე მაძლევნო. იფიქრა, იფიქრა, და ბოლოს გადაწყვიტა სოროდან არ გამოსულიყო.

— კიდევ ბრძანეთ, ბეჭირ-ეფენდი!

— შაითანმა ვისაც არ ეჩხუბა, ყველას აჯობა. ლაზმა უთხრა: მოდი ერთი, ჩემთან იჩხუბე, დამარცხებულმა ქალამანი უკუღმა ჩაიცვასო.

შეითანი დათანხმდა და უთხრა: წადი ჯოხები მოიტანეო. ლაზი წავიდა და გრძელი და მოკლე ჯოხი მოიტანა.

შეითანი ბედელში იყო. ერთი ჯოხი მე მომეცი, მოდი და აქ ვიჩხუბოთო, უთხრა ლაზს.

ლაზმა გრძელი ჯოხი მას მისცა. დაიწყეს ჩხუბი. შეითანი ვიღო
გრძელ ჯოხს ერთხელ მოატრიალებდა, მან მოკლე ჯოხი რამდენჯერმე
დაჰკრა.

ლაზმა ჭკუით აჯობა შეითანს — ქალამანი უკუღმა ჩააცვა.

შეითანმა აღიარა: — ჩემი თავი შეითანი მეგონაო, მაგრამ ლაზმა
შეითანზე უფრო შეითანი ყოფილაო.

— ხომ არ დაგდაღეთ სტუმარო!

— რას ბრძანებთ! — მემედი სიყვარულით მიაჩერდა ბერიკაცს, რო-
მელმაც იცის მიწის გულისა და ზღვის სივრცეების ყველა საიდუმლო.


განთიადისას გაშლილ ზღვაში ლაზი მეთევზეები გავიდნენ და ნაპი-
რიდან შორს, დილის მზეზე, ბადეები გაშალეს.

თეთრად ფარფატებდნენ გაშლილი იალქნები!

ერთი ნავი მწკრივს გამოეყო, შემდეგ წავიდა და წავიდა ისარივით...

და როცა ჰორიზონტს აფრა მიფარდა ნაპირზე წკრიალა ხმით ვიღაც
ამღერდა:

— ნავო, იალქნიანო...



დროთა ყოველთა..

დროთა ყოველთა ეტალონები
ცერზე დგებოდნენ, მაღლა იწევდნენ,
სიზმარულში ეტოლებოდნენ
ადამიანურ გენიის მწვერვალს.
ეტოლებოდნენ,
მკერდზე ისრესდნენ
დარდს უმაღლესი ამოების
და კითხულობდნენ მერე ისევე, —
რაა სიმაღლე უჭეშმარიტეს.
— სიმაღლე არის ცეცხლის და კაცის
და მერე მაღალ აზრის გაჩენა
მერე გასროლა ისეთი მკაცრი,
ვიდრე ვულკანთა და მეხთა დავა.
იყო ასეთი ცეცხლი და კაცი,
იყო ასეთი გასროლა მკაცრი —
აზრი, ლენინი და ოქტომბერი
და საოცარი რევოლუცია,
რომელიც რისხვად დაედო ჯაჭვებს
და აზრთა საკანს ჩამოხსნა კარი,
რომელმაც მზეზე გამოიყვანა
ყველა მწირი და მიუსაფარი.

* * *

იქნებ გამომრჩა რამე მთავარი,
ან თვით მჭირდება მეხთა ამრიდი.
ვაპ, თუ შენა ხარ ქალი ყამარი
და მითხრა ერთი სიმართლე დიდი.
მითხრა: იქა ვცემ ბედის სატევარს,

სადაც ლოდია,
სადაც სალტეა
თუ აქილევის ტერფიც ეს არი
ძვირფასო ყამარ!
იქნებ ყოველი არის ამაო,
რაც უდავიათ წვიმას და ყავარს...
იქნებ იქა ვცემ ბედის სატევარს,
სადაც აღრეა,
ძვირფასო ყამარ!
მითხარ, შუადღე მოატანს მალე,
დაუბერავენ ქარები ზენა.
მითხარ, გვიანი იქნება ხვალე
და დამშლის იგი, ვინც ამაშენა.

ფ ა რ დ ე ბ ი

აღებდნენ სეიფს ციებ-ცხელებით
თუ გულის კარებს უნაზეს ქალთა,
მუდამ და მუდამ თრთოდნენ ხელები
წინაშე ხილვის და გატაცების!
თრთოდნენ ხელები! —
ეს გასაღების
ძალა ჩუმი და საოცარი.
ასე გავხსენი ზეცის თაღები
შეცნობის ღმერთის დიდი ძახილით,
ახლაც მეძახის, ვით ჩაკეტილი
იდუმალების ალფა, ომეგა
თუ როდის არის კაცი კეთილი,
როცა სავსეა, თუ როცა შია, —
როცა ასი აქვს ერთვის მაგიერ,
როცა ერთი აქვს და უნდა ასი...
რას უწოდებენ ძალას მაგიურს:
სიყვარულს, სიკვდილს თუ დაბადებას?!
...მაგრამ მე ახლა უმაღლეს ნებით,
ავანთებ დიდი სიცხადის კანდელს
და ულამაზეს აღმოჩენებით
იდუმალების გადავწევ ფარდებს!

თვალები გელიან...

სული აქროლადი გეძებს და გელის
და ზეცას მოჟონავს ცისფერი მირონი.
დუმილის ფერიამ ჩამკიდა ხელი
და შემომატარა ზღვის სანაპირო.
ირხევა აფრა და ბარბაცებს ზღვა
და მე დავდივარ, როგორც შენდობა.
მედეა, რატომ არა გგავს სხვა,
რა ვუყო შე შენს ერთადერთობას.
რა ვოყო უშენოდ ტევრებს და ლელიანს,
რომ სიზმარეულად ადგას საფირონი.
ხელები გეძებენ, თვალები გელიან...
და ზეცას მოჟონავს ცისფერი მირონი.
ტალღებზე წამოდექ ძვირფასო ფერიად,
დაუწერელია ის, რითაც მშორავდი.
თვალები, თვალები, თვალები გელიან
და სული ილევა, სული აქროლადი.
გელიან, მიმოზის დუმილი მენდობა
და სევდა წეროთა და ჩემი ზღვა.
რა ვუყო, ძვირფასო, შენს ერთადერთობას
ან რატომ არა გგავს არავინ სხვა.



ბედნიერი სახლები

ოჰ, ბედნიერი თეთრი სახლები,
რომელთაც ქარნი აღარ არხევენ.
სადაც წკრიალით იმსხვრევა ბროლი,
ჰაერში აღის ცისფერი ბოლი.
სახლები, სადაც მხიარულ კაცებს
გაშლილი მხრებით შემოაქვთ თოვლი,
სადაც წკრიალი გაუდით ანცებს,
და დიდ ხმაურში თრთიან იები...
მე ჩავაარეთ და ისე აგცდით,
თქვენ ვერ იგრძენით ჩემი ძიების.
ყველა სიზმარი ხომ ვერ ახდება,
ზოგი ხომ უნდა დარჩეს ღრუბლებად?
ოჰ, ბედნიერი დიდი სახლები,
სადაც ზღვის გრილი სუნთქვა უბერავს.
ოჰ, ბედნიერი.

მარიკა მიქელაქის გახსენება

მარიკა, წვიმს და
ისევე, ისევე
სიცხიან სარეცელზე გიხსენებ.
აღბათ სიცოცხლეს ასე ამთავრებენ,
ასე ეთხოვებიან ჩაწყვეტილ სიმთა.
და შენ ატირდი ისეთი თვალებით,
რომელიც ერთ ქალად ღირდა,

მე ჩემი ბედნიერი სხეულის მრცხვენოდა,
ჩემი ჯანმრთელი სულის,
და როგორც ზღაპარში ცეროდენამ
ახდენა აღვუთქვი
შენს ყველა სურვილს,
ოღონდ ჯერ ვილაცამ იეზი მომყიდა, —
დიდი, უცნაური, ნესტიანი...
ხელებზე დამეყრდენ სიცხიან ლოყითა
და ჩემს სიზმრებში იტრიალე.
და გათენებამდე რეკავდა ტელეფონი
თითქოს სასიცოცხლოდ, სამუდაროდ,
ჩალისფერ თმებზე მოგეფერე
დაგტოვე სამუდამოდ, სამუდამოდ...
მარიკა, წვიმს, ისევე, ისევე...
რატომღაც წვიმისას გიხსენებ.



ჩემი ლექსი

ჩვენი სოფელი მწვანე მთაგორებზეა გაშენებული და მეზობლები შორიშორ სახლობენ. დარისპანი ჩვენი ახლო მეზობელია. იგი გარეგნულად საშუალო ტანის, ჭროლა თვალებიანი, სამოცდაათ წელს მიღწეული ბერიკაცია. დარისპანი ჩვენს სოფელში თავკაცად ითვლება. ორი მსოფლიო ომის მომსწრეა და როცა მოხსნის თავს გუდას, რაც უნდა ცუდ ხასიათზე იყო გულს გადაგიწმენდს, სამი ჩემი ხნის კაცი, ჭიქაზე ჭიქას თანატოლივით მოგიჭახუნებს.


ქვრივია დარისპანი... სამი წლის უკან მოუკვდა ცოლი — ენატკილი მარინე. არ მაგიწყდება გაზაფხულის ის კრიალა დილა... აღმოსავლეთის სუტბა ქარმა ნისლი შეატორტმანა და მოულოდნელად ცივი კივილი გაისმა, ზარიანი კივილი... ჩვენში შეცხადებას რომ უძახიან. კიოდა მაცაცა — დარისპანის ქალიშვილი. ქალის კივილს მამაკაცური ბოხი ქვითინიც დაემატა და გავიგეთ დარისპანს მეუღლე გარდაეცვალა.

სოფელი მოაწყდა... მაცაცა ქალებმა დედის ჯერ კიდევ თბილ მკერდს ძლივს მოაცილეს... ყველანი ქვითინებდნენ. ცრემლები მომერია და აივანზე გავედი. იმ დღეს პირველად შევნიშნე, რომ მაცაცა შესამჩნევად დაქალებულიყო და დამშვენებულიყო...

მე და მაცაცა ბავშვობისას ჭალაში ერთად დავრბოდით, შარა-შარა ერთად ვთამაშობდით ჩვარის ბურთს. დარისპანი სშირად ჯოხით გამოგვენთებოდა ხოლმე.

მშობლებს მაცაცაზე ამოსდიოდათ მზე და მთვარე. ბავშვობიდანვე ანგბიგრებდნენ ერთადერთ ქალიშვილს. მათმა გადაჭარბებულმა ალერსმა დიდგულა და უკარება გახადა გოგო.

ერთ დღეს საფქვავე მიმქონდა წისქვილში. შემოდგომაზე ჩვენში სშირად იცის კოკისპირული წვიმა... მაშინ ყვითელი მიწა ცომივით იგლისება და ზაფრანის ფერად ლებავს ყველაფერს.



ჩვენი დღე წვიმისაგან აღიდებულიყო. საცალფეხო ხიდზე ძლივს გავედი. ის იყო მეწისქვილეს საფქვავე ჩავაბარე და უკან გამოვბრუნდი, რომ ხიდზე მაცაცა შევნიშნე, ეტყობოდა წისქვილში მოდიოდა.

ღელეს წისქვილის სათავე გაერღვია და დაგუბებული წყალი ერთიანად მოხეთქილიყო. — მიშველეთ, მომეხმარეთ! — უცებ მომესმა მაცაცას ყვირილი და ნაგუბარი წყლის დაჯახება ერთი იქნა. ხიდი შეტორტმანდა და წყალს გაჰყვა. რადგან ერთი თავი ხმელ აკაციაზე ბაგირით იყო მიმაგრებული, შუა მდინარეში გაჩერდა. ხიდზე გადამჯდარი მაცაცა საფქვავს ხელს არ უშვებდა და ხმამაღლა კიოდა: — მიშველეთ! მიშველეთ!

მე ელვის სისწრაფით მდინარეში გადავეშვი... როცა ხიდზე ავცოცდი, ხიდი გასხლტა და მაცაცა ხელში შემრჩა. შიშისაგან დაბნეულმა ხელები ყელზე შემომაჭდო და მომეკრა... ხიდი ზვირთებმა შთანთქმეს...

— არ შეგეშინდეს ბიჭო! წყალს დაჰყევი და ისე გაცურე გაღმა! — მომესმა მეწისქვილის ხმა.

როცა ნაპირზე გავიყვანე წიწილივით გალუმბულ მაცაცას, ჩითვის კაბა ტანზე შემოტმასნოდა, წაბლისფერი ნაწნავები გაწეწოდა და ცახცახებდა...

მაცაცას ერთი სიტყვაც ვერ ვუთხარი, ისე მივაცილე სახლამდე. ჭიმკარში შესვლისას ეშმაკურად შემომხედა და სახლისაკენ გაიქცა...

მარინე ბიცოლა ხშირად მეტყოდა: — ჩემი მაცაცუნას გადარჩენისათვის ბუნებამ გაგახაროსო და ეზოსთან ჩავლისას ხმელ თხილს ჯიბეში ჩამიყრიდა.

მარინე ბიცოლას სიკვდილის შემდეგ მალე ჯარში გამიწვიეს. დიდი ხანი არ არის რაც დაგბრუნდი და კოლმეურნეობაში დავიწყე მუშაობა. საგულდაგულოდ გავლესე თოხი და სიმინდის დიდი საყანე მოვიზომე დარისპანის ყანის მეზობლად.

ერთხელ დარისპანმა მთხოვა: — ჯანღონით სავსე ბიჭი ხარ, მადლიანი ხელი გაქვს და სიმინდის სათოხარში მომეხმარეო.

უარს როგორ ვეტყოდი! საღამოს დარისპანმა სუფრა ყანაში გაშალა. მაცაცა ისევ გამირბოდა...

მე და დარისპანი „ადესის“ ღვინით გვარიანად შევჭიკჭიკდით.

— მშვიდობა იყოს და ცივი მჰადიც რომ გვქონდეს, ისიც გვეყოფა... მშვიდობაა მთავარი... — დაილოცა დარისპანმა.

— მშვიდობას გაუმარჯოს!.. — ხმამაღლა დაუღდასტურე, გულში კი ვამბობ, — ჩემს მაცაცას გაუმარჯოს-მეთქი.

დოქი გამოვცალეთ...

თბილი ღამე იყო, ღია ცისქვეშაც შეიძლებოდა ღამის გათევა. დარისპანმა ცის უბეში პაწაწკინტელა ღრუბელი შეამჩნია და დამიჩემა: — აუცილებლად წამოთქორავს, ნალიაში დავიძინოთო.

სუსტი ნიაგი აშრილებდა ახალ გათოხნილ სიმინდს, ყანაში ნათესარი მიწის სუნი იდგა. ცვარი მარგალიტებით ციმციმებდა ლორთქო სიმინდზე, მუშაობით რომ ვიჯერე გული, შევისვენე და თოხის ტარს მაგრად დავეყრდენი, მერე რატომღაც იქვე გადაჭრილ კუნძს მძლავრად შემოვყარი და ხელში სიმსუბუქე ვიგრძენი. ახალი რცხილის ტარი ფიჩხივით გადატყდა. შევეცი, სად ვიშოვიდი თოხის ტარს ამ გაფხეკილ ჭალაში.

— რამე ჩაგაფიქრა, ბიჭო, ქვეყანა ხომ არ დაქცეულა?! მიირბინე სახლში, გათლილი სატარეების მეტი რა მაქვს! — მითხრა დარისპანმა.

მეც ეს მინდოდა...

ქლოშინით მივადექი დარისპანის ჭიშკარს...

— მასპინძელო! — უნებურად გამეხსნა ბაგე.

არავინ გამეპასუხა...

— მასპინძელო!... — გავიმეორე უფრო ხმამაღლა.

რამდენიმე წუთის შემდეგ კარები ფრთხილად გაიღო და აივანზე წიგნით ხელში მაცაცა გამოჩნდა. იგი აივნის ბოძს მიეყრდნო და დაბალი ხმით გამომძახა:

— ვინ არის?!

სხეულში გამაჟრჟოლა და ენა ჩამივარდა.

მაცაცამ ხმას აუწია.

— რომელი ბრძანდებით?!

— მე... მე ვარ... ანზორა.. — გამეზარა ხმა.

— ანზორი?! — ბოძს მოშორდა და თავსაფრის სწორებით კიბეს ფრთხილად ჩამოჰყვა.

— რა იყო ბიჭო, მამას ხომ ეხმარებოდი?!

— ვეხმარებოდი მარა...

— მარა რა? მშვიდობა ხომა! — ახლოს მოვიდა და თვალეში ჩამხედა.

მე ვღუმიღი.

— ხმა ამოიღე, ანზორ!

— მშვიდობა კია მარა... გადამიტყდა... გადამიტყდა...

— რა გადაგიტყდა, რა?!

იღლიაში ამოჩრილი თოხის ტარი მიწაზე დამივარდა და მაცაცა მიმიხედა.

— თოხის ტარი გადაგიტყდა? — გაეღიმა გოგოს, — მე მეგონა ფეხის ძვალი გადაგიტყდა-მეთქი, როგორ შემაშინე... — მალე მაცაცამ სერიოზული სახე მიიღო: — რაღა ჭიშკართან მელაპარაკები, ბიჭო, წამოდი ჩქარა ხომ ხედავ როგორ წვიმს!

ახლა ვიგრძენი ორთავე ვსველდებოდი... ოთახში შევეყევი. ძლივს მოვახერხე სკამზე ჩამოჯდომა.

მაცაცა საწერ მაგიდას შიუახლოვდა, კონსპექტები შეაგროვდა და წიგნები კარადის თაროზე შეაწყო.

— მაცაცა, უმაღლესში გინდა მოეწყო? — გაუბედავად შევეკითხე.

— ვფიქრობ, — გამოიღმა მაცაცამ.

ამ ღიმილმა სიხარულით ამავსო, დამაბნია. მარჯვენა ხელი ჩამომეკიდა, მარცხენა კი ზედმეტი აღმომჩინდა და ველარსად დავემალე... ენა დამება... მაცაცას მეგრული გაესებოდა, თაფლისფერი თვალები გამუქებოდა, წამწამები დაგრძელებოდა და გაშავებოდა. წაბლისფერ ნაწნავებზე შემორჩენილი წვიმის წვეთები ციმციმებდნენ. პატარა ცხვირი სანთელისაგან ჩამოიხშული გეგონებოდათ. სიფრიფანა, წითელი ტუჩები ვერ უფარავდნენ ქათქათა კბილებს.

ნახევრად თავდახრილი შევცქეროდი. მან ჩემი მზერა დაიჭირა, სახე აუფაკლდა და დარცხვენით მითხრა:

— ჯარიდან რაც დაბრუნდი არსად შემხვედრიხარ, ალბათ ძალიან დაკავებული ხარ, თუმცა... მეც სულ ჩაის კრეფაში ვარ... მერე მასპინძელი დაფაცურდა, არაყი გამოიტანა, თხილიანი თევში დადგა და ჭიქები შეავსო. — დავილოცოთ! — მან ცოტა მოსვა. მე — გამოვცალე. მაცაცამ ისევ შეავსო ჭიქები.

— ჩვენს კარგ მეზობლობას, გაუმარჯოს, ანზორ! — წარმოსთქვა მან და ჭიქა ბოლომდე გამოსცალა.

— გაუმარჯოს! — მეც გამოვცალე... სანთლის არაყი მოგეხსენებათ ტკბილია და შემპარავი, მალე იცის თავში ავარდნა. ორთავე ავლაპარაკდით; მოვიგონეთ ერთად გატარებული ბავშვობა, წისქვილი, ადიდებული წყალი, წაღებული ხიდი... და...

— შენი სადღეგრძელო იყოს, მაცაცო! კარგი ბედი და იღბალი გქონდეს ცხოვრებაში. — ჩავილულულე და რატომღაც გულში ტკივილი ვიგრძენი.

სიჩუმე ჩამოვარდა.

კაკ, კაკ, კაკ... ხმიანობდა წვიმა ყავარზე.

საათს დავხედე. გვიანდებოდა...

— ანზორ, წადი, მამაჩემს შეეშინდება, ახლავე მოგიტან სატარეს! — და მაცაცა ოთახიდან სწრაფად გავიდა.

კარგა ხანს ოთახში ველოდი, მერე აივანზე გავედი, გარედ საშინლად წვიმდა... მაცაცა არ ჩანდა.

— მაცაცა! — დავუძახე.

არ გამომეპასუხა.

— მაცაცა! — ხმას ავუწიე.

— ამოდი, სხვენზე ვარ! — წვიმის ჩხრიალში ძლივს გავიგონე მაცა-

ცას ხმა.

სწრაფად ავიჭერი. სხვენის სიბნელეში ვერაფერს ვხედავდი. მერე
თვალი შევახვიე და დავინახე მაცაცა სიმინდის სავსე ტომარას ზევით
ეწეოდა.

— დამეხმარე ანზორი, ეგება ავწიოთ! სატარეები ამის ქვეშაა ჩარჩე-
ნილი.

დავაგლე ხელი ტომარას. სწრაფად წამოვწიე, მაგრამ ხელიდან დამი-
ცურდა და ფეხზე დამეცა. ტკივილისაგან ჩავიჩოქე... ქალიშვილი შეშინე-
ბული მომვარდა და ფერება დამიწყო. წონასწორობა დავკარგე... მაცაცას
ხელი მოვხვიე, თავი გადაუწიე და თხელ ტუჩებში ვაკოცე. მერე მაცაცამ
სახეზე ხელები აიფარა...

— მიყვარხარ, მაცაცო!.. მაცაცუნა, მიყვარხარ! — დიდი ხნის დაგუბე-
ბულმა გრძნობამ სურვილი გაამხილა.

მაცაცა რატომღაც ატირდა.

— მაცაცო! მაცაცუნა!.. ხმა ამოიღე; შენს იქით სიცოცხლე არ მინდა...
ნუ ტირი მაცაცო... მაპატიე... მიყვარხარ და რა ვქნა, შენი სიყვარული ჯარ-
შიც არ მასვენებდა.... შენს თავს ვერავინ წამართმევს! — ვკოცნიდი და
ვლულლულებდი.

მალე ისიც ბავშვივით აჩურჩულდა:

— დედაჩემი სიკვდილის წინ შენზე ლოცულობდა... საწყალი დედა...
მერე...მერე შენ ჯარში წახვედი და დაგავიწყდი მეგონა... — სიტყვა ვე-
ლარ დაამთავრა მაცაცომ. აკანკალდა, ხელები ყელზე შემომამჭდო და თვა-
ლები მილულა...

...შორს ხის კენწეროზე შაშვი ჭახჭახებდა როცა აკანკალებული მაცა-
ცა თოხის სატარესთან ერთად დაბლა ჩამოვიყვანე.

წვიმას ოდნავ გადაეღო. ლაფაროში ოჭვათოს უკანასკნელი წვეთები
ჩმაურობდნენ.



შემოდგომამდე ქალაქს ვერ მნახავთ

შემოდგომამდე ქალაქს ვერ მნახავთ,
წავალ, სოფელში გავიხიზნები,
ჩემმა ბაღმა და ჩემმა ვენახმა
არ მომასვენეს ლურჯი სიზმრებით.
სხვა პურს გავტეხავ, სხვა ტალახს მოვზელ,
შუქით ამევსოს თვალთა უბენი,
დილით გავივლი დაცვარულ მოლზე
და გლეხკაცურად გავილუმბები.
ვერის ჭადრებო, ჩემო კარგებო,
არ დამესიზმროთ თვალდანამული,
შემოდგომამდე დავიკარგები,
თავს მოგანატრებთ თქვენ და ნანულის.
მერე წამოვა ლექსების სეტყვა,
იშხეფებს ქვევრი თავგადახსნილი,
შემოევლება ცას ზღაპრულ სარტყლად
მშვიდი ოცნების შვიდფერი სხივი;
ცას შესძრავს ცალი ირმის ყვირილი,
თბილისს უჩვევი ქრუოლა დაუელის
და შემომხვდება თეთრი გვირილით
თმაწეწილი ქარში ნანული...

* * *

რა მეშველება,
რა მეშველება,
ამალამ მთებში უთუოდ მოთოვს
და დედამიწის მწვანე მშვენება
დაემსგავსება ნაწიგნარ ფოთოლს.
რა მეშველება,

რა მეშველება,
მოაწყდებიან ფარეს მხეცები,
უიარაღოდ როგორ შევება, —
დამიყანგდა და თოფს ვერ ვეცემი.
ვერ ჩამოვზიდე დროულად შეშაც,
მომიკვდებიან სუსხში ბალები.
რომელი ღმერთი შემინდობს ნეტავ,
რომელ მიწაში დავიმარხები!
წავალ, დროულად ნაბადს მოგძებნი,
ფიქრში ხირიმის ლულაც აბზინდა.
უნდა შევება უღლად მოზვრები
მუხის კუნძების ჩამოსაზიდად.

შემოწამთრების რძისფერი სევდა

რა ცივად ღნება თოვლში სანთელი,
ათოვს და ათოვს მდუმარე საფლავს
და ობოლ მგოსნის ხმა და სანთური,
არ ეძებს უფრო ჩუმ თავშესაფარს.

ათოვს და ათოვს ჭადარს და ნუშებს,
შენ რომ ესოდენ გიყვარდა, დედა!
და სულდგმულივით მკვიდრდება სულში
შემოწამთრების რძისფერი სევდა.



ნანა გვარიშვილი

ზღვის სიმშონია

ნიაეს უჭირავს ნისლების ცარცი,
დაწერს და წაშლის.
ტალღა მოიტანს იისფერ სურას,
ნაპირთან დაფშვნის.
ევენის ბგერებად ცვივა ნაფხვენნი,
კლავიშს ცილდება მოცარტის ხელი
ჩუმაღ!..
კენჭებს ამოაქვს ცისფერი სუნთქვა
ბობოქარ გულის,
და წუთს უჭირავს სიჩუმე სრული.
მერე, უეცრივ გემის ღმუილი, გასროლა დაშნის
მოიტანს ტალღა იისფერ სურას,
ნაპირთან დაფშვნის...
ქარი დაიჭერს გედების ძახილს
და გააცურებს ტალღების მარხილს,
უცებ ჩუმდება აკორდი ბახის...
...მერე უეცრივ მოვა მოცარტი,
ტალღის ორღანოს აკვდება გულით.
ჩუმაღ, წვეთებად რჩებათ
პატარა კენჭებს სიჩუმე სრული.

* * *

წარამარა,
წარამარა,
კმარა, კმარა,
არა, არა,
წივის წვიმა და ქარი.
წამო, წამო,
ჩქარა, ჩქარა,
სულ მაჩქარებს
წარამარა,
ჩემი თეთრი
დაქალი.

დაენანება ამ გულს ყოველი

ისე ვით რტოზე თეთრი პეპელა
თეთრ ყვავილს ნახავს და არ ცილდება,
სულში სურვილი ფეთქავს კვირტებად,
მიმოიხედავ უეცრივ ირგვლივ
და ყველაფერი გაგიკვირდება...
გაგიკვირდება საოცრად ჩუმად,
ნაღველში ფიჭვი სიტკბოს ირევდა...
და გაქცევს უცებ გრძნულ ჩურჩულად
ის, რაც შენ უწინ არ გაკვირვებდა.
როცა სურვილი ბორიალობდა,
იყავი კუშტი, არვის დანებდი,
ლამაზ სიყვარულს ემტერებოდი,
დასდევდი მუდამ ეჭვის დანებით
და არ იცოდი, ფრთით რა ეკირა
იმ ოცნებების ზღაპრულ ფერიას.
თითქოს ყოველი არაფერია,
და დროს უეცრივ ჩაუქროლია,
გული იმ ზრახვებს როდი დანებდა...
ახლა ღრუბლების თეთრი თოლია
დასატოვებლად დაენანება...
დაენანება ამ გულს ყოველი,
მაინც საოცრად დაენანება.

* * *

ფილაქანზე ყვავილი ამოსულა,
ეს მას არ აწუხებს სულაც.
პატარა პეშვით აგროვა მზე და
სიმწვანე მიწის.
და ქვაზე იმიტომ ამოსულა,
სიცოცხლე იცის.
ასეა, ასე, მოვა მთვარე და
ცის წყაროს ასმევს,
პაწია გულით შეეხიზნა
ამხელა ცის ჭერს,
და მწვანე პეშვებით
ცის ნათელს იჭერს.
პაწია ჩრდილიც მოისვა გვერდში.
სიცოცხლე უნდა,
რას ერჩიოთ?!

აგრე ყოფილა

რომ სიხარული ბევრია,
მიტომ იცინის მზე.
რომ მღელვარებაც მეტია,
მიტომ მღელვარებს ზღვა.
თვალი უცრემლოდ როდია,
წვიმას მოსწყინდა თქმა.
ლურჯი ქარები მოდიან,
ნიავი ზღაპრებს თხზავს.
ლამით მარეხი ვარსკვლავი
სულებს სულებთან აბამს.
ლერწამს ტირილი მოუნდა,
განგებ დაეძებს საბაბს:
— ტირიფს ნუ აქვსო იდუმლად
ჯაყაჩოს სიყვარული!..
აგრე ყოფილა... იქნება...
გული ცოდოა... გული..

* * *

ჩემს სულს ამაღლებს უფრო
შენი თვალების შუქი,
ოცნება წრფელი-წრფელი,
ფერი ლურჯი, სულ მუქი.
ზეცა დამყურებს შვებით,
თუ ტალღა შემომცქერის? .
ზოგჯერ მშვიდია, მშვიდი,
ზოგჯერ აწყდება ღელვას
ასეთ წუთებში სული,
სულ ცისფრად იღებება,
სადღაც რინდდება ფიქრი,
სადღაც ვბობოქრობ მეცა
ჩემს სულს ამაღლებს მაშინ
შენი თვალების ზეცა.



ბ უ ნ ი თ ბ ა

ბალახზე შვებით წამოწოლილი
 თავზე დამხობილ ზეცას ვუყურებ...
 სად არის მაინც ჩემი ცთომილი,
 ცამდე მართალი და შეცდომილი,
 ჩემი სამყაროს ერთი საყურე.
 ვსვამ სავსე ზეცას თვალზე მიბჯენილს,
 მიწას ვისრუტავ მთელი სხეულით,
 ვუცქერი ფოთლებს და ვერ ვიჯერებ
 როგორ იტანენ დგომას ხეები.
 დგანან წვიმაში, დგანან ქარში და
 ყველაფერია ხით მოქცეული.
 მე ვუმხელ ხეებს ფიქრს და ხვამიადს,
 ქალაქის ხმაურს გამოქცეული.
 გადამაჩვია ხმაურმა ფიქრებს,
 ახლა სიჩუმე უფრო მენიშნა,
 გადავიხედე საკუთარს იქეთ
 და უცაბედად ველარ შევნიშნე
 ხიდან დამპალი ვაშლის დავარდნა.
 ესეც ევრიკა, დიდი ამბავი...
 ეკილა ვაშლი და დაავადდა,
 დიდხანს გაძლებდა განა დამპალი?
 დიდი ხანია მიზიდულობის
 შექმნეს კანონი, მაშასადამე...
 დამირღვევია წესი ზრდილობის.
 ანდა ეთიკის ნორმებს გადაველ?
 უყურადღებო კაცად მთვლი იქნებ
 და ნიუტონზე ამბობ ერთხელაც,
 გადაყოლილი საკუთარ ფიქრებს
 არ შესწრებოდა ამგვარ შემთხვევას,
 არ იქნებოდა ბევრი რამ ცხადი
 ან უმიზეზოდ ჩათვლიდნენ ეჭვებს

და ყველაფრამდე ბავშვივით ხარბი
თავს მიუშვერდნენ ასროლილ კენჭებს.
მაშინ როდესაც მიწაში მწვანის
რა აფერადებს იციან ისიც...
უყურადღებოდ არ რჩებათ წამი,
წამი კავშირი ზეცის და მიწის.
არ ასვენებენ ცაში სხეულებს,
არ ისვენებენ დღე და მოსწრება,
ზეცის თავანი გამოხეული.
ველარ იმაგრებს ღმერთის მოძღვრებას,
და შიგ ქარივით გადი-გამოდის
კაცი, რომელიც გრძნობდა მაშინვე,
ღმერთს ვერ ნახავდა, მაგრამ გამოდის
წააწყდებოდა უფრო საშინელს
და უფრო ლამაზ ვარსკვლავებს, ვიდრე
აქედან ჩანან გვიმალავს ნისლი,
ჩვენ, როგორც მიწის პატარა მკვიდრებს
არ შეგვიძლია დანახვა მისი.
მალღდება ჭერი და სახურავი,
ადამიანი სხვა სამყოს ეძებს,
რას არ ეჩვევა კაცის ყურები,
გადასახლებას ფიქრობენ მზეზე.
წარმოიდგინეთ ჩემი გოგონაც
ასევე ფიქრობს, ღმერთმა მოხედოს!
უნდა ველოდოთ ჯერ არ გაგონილს
და ესეც ალბად მალე მოხდება.
ბოლო მე ვაშლის ჩეროში ვწევარ,
უყურადღებოდ მიმიგდია ფერთაცვლა სოფლის,
ჩემი უიღბლო ცხოვრების წერა
გვიან გამომცხვარ კვერსა ჰგავს ობლის.
ისევ ვუმღერი მზეს, როგორც დილას,
და სიმწვანეში ისევ მოვრბივარ.
შევხარი, როცა შემიპყრობს სევდა,
ვარსკვლავებს, როგორც ძმებს და დობილებს.
ჩემამდე აღწევს იმათი შუქი
მილიარდი წლის წინათ ჩამქრალის...
ასე გვახსენებს თავს ზოგჯერ უქმი
გრძნობა, რომელიც გულში ჩავკალით.
მიხარია, რომ ჯერ კიდევ ჩემი
ფიქრის ხარკია ყველა ესენი

და დახუნძული ბაღების ჩვევით
გარედან აკრავს დიდი მესერი.
აუხსნელია კიდევ მრავალი,
შეგუებული იჭვებს იქამდი,
რომ არ მოსვლია აზრად არავის
აეხსნა თუნდაც მცნება სიკარგის.
მიწას შესძრავდა ჩემი კივილი
თუ არა თქვენი გულმოდგინება...
საოცარია, კაცის ტკივილი
თქმამდე არავის არ ეტკინება.
იქნებ ცხდვრებამ ახსნას პირიქით,
მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი გვიგია...
სასაფლაოსთან დიდი ბილიკი
თავდება, მაგრამ მაინც მიდიან
გზები, რომელიც იწყება იქვე
და უერთდება ქვეყნის გაჩენას...
ვინ იცის ამ დოქს დამხოვბილს პირქვე,
სხვა გზა არ ჰქონდა ამოსარჩევად.
და თუ ოდესმე ახსნიან ნილაბს
ყველაფერ ფარულს, იმასაც ნახავ
გადავინაცვლებ უცნობის მიღმა
და სადარდებელს გავიჩენ ახალს...
ეხლა ბალახზე წამოწოლილი
მთვარით მოქცეულ ზეცას ვუყურებ...
სად არის მაინც ჩემი ცთომილი
ცამდე მართალი და შეცდომილი,
ჩემი სამყაროს ცალი საყურე.



მოგონებებში აფორიაქებული ნიკოლოზი და სიგარეტს უკიდებს.

კარგად ახსოვს როგორ შემოესია შეიარაღებული დაშნაკების ჯარი უიარაღო აზერბაიჯანელებს და სისხლის ღვარი დააყენეს. ხოცავდნენ მოხუცებს, ქალებს, ბავშვებსაც. მუსავატელებმა თურქებს სთხოვეს სომხებისაგან დაცვა და მეორე დღეს ასკერთა ლაშქარიც მოვიდა... და სისხლი არაქსსა და მტკვარს შეუერთდა.

დააპატიმრეს — ივანოვი, მამედოვი, ავაქიანი. ნიკო მამის მეგობარმა, ალექსანდრე კარიოვმა მოსძებნა და ნავთის გადამტან გემ „სულეიმან ჰუსეინოვზე“ მიიყვანა, სადაც იგი მექანიკოსად მუშაობდა.

ასე დაიწყო მეზღვაურ-იუნგის პირველი დღეები.

ახლოვდებოდა წითელი არმია. დენიკინი სამხრეთით მიიწევდა. ერთ დღეს კასპიის ზღვაში გადაყარეს გემის პატრონის ლაქტუცა ლაქიები და წითელი დროშა ააფრიალეს. ძველი სახელწოდება წაშალეს და რევოლუციონერ „კულიბეკოვის“ სახელი მიაწერეს. შეიარაღდა ეკიპაჟი და ასე შეხვდა კიროვის მე-11 არმიის შემოჭრას კავკასიაში.

მას შემდეგ ზღვა და კვლავ ზღვის უცნაური ხმაური. ათ წელზე მეტი დაცურავდა ნიკოლოზი კასპიისა და შავ ზღვებში, ხან ახალგაზრდა საბჭოეთის მიწას იცავდა, ხან ტვირთი გადაჰქონდა ერთი ნაპირიდან მეორეზე. „კულიბეკოვი“, „ნეზამოჟნი“ „წითელი

უკრაინა“. რომელ იმდროინდელ გემზე არ უმსახურია...

ბოლოს კვლავ მიწა მოენატრა... უფრო სწორად — ოჯახის სიბბო. მას ზომ ცხოვრებაში ეს აკლდა. სწორედ მაშინ შეერთო ცოლად უკრაინელი ქალიშვილი აქსინია. კეთილი და თბილი ოჯახი აქვთ.

— ქორწილიდან ხომ არ მოდიხარ, ნიკოლოზ, რამ აგაყენა ასე უთენია! — მოესმა დარაჯის ხმა.

— რაღა უთენია, დალოცვილო, მზე საცაა მთიდან გადმოგორდება.

ქარხნის ეზოდან პირდაპირ ზღვის ნაპირზე გავიდა.

უკაცური იყო ზღვა... მასავით ბორგავდა... ზეწამომდგარი თეთრი ტალღა ნაპირისაკენ მიისწრაფოდა. და უთვალავ კენჭებით სავესე სანაპიროს ასკდებოდა. სიამით გაჰყურებდა ახლობელ ტალღებს. აი, უკვე 28 წელია, რაც ყოველ დილით ამ სანაპიროს მოინახულებს და მერე წყალში ჩასაშვებად ცისფერ კატარლას მიაშურებს.

— რომელ ქვეყნისაკენ იღებ გეზს, ძმობილო! — გაივლებს გულში, ხელს მოუხვამს გაყინულითონს და ამხანაგების მოლოდინში იქვე ჩამოჯდება.

26 წელია რაც ამ ქარხნის მკვიდრი გახდა. აქ იყო ომის წლებშიც. ბევრი იძალა — ფრონტზე გამიშვითო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, — აქ მეტად გვჭირდებოდა. ნაღმებისაგან ფერდებშეღწილი ხომალდები უნდა შევაკეთოთ, რაშიც ყველაზე მე-

ტად შენი დიდი გამოცდილება და ოქროს ხელია საჭიროო.

ნიკოლოზი დღე და ღამე არ სცილებოდა დაზგებს. ვინ მოთვლის რამდენი სამხედრო გემი თუ კატარღა შეაკეთა იმ ხუთი წლის მანძილზე. ამიტომ დააჯილდოვეს მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“ და „კავკასიის დაცვისათვის“. ახლახან კი, როცა დაბადების სამოცი წელი შეუსრულდა, წითელი დროშის ორდენი მისცეს.

ასობით გემი და კატარღა აშენდა ამ წლებში ბათუმის გემთსაშენ ქარხანაში და ყველა მათგანს ნიკოლოზ გიორგობიანის ოქროს მარჯვენის მაღლი აცხიაოშის შემდეგ ორასადგილიან გემებს აშენებდა, ზოგიერთის სახელი ახლაც ახსოვს: „გელიოდორი“, „ბორის ძნელაძე“, „სოჩინეცი“... ბათუმელ პიონერებსაც მათ დაუმზადეს კოპწია ცისფერი კატარღა „პიონერი“, დედაქალაქსაც მიუძღვნეს 1500 წლის თავზე საპატიო საჩუქრად სეინერი „1500 წელი“, რომელიც დღესაც თბილისის ზღვაში დაცურავს.

ამჟამად ძირითადად წყალქვეშა ფრთიან სამგზავრო და სასეირნო კატარღებს უშვებს. 150 ადგილიანი ბათუმური კატარღები დაცურავენ ნილოსსა და ხმელთაშუა

ზღვაში და არა მარტო არაბ მოსახლეობას აღაფრთოვანებენ თავიანთი მაღალი ხარისხით და მოხერხებულობით, არამედ ყველა მნახველს თვალს სტაცებენ. ორმოცადგილიანი „მფრინავები“ და ტაქსი-გლისერები ხომ მთელი დედამიწის წყლებს მოეფინა: ინგლისი, ამერიკის სანაპიროები, გერმანია, საბერძნეთი, საფრანგეთი, იუგოსლავია, ვიეტნამი... სად არ შეგხვდებათ ბათუმური „ვოლგები“, „არაკადიები“, „ჟემჩუკინები“, და ყველა მათგანის მრავალი დეტალი ასობით ახალგაზრდა ოსტატთა შრომის ნაყოფია და ძია ნიკოს ნახელავი.

... დინჯად დააბიჯებს საამქროში გაჭლარავებული, მაგრამ შრომისაგან გაკაუებული, ჩაფსკენილი ძია ნიკო. ხან ერთ დაზგასთან შეჩერდება, ხან მეორესთან. როგორც ყოველთვის, გულლიად და სიყვარულით ამოხედავენ დაზგასთან დახრილი სახეები, შესცინებენ, კვლავ იხრებიან და ჩარხვას განაგრძობენ.

ძია ნიკოს ახალგაზრდების იმედი აქვს, იცის როგორც ყოველთვის გადაჭარბებით შეასრულებენ გეგმას!

...გამოსაცდელ ნაპირზე კი ყოველდღე ემატებიან ერთმანეთს ცისფერი კოპწია კატარღები.



წიგნების
მუზეუმი

ხალხური სატრფიალო პოეზია

ნეტავ იყო გოგო ჩემი...

ათი თითი ბროლი ხელი
წმინდა წელზე დაგეყარა,
შენი ლოყა ვარდისფერი
ზედ შექერი მოგეყარა.

* * *

დაპნეველა ფეტვის კაკალი,
რა მოკრეფს წიწილის მეტი,
შენს სიყვარულს, ჩემს სიყვარულს,
რა გაყრის სიკვდილის მეტი.

* * *

წმინდა წელი, ზედ ქოშელი,
ნეტავ იყო გოგო ჩემი...
საყვარელო ჭირიმეო,
ერბო ჩიმიჭიმურეო,
შენც ჭამე და მეც მაჭამე,
შენი სულის ჭირიმეო.

მოქმელი მ. თ. ლომინაძე

ბიჭო, უღვაში გეიწყე

გაღმა გამოღმა უდესა
ჩიტი უწყობდა ბუდესა,
ბიჭო, უღვაში გეიწყე,
წადი აკოცე გოგოსა.
ქოლი ქვერი მოგკრიფე,
ციციების სახარელი,
დედაბრები თან ახლავან,
ადრე გასაქარებლები,
ლამაზებსაც ვენაცვალოთ,
წელში მოსაქანებლები.

მთქმელი ქათამაძე ოსმან ისმაილის ძე

მარგალიტისა წვიმამა

მარგალიტისა წვიმამა,
ოქროს მინდორი მონამა,
სამოთხის კარი დაკილტა,
კილტე შენ მოგცა მე არა,
ვაი თუ ასე დაგვმართა,
მე მიყვარდე და შენ-არა

მთქმელი კომახიძე მუხამედ უსუფის ძე

რაიდარირი მეო

ჩემ სახლზეიდან ძეწნებიო, რაიდარირი მეო,
ყელემს გიგავს ნამწნებიო, შენი ჭირიმეო.
იმას ქვევიდან შავი წარბი, რაიდარირი მეო,
ისტამბოლის ყელემს გავსო, შენი ჭირიმეო.
იმას ქვევიდან შავი თვალი, რაიდარირი მეო,
დამწიფებულ მაყვალს გავსო, შენი ჭირიმეო.
იმას ქვევიდან ყირმიზ-ლოყა, რაიდარირი მეო,
შექერ ვაშლის ნათალს გავსო, შენი ჭირიმეო.

მთქმელი აიშე არიფის ასული კახაძე



ა ნ დ ა ზ ე ბ ი

1. ახლობელი — კოჭმოძვარო,
შორებელი — თლათ დამწვარო.
(იტყვიან საცოლის ძებნის დროს)
2. დათვმა დათვი მეიკუჭა და სხვის ყანაში წეიყვანაო.
3. დანის საჭრელს ცულით დასაჭრელად ნუ გახდიო.
4. ერთი ტურის კივილი ქვეყანას ვერ დააქცევს.
5. ვირს რომ დაფხან, წრიხს მოგარტყამსო.
6. ვირს წყალი არ მოსწონს და წყალს — ვირის ჩიჩვირი (ტუჩები)-
7. თავი მაზღალაში ვერ გამძვრალა და კოში შუუკიდიო.
8. თხის ბატონს (პატრონს) თხის კუდიო.
9. თემბელი (ზარმაცი) სალამოს გაქესკინდებო (გაბეჯითდება).
10. პური ვჭამე ასლისა,
დრო მოვიდა წასლისა.
11. სხვისთვის ორი უნდა ინდომო, რომ ღმერთმა შენ ერთი მოგცესო.
12. ინთიშვილი, მინთიშვილი,
რაიც მამა, იგიც — შვილი.
13. კაცს ჯიშს მოუძებნიან და საკაბეს — განს.
14. ფაფაზე კოვზი დასობილი რომ იყოს, ჭამას ყველა მოახერხებსო.
15. ქალს ცხრა კეხი აქვს: ერთი თუ შეგადგა ზურგზე, მერე ყველას
შეგადგამს.
16. ქვეყანა იქცეოდა და ტურას ქორწილი ქონდაო.
17. ღმერთმა გააჩინა თხა,
შესაფერი მისცა რქა.



შეპკრიბოთ ჩვენი კუთხის სიტყვები

ბოხჩა — ფასეულის, სამკაულის შესანახი ფუთა, რომელიც შეკერილია სხვადასხვაფერის ძვირფასი ქსოვილის ნაჭრებისაგან.

გაღორება — გაძნელება, გართულება (საქმის, ვითარების).

გადაბარგვა — გადასახლება, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა.

გულიყანა — საუკეთესო საყანე, საუკეთესო ნაკვეთი.

გზაბაწარა — საცალფეხო ბილიკი.

დოლიაი — ურქო (საქონელი) თხა.

დახრესილი — დაფშვნილი (დაფშვნილი ქვა).

ემია — ბიძა.

ვალა — ქალის თავსაბურავი, თავსახური.

ზილი — ეყვანი.

ზანკალი — ოჯახში ნაქსოვი შალის გეტრები.

თოყო — დონდლო.

კუკული — კვირტი.

კვირტლი — მატყლის ნარჩენი.

მენთევრი — მთაში საქონლის მომვლელი. მენთევრებად უმთავრესად მოხუცი ქალებია.

მერხლიანობა — მენთევრების მონახულება მთაში.

მენტეშა — ანჯამა (კარ-ფანჯრისა).

პაპლუყი — მამალი, ყვინჩილა.

პაიჯი — დაპატიყება.

სეირი — სანახაობა.

სკივრი — განძეულობის, ტანსაცმლის შესანახი ზანდუკი.

ტანი — ხის ტოტი.

ფარტენა — დასართავად გამზადებული მატყლი.

ფარტნა — თოვა, შეხედე რო-

გორ ფარტის! შეხედე, როგორ
თოვს, ე. ი. უხვად მოდის თოვლი.

ფუტი — კვამლი, ბუხრიდან
ადის ფუტი, ე. ი. ბუხრიდან ადის
კვამლი.

ღურნე — წისქვილის ღარი.

ღვიდარო — ნაცარში დაფლუ-
ლი ნაღვერდალი.

ყირმიზი — წითელი.

ყირავი — ჭირხლი.

მაზლი — ქმრის ძმა.

შილი — მაზლის ცოლი.

შავქედის ქარი — ზღვის ქარი,
რომელიც შავქედს გადმოივლის.

ჩარქვეშა — სამოსახლო ადგი-
ლი.

ძმათი — თოვლის ბრწყინვა,
კაშკაში მზებზე.

წვიტი — წვრილი, პატარა, მო-
მცრო.

ჭაჭვი — პეშვი.

ჭალა — სათიბი.

ხერტალი — მატყლის სართა-
ვი, თითისტარი.

ხოშორი — მსხვილი.

ხოშაკალი — სეტყვა, კოხი.

ჩილი — მუშტი.

ლაუსა — უკანგადაზნექილი
რქები.

ლუტე — უგემური, უმარილო.
რილი, ამოგანი — ტალახში ამოსვ-
რილი, ამოგანგლული.

ლუცერაი — უფერული
ლოლომი — ღრმა ტალახი.

ლენძა — ლარის გასაყვანი სა-
ღებავში ამოვლებული ძაფი.

ინათი, ინათიანი — ჟინი, ჟინი-
ანი, მოუტეხელი, მოუღუნავი,
მოუდრეკელი.

ისტახარი — სიზმარი.

იბრეთი — საოცარი, საკვირვე-
ლი, არაჩვეულებრივი.

იელი — ყვითელყვავილიანი
მცენარე, რომელიც ხარობს მთი-
ან ადგილებში.

ჩილატანი — დაწნული ფეხსა-
ცმელი, რომელსაც მთიელები
ხმარობენ (ქალამნის მსგავსი).

თითქვი — ჩვილი, ნაზი, ღორ-
თქო ბალახი.

ქენჩხო — ტახტზე დასაგები
თხის, ცხვრის, დათვის, ირმის
ტყავი, რომელსაც შენარჩუნებუ-
ლი აქვს ბალანი.

კერჩხო ლობიო — გამხმარი
პარკი ლობიოს აკიდო.

სექვი — ტახტი.

ავაზანი — წყლის საგუბარი.

ალაიმალაი — მეტიმეტად-
ალაიმალაი გონჯია ე. ი. ცუდ
შესახედაობისაა.

აწყალა — ლამის, კინადამ.

ბლიკვი — მუშტი.

ბუძგნარი — ეკალ-ბარდით და-
ხლართული, გაუვალი ბუჩქნარი.

ბაღვი — ბავშვი.

ბლაყვი — უნიათო, მიუხვედრე-
ლი.

ბეჩი — სულელი, უჭკუო, ქაუჭი
რაფშუტა.

ბებრეუთი — დედულეთი.

ბარსამი — მრავალი, ბევრი.

ბრეში — რუხი.

მოგვაწოდა იური ბიბილიეშვილმა



ქონასე კაკოზი

ქუჩილი

ხალხი ვერ მიმხვდარიყო, რაზე ყიყინებდა აწოწილი, გამხდარი დამსჯელი და რისთვის გესლავდა ყველას. მისი გაუგებარი სიტყვები მტანჯველად სისინებდნენ ყურებთან. მალე მეზობლის სოფლის მასწავლებელმა შიშით გადაუთარგმნა შეშფოთებულ სოფლელებს.

— ხალხნო, თქვენი ხუტორის მახლობლად სამი ჯარისკაცია მოკლული, რადგან დანაშაული შიგ სოფელში არ არის ჩადენილი გაულებას გადაუტრიალ, ახლა კი იცოდეთ, ჩამოხრჩობილი იქნებით ისინი, ვის სახლშიც პარტიზანები აღმოჩნდებიან. თუ სოფელი არ გასცემს მათ მფარველებს, მაშინ ერთიანად ამოგხოცავთ.

გაძვალტყავებული ქალი თუ ბავშვი, ბერიკაცი თუ დედაბერი, მცხუნვარე მზის ქვეშ განაბულიყო და საშინელ სიცივეს თითქოს გაეთოშა, ისინი ტყვიამუქების ლულებს მიზანში ამოელთ, ამ პაპანაქება სიცხეში ყველა სიკვდილის შიშის სიცივეს აეტანა... მერე დამსჯელის ენიდან კვლავ ამოცოცდნენ ჭრელი გველები და გაემართნენ საბრალო ადამიანების ყურებისაკენ...

— თქვენ შეგიძლიათ ასეთი სიჩუმე კიდევ ათ წუთს გააგრძელოთ, შემდეგ კი...

ათი წუთი, ეს საშინელი ათი წუთი მოედო ყველას. შუბლზე დარბოდნენ ძარღვები. მზე კიდევ უფრო დამძიმდა. ათ წუთს გაშეშებული, უძრავად ქცეული ხალხის თვალები მიწაზე ჩახვეულ ბალახს დაცქეროდნენ,

თითქოს მისგან რაიმე შველას ითხოვდნენ. მერე უცებ შეინძრა და წინ გამოემართა ახოვანი ათანასე კრაკოვი. იგი ჯიქურად მასწავლებლისაკენ წავიდა.

— უთხარი ამ გარეულ კერატს, ის გადაგვარებული წიწილები ჩემმა შვილებმა დახოცეს. არ გაბედონ ჩემი ცემა... უმჯობესია, უბრალოდ ჩამომახრჩონ, არ მეშინია...

— რამდენი შვილი გყავთ ტყეში? — გადაუთარგმნა მასწავლებელმა დამსჯელის კითხვა.

— უთვალავი...

— სახლში ვინა გყავთ?

— მყავდა დედაბერი, გარდაიცვალა...

— სტყუის, გაგიხმა ენა, შე საძაგელო! — ყვირილით გამოეყო ხალხს ხანდაზმული ახოვანი ქალი და მისკენ წავიდა.

— ცოცხლად მმარხავ? და ისიც ასე საჯაროდ, არა გრცხვენია?! მოლაღტევ, ვერსად გამექცევი...

ესეგელი დიდხანს გულიანად ხარხარებდა, როცა მასწავლებელმა დედაბრის აღშფოთება გადაუთარგმნა.

— ეს შენი დედაბერია? — შეეკითხა ათანასეს.

— ჰო, ჩემია ჩემი...

— მართალია მოხუცის ნათქვამი, რომ თქვენი შვილები ტყეში პარტიზანებად არიან გასული?

— დიახ მართალია, არ იცით განა, შვეარდენის ბარტყი ტყეში ბუდობს!

...როცა საშინელმა წუთმა შექუჩულ ხალხს თვალზე ლიბრი ააცალა, ეკლესიის ახლოს ერთად ეკიდნენ ისინი. ღიად დარჩენილ თვალებში ხალხისათვის განწირულებს სიკეთის საოცარი შუქი ენათო.

ათანასე კრაკოვი უშვილო იყო. დედაბერი ორისა, რომელიც თოკით შეუერთდა მას სამუდამოდ, სხვისი ცოლი იყო. ამბობენ ახალგაზრდობაში უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ მშობლებმა ქალი ძალად მდიდარს მიათხოვეს...

ახლა კი ძველი ეკლესიის კედელზე სამუდამოდ ერთად ეკიდა ლეგენდა დიდ სიყვარულზე, რომელიც სიკვდილის შემდეგ ცხოვრებას იწყებს.



საცხველთან ვზივარ. ბაბუა ქვევით ეჯიბრება მზეს — ვინ პირველად დაამთავრებს მღელვარე დღეს—მზე თუ ბაბუა. ბორცვის გრძელი ჩრდილი ლოკავს პარცენა ფეხს. მარჯვენა სათაბის ზოლში უდევს. გალესილი ცელი უსტვენს. ბაბუას არ შეუძლია მოთმენა, სანამ არ ჩაათავებს უკანასკნელ ზოლს. ჩრდილი ჯერ მიაღდა მუხლებს და მოულოდნელად შეაჯდა წელზე, მერე კი თანდათან აცოცდა ზემოდ. მე წამოვხტი და ცერებზე დავდექი.

— ვანო, გესმის ვანო! — მეძახის ბაბუა.

— არ მესმის! — ჩაყვირე ხელებით გაკეთებულ ნავისებურ ხერეღში.

— არ გესმის, შე ზარმაცო? — ბაბუას ხმა ალერსიანი და მოსიყვარულეა. იგი არასოდეს მიბრაზდება. — მომიტანე ქისა, საცაა კოლოები შეჭამენო. ბაბუა რა თქმა უნდა მაშინებს, კოლოები როგორ შეჭამენ ამოდენა კაცს!

მიხარია ბაბუას ყოველი დავალების შესრულება. რაც შეიძლება სწრაფად მივრბივარ და მისი პიჯაკის ჯიბიდან ქისას ვიღებ.

— ფეხები არ დაიჩხვლიტო, — მაფრთხილებს ბაბუა — როგორ შეშინებული კურდღელივით მოჰქრი?

— განა შეშინებული კურდღლები სწრაფად ჰქრიან?

— რა თქმა უნდა.

— შენ არასოდეს დაწევიხარ?

— არ ვიცი, არ მიცდია.

— რატომ არ სცადეთ?

ბაბუა ახვევს თუთუნს და ულვაშებში ელიმება.

— ამისათვის შრომადღეებს არ წერენ.

— რომ გამოწერონ?

— მაინც არ ცდის, არ მიყვარს სულელური საქმის ჩადენა.

ბაბუას პასუხები არ მაკმაყოფილებს, კითხვების გუდას თავი წავუხსენი...

— ჰე, ჰე, ჰე... — იცინის მისი დანაოჭებული სახე — უკეთესია, ცელი აიღო და საცხველში შეიტანო.

როცა მე და ბაბუა სათიბზე მივდივართ, ლურჯია ჩვენს ზემოთ ცა, მიწა კი ათასნაირ ხმებს გადმოსცემს. ვუსმენ მიწას, ვუსმენ ბაბუას ლა-

პარაკს და ჩემს გულში იღვრება რაღაც უხილავი ძალა, რომელიც სამუდამოდ მაჯაჭვებს პაპისეულ მიწასთან. რაც უფრო მეტი რთვილი ედება თმებზე ბაბუას, მეტად ვუყვარდები და გულლია ხდება ჩემთან — გულში არაფერს იტოვებს. ბაბუამ იცის, მისი ძალა და ცხოვრების შინაარსი აწი მე ვარ, რადგან შვილები უკვე აღარ ჰყავს. თუ კი ვაწყენინებდი ჩემი ბაბუის აბეზარობით, ბაბუა მაშინვე მაპატიებდა ხოლმე. იგი დიდი და უბრალო იყო თავისი ბუნებით. ბაბუა ცხოვრებისაგან მოითხოვდა მხოლოდ იმას, რაც ეკუთვნოდა.

ბაბუას უყვარდა ისტორიისა და გეოგრაფიის კითხვა. ძალიან უყვარდა შევჩენკო და გორკი. ის ამბობდა: — შევჩენკო სოფლის მწერალია, გორკი — ქალაქის. ისინი უბრალოდ, ხალხის ენაზე წერენ. იმდენი სიმაღლეს იმათ ნაწერში რომაა, არსად მოიძებნებაო.

ერთხელ, მაშინ მე მეშვიდე კლასში ვიყავი, ბაბუა მთელი დღე გეოგრაფიას კითხულობდა.

— ვანო, წადი დაჩეხე შეშა! — მითხრა დედამ.

— რატომ მაინცდამაინც მე?

— მე უკვე აღარ შემიძლია და იმიტომ. — ჩაილაპარაკა ბაბუამ.

— თქვენ კი მხოლოდ წიგნებს წაიკითხავთ არა?!

— ნუ ყბედობ, ენას კბილები დააჭირე! — დამიცაცხანა დედამ.

ნელდ შეშას ვჩეხავდი. ბაბუამ გვერდით გამიარა და საცეხველში შევიდა. მას ხელში მაგარი კანაფის თოკი ეჭირა. მე ვჩეხდი, ხოლო საცეხველში სიჩუმე იყო. მოულოდნელად თითქოს ვიღაცამ ცულის ტარი გულზე დამკრა... ცული თოვლზე. გადავისროლე და საცეხველში შევვარდი...

— ბაბუა...

ბაბუას ხელში თოკი ეჭირა. თოკის ბოლოზე დიდი ნასკვი ეკეთა. სწორედ იმოდენა, ძროხის რქებზე ჩამოსაცმელად რომ აკეთებენ. მის ყოველ მოძრაობას ცივი სიჩუმე ახლდა. ბაბუამ შემომხედა, როცა შეტარუნება შემინინა დაიბნა...

— რა მოგივიდა ვანო?

— თქვენ თოკით მოდიოდით, მე კი ვიფიქრე... — მის ძველ ტყაპუქს მივეკარი და ღრიალი დავიწყე.

საღამოს ბაბუამ დედას უთხრა:

— ანა, ხვალ ვანო სკოლაში არ წავიდეს!

— რატომ?

— რადგან ვთქვი, მაშასადამე ასეა საჭირო!

— კარგი. ივანიკო, ნუ წახვალ შვილო! — ექვა და ბაბუას ახირების ნიშნად მხრები აიჩეხა.

...მეორე დღეს მკაცრი და ლამაზი ბერიკაცი კუბოში იწვა. კუბო მვე-
ლისძველი მუხის სკამზე იდო.

ეზოს მზე დაჰნათოდა...

ხრამუნობდა თოვლი...

ყიოდნენ მამლები. არავინ მიყვარდა ისე, როგორც ბაბუა... ბაბუები
ცხოვრების სიბრძნესა და ისტორიას თავისი მოხრილი მხრებით დაატარე-
ბენ. მათში იმდენი სილამაზე და სინაზეა, ეს იმგვარი სულის მშვენიერე-
ბაა, ახალგაზრდას რომ მუდამ შეშურდება.

როცა ავტობუსში მოხუცს ხელში ორცხობილას ასხმა უჭირავს, რა-
ტომღაც მგონია ჩემს ხატაში მოვა და ბაბუას ხმით მეტყვის :

— შეხედე, ვანიკო, რა მოგიტანე?!

უკრაინულიდან თარგმნა ნური შერაძემ.



ეკატერინე ჭავჭავაძის ბარათი

ნინო გრიბოედოვასადმი წინანდალს.
მინაწერი.

ო, დაო ჩემო,
ესე უსტარი,
უძილო ფიქრებს ღამეს უთევდა,
გული სიბერიი დანასუსტარი
გიხმობს,
გეძახის,
გესათუთება.

ო, დაო ჩემო,
დიდი ხანია,
რაც დამჭკნარ ბაგეთ
ლოცვა არ უთქვამთ;
აღარც ზღვის კარად მიმიხარია,
სულ სიმარტოვემ დამისაკუთრა.

რა უღვთოდ განქრა ჟამი გიჟური,
ამაოდ ეძებს მის კვალს აშულიც...
აღარც — გვირგვინი,
აღარც — მიჯნური, —
მარტოდენ მათი შემრჩა ნაშუქი.

ვიცი, გაზინებს
ეს ჩემი ფიქრი
და აგონიაც ჩემი გაოცებს;
სასახლის ჩრდილში
ვზდგარ და ვითვლი
ძველ სადედოფლო კაბის ნაოჭებს.

გადავიწყნია ბუღბუღს გალობა,
სულს სხვა ცხოვრების
ესმის ნადური;
დამკვნარა ჩემი ყმაწვილქალობა
და სიამაყე ძველთავადური.

არღა მაქვს ის ხმა,
არც ეს იერი
და ვერც წინანდელ სახელს ვიფერებ;
არც „მთავრინა“ ვარ,
არც — „ცის იერი“
და ჩაჰფრენია ლაწვებს სიბერე.

მიმწუხრი ისე
მოსდევს ალიონს,
უთქმელად კვდება
ცრემლით სათქმელი;
რომელ საყდარში მოვიწინიო,
დამქრალა ყველა ჩემი სანთელი.

მე რომ ვარსკვლავი
უარგყავ ერთხელ,
აქამდე მომდევს მისი გოდება;
დე, მთელი ქვეყნის
სამეფო კვერთხებს
სირცხვილად ეცხოს ეგ შეცოდება!

ვიგონებ იმ წლებს,
წყალივით ჩავლილს
და სულში ვიღაც
მწუხრის ჰანგს უკრავს;
ყმაწვილქალივით გავლილი ჟამი
მხოლოდ უხორცოდ ბრუნდება უკან.

ო, დაო ჩემო,
ესე უსტარი
უძილო დარდებს ღამეს უთევდა;
გული სიბერით დანასუსტარი
გინმობს,
გეძახის,
გესათუთება.



ასე ვიგონებ...

ასე ვიგონებ ახლა ქალაქში,
სად არის ჩემი ცაცხვების ჩრდილი, —
ვილუმპებოდი ცვრიან ბალახში
და მზეს ამოსვლას ვასწრებდი დილით.
ხან ვისვენებდი მდინარის პირად,
დამშრიალებდნენ ძეწნები ირგვლივ
და მიტაცებდა გაშლილი ცისფრად
ცა, — ვარსკვლავებით ნაწერი წიგნი.
რა უდარდელად, ანდა რა რიგად,
მქონდა გულმკერდი გადაღედილი,
და მინათებდა ბავშვობის დილას
აწ შორეული მამის ღიმილი.

* * *

ვიცი, რომ სადღაც საოცრად ბრწყინავს
ულამაზესი ჩემი ღვთაება.
ნეტავ ოდესმე თუ შემომწირავს,
თავის სიყვარულს ვით უკვდავებას...
ბედო, ზღვა-ხმელი მომათარეშე
და არ კი მითქვამს მე შენთვის ჯერაც,
რომ მიჭირს ყოფნა მე მის გარეშე
და აღარც ჩემი სიმღერის მჯერა.



„ჩველანი ჩვენი“

ყვავილების უანგარო მსახური

ლამაზია ყვავილებში ამოყვანილი ქალაქი. იგი სიყვარულის და მადლიერების გრძნობით ავსებს როგორც აქაური მკვიდრის. ასევე ჩამოსული სტუმრის გულს. ჭეშმარიტად, შთამბეჭდავია ყველა მისი კუთხე, მიდამო, შემოგარენი, მაგრამ ყველა ამ სილამაზის ფასუთქმელი სამკაული ზღვისპირა პარკია.

უხილავი და ამოუხსნელი ოსტატია ბუნება, მაგრამ სილამაზის, ახალი ფორმის, თუ ახალი სახის შექმნის თვალსაზრისით, ადამიანი გამუდმებით ეწევა ბუნების გარდაქმნას, აუმჯობესებს მის პეიზაჟებს, ლანდშაფტებს, უფრო ლამაზს, მცენარეთა და ყვავილთა ფორმებს ქმნის. ვისაც ზღვისპირა პარკში ერთხელ მაინც გაუვლია, შეუძლებელია არ შეემჩნია ნაირფრად მოღაღანე, მაღალი გემოვნებით გაკეთებული კლუმბები, რომლებიც ყვავილთა ფერების ოსტატურად შეთანხმების ჰარმონიით პოეტურ ანსამბლებს ქმნიან, თუნდაც, კაფანდარა, დაშოლტილი გლადიოლუსები, ნაზი ყაყაჩოები და ბოლოს კი ტურფა ვარდნარი, რომელიც მუდამ ახალისებს თვალსა და გონებას. მაგრამ ყოველივე ეს ბუნების მზამზარეული წყალობა როდია, იგი ამაგდარი ქალის — ნადია ჭედიას ოცდახუთმეტი წლის ნაამაგარია. ამ ნატიფ ყვავილებს და ნარგავებს სათუთი და გამოცდილი ხელიც სჭირდებოდა. ყველას როდი შეუძლია ყვავილის კვირტის საიდუმლოს ამოხსნა. მაგრამ ნადიას დაუღალავმა მარჯვენამ, მოუსვენარმა ბუნებამ, დიდმა სიყვარულმა ბრწყინვალედ შეაძლებინა. იგი არა

მარტო სამი შვილის დედაა, არამედ ამ ყვავილების მზრუნველი მშობელიცაა. ხშირად, ძალიან ხშირად შეხვედებით მცხუნვარე მზის ქვეშ, ჭილინ ქუდში მუდამ მღელვარე სახის მანდილოსანს, რომელიც ნარგავებს თავს დასტრიალებს. ხოლო საღამოთი თუმცა საბავშვო ეტლით მაინც აქაა საცდელ ნარგავებთან მოუსვენარი ბებია... მუდამ გაზონებთან თუ კლუმბებთან მოფუსფუსე. მის ბუნებას სხვაგვარად ვერც წარმოუდგენია. — ბავშვობიდანვე ჩემს გატაცებას ყვავილი იწვევდა — ამბობს ნადია — ბუნების სილამაზე და სიყვარული მასაზრდოებდა, ყოველთვის. ყვავილები და მხოლოდ ყვავილები იყო ჩემი ზრუნვის საგანი და ჩემი ცხოვრებაც ბოლომდის შეეჩვია მათ.

ბუნებრივია ყველა ადამიანის ცხოვრებაში არის წინაღმდეგობა. სამამულო ომს არც ნადია ჭედის ოჯახისათვის აუვლია გვერდი. მან ცხოვრების საყვარელი მეუღლე და მეგობარი დაჰკარგა. მაგრამ ყვავილების უცოდველმა ღიმილმა გადაარჩინა... დარდი შეუმჩატეს, ცხოვრების დანიშნულება აგრძნობინეს და დღემდე ერთად არიან ბუნების დიდსა და ლამაზ გზაზე. ნადია ჭედია უდაოდ მადლმოთხილი ქალია, ვინ მოსთვლის მისი ნაშრომის ხილვით რამდენი თვალი დამტკბარა, რამდენ აწეწილ სულს მალამოსავით მისდგომია ყვავილების სალბუნი.

ნადია ჭედია ჩვენი ქალაქის მკვიდრია. საშუალო სასწავლებლის დამთავრებს შემდეგ სწავლა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში განაგრძო. აგრონომ-დეკორატორის სპეციალობით 1934 წლიდან მუშაუბნე კონცხის მეურნეობაში ჰიბრიდების გამოყვანაზე მუშაობდა. 1935 წლიდან დღემდე კი ჩვენი პარკის აგრონომ-დეკორატორია. მისი მუშაობის ძირითად მიზანს ახალი ჯიშების გამოყვანა შეადგენს. პარკში მას გამოყოფილი აქვს ნაკვეთი, სადაც ახალი მცენარეების შეჯვარებას აწარმოებს.

ცნობილია ერთწლიანი დეკორატიული ყვავილი ანტერიუმი, რომელიც უშუალოდ ნადიას შეჯვარებით გარდაიქმნა მრავალწლიან მცენარედ. ანტერიუმისათვის დამახასიათებელი იყო ვარდისფერი ყვავილის ბუტკოები. შეჯვარების შედეგად კი მიიღო სრულიად ახალი, მეტად სასიამოვნო, მუქი ალუბლის ფერი. ასეთივე შეჯვარებით არის მიღებული პეტუნია. იგი მრავალწლიანი ყინვაგამძლე მცენარეა. პეტუნია ადრე გაზაფხულზე ყვავილობს. დამტვერვის შედეგად — ფერი შეიცვალა — უფრო განაზდა, გამშვენიერდა და ძალიან დაემგვანა ჩინურ ვარდს. „საერთოდ ზღვისპირა პარკის ყვავილები ნაკლებ სურნელოვანი იყო, — ამბობს ნადია. — მათ აკლდათ სპეციფიური არომატი. ამიტომაც წელს ვაწარმოებ ვარდების მცნობა, რომელმაც ძალიან კარგი შედეგი მოგვცა“.

ბოლქვოვან ყვავილებიდან კარგ შედეგს იძლევიან გლადიოლუსები (ხმალა). ესეც ნაირფეროვანი ყვავილია, იგი ვარდებთან ერთად ჩვენი პარკის წამყვანი ყვავილია. — გატაცებით მიყვება და მათვალისწინებს ნარგავებს.

—საერთოდ პარკში ყვავილების სხვადასხვა ჯიშია დაკომპლექტებული — მიმართავს იგი — თითქმის ხუთმეტრიოდე ჯიშის ყვავილი ხარობს ჩვენი პარკის ნაკვეთებზე. ამჯერად კი მათ მრავალრიცხოვან ოჯახს ჩინური ყაყაჩოც დავუმატეთ. გარდა ყვავილებისა ჩვენს პარკს მარადმწვანე დეკორატიული ნარგავებიც ამშვენებენ. ნაძვები, პალმები, კვიპაროსები, რომლებსაც — ამბობს ნადია — მსგავსად ყვავილებისა ყოველწლიურად დეკორატიულად ვაფორმებთ. გვიან შემოდგომაზე და ადრე გაზაფხულზე.

გაზაფხულზე კლუმბებში საგაზაფხულო ყვავილებს რგავენ, სადაც ნაირ-ფერ კლუმბებს თანდათანობით გადავყავართ ჰარმონიულ ფერთა სამყაროში. ასე იცვლება ჩვენი პარკის მომხიბვლელობა, რათა ადამიანის თვალმა და სულმა დაისვენოს, გალალდეს, ახალი სულიერი შთაგონება მიიღოს. ეს კი ადვილი საქმე როდია! მაგრამ ნადია ჰედისა მოუღლეელი მარჯვენა და მისი მგრძნობიარე სული, რომელიც ყვავილების წიაღში მკვიდრობს, ამის თავდები გახდა.

მადლიერი ადამიანი ყოველთვის ეთაყვანება ბუნების სილამაზესა და მის ამაგდარ ადამიანებს.



აქაჩის
ბიბლიოთეკა

აჭარის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიიდან

ოთხმოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა 1877-78 წ.წ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, რუსი მხედრობის დახმარებით დიდი ისტორიული გამარჯვება მოიპოვა და საქართველოს მკვიდრი ნაწილი — აჭარა თავის ოჯახს დაუბრუნა.

დასრულდა აჭარელთა საუკუნოვანი ტანჯვა დამპყრობლის მძიმე უღელქვეშ. მთლიან საქართველოსთან ერთად მას მომავალი ცხოვრების ახალი პერსპექტივა დაესახა.

XIX საუკ. 80-იანი წლებიდან ევროპის კაპიტალისტური განვითარების საერთო ფონზე თურქეთი, თავისი ეკონომიური და კულტურული განვითარების დაბალი დონით მეტრად გამოირჩეოდა. მარქსის შეფასებით იგი ამ დროისათვის განვითარების ყველაზე დაბალ და ბარბაროსულ საფეხურზე იდგა.¹

რუსეთ-თურქეთის ომი, რომელიც 1877 წლის აპრილში დაიწყო, მალე თურქეთის დამარცხებით დამთავრდა. დამარცხებულმა მხარემ ზავი ითხოვა. ომის მიმდინარეობის მსვლელობაში რუსეთის ჯარებმა სტრატეგიულად ხელსაყრელი ადგილები დაიჭირეს, როგორც კავკასიის, ისე ბალკანეთის ფრონტებზე. რუსეთის არმია შორს გაიჭრა აზიის თურქეთის

1 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ტ. 9, გვ. 374.

სიღრმეში და ყარსის, არდაგანისა და ბაიაზეთის ოლქების ვრცელი მუშა-
წყალი დაიკავა. ბალკანეთში იგი ანდრიანოპოლის ალექსის შემდეგ კონს-
ტანტინეპოლს, „ცარგრადს“ უახლოვდებოდა.¹ მართალია, 1878 წლის 18
იანვრის შეტევა ციხისძირზე, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ბათუმის
ბედი, უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ რუსეთის მხედრობის საერთო წარ-
მატებამ აიძულა თურქეთი მოლაპარაკების დროს რუსეთის ყველა პირო-
ბაზე დათანხმებულიყო. 1878 წლის 19 თებერვალს ქ. სან-სტეფანოში რუ-
სეთსა და თურქეთს შორის ზავი დაიდო. საზავო პირობებით რუსეთს უნ-
და შემოეერთებინა ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქები, მაგრამ სან-
სტეფანოს ხელშეკრულება, ევროპის სახელმწიფოების ჩარევით, რომელ-
საც ინგლისი მეთაურობდა, არ იქნა განხორციელებული. რუსეთ-თურქე-
თის 1877-78 წლების ომის შედეგების საკითხი ევროპის ქვეყნების: ინგ-
ლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრიის, იტალიისა და სხვა მთავრობა-
თა მონაწილეობით ბერლინის საერთაშორისო კონგრესს უნდა გადაეწყვი-
ტა სან-სტეფანოს დაზავებიდან ბერლინის კონგრესამდე განვლილი დრო
— (1878 წლის თებერვალი-აგვისტო) თურქეთმა სცადა გამოეყენებინა
იმისათვის, რომ ბათუმი და ბათუმის ოლქი ევროპის ქვეყნების დახმა-
რებით კვლავ თავის მფლობელობაში დაეტოვებინა.

თურქეთის ხელისუფლებამ, რომელიც ვერ შერიგებოდა აჭარის „და-
კარგვას“, სან-სტეფანოს დაზავების შემდეგ მოსახლეობაში მრავალ პრო-
ვოკაციულ ხერხს მიმართა. მთელ ამ საქმიანობას ბათუმში მოკალათებუ-
ლი თურქეთის კორპუსის სარდალი დევირიშ-ფაშა ხელმძღვანელობდა.
პროვოკაცია განსაკუთრებით გაძლიერდა გენერალ-მაიორ კომაროვის მი-
ერ 1879 წლის 17 აპრილს ართვინის დაკავების შემდეგ.

სან-სტეფანოს შეთანხმების შესაბამისად რუსეთის სარდლობის გეგ-
მით, მათ ჯარებს ბათუმიც უნდა დაეკავებინათ. სწორედ აქ იჩინა თავი
თურქეთის წინააღმდეგობამ. თურქეთის ხელისუფლებას ამ საქმეში ევრო-
პის ქვეყნები აქეზებდა. მათ არ სურდათ ბათუმისა და მისი ოლქის რუსე-
თისათვის „დათმობა“. ბერლინის კონგრესზე, ერთი მხრივ, რუსეთის მთა-
ვრობის წარმომადგენლებზე სასტიკი „დაწოლა“ წარმოებდა ბათუმის და-
სატოვებლად, მეორე მხრივ, თურქი აგენტების მეოხებით ზემო აჭარაში,
ქობულეთში და განსაკუთრებით ლაზეთში რუსეთთან შეერთების საწინა-
აღმდეგო პროვოკაციული საქმიანობა მიმდინარეობდა.²

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 159.

2 შ. მეგრელიძე, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, 1965, გვ. 69.

როგორც ცნობილია, ომის მსვლელობაში აჭარის მოსახლეობა, განსაკუთრებით ის სოფლები, რომლებიც ფრონტის ხაზზე აღმოჩნდნენ (ქობულეთი) მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ. საქმე მარტო იმაში როდი იყო, რომ ხალხი სამეურნეო საქმიანობას მოწყდა და მისი ეკონომიური ცხოვრება დაეცა, არამედ მოწინააღმდეგე არმიების მანევრირებამ და სამხედრო ოპერაციებმა, ისედაც დაბეჩავებულ მოსახლეობაში შიში და დაბნეულობა შეიტანა. ამ გარემოებას ზოგჯერ მოხერხებულად იყენებდნენ: თვით თურქეთის სარდლობა, ადგილობრივი მაღალი წოდების წარმომადგენლები და ხოჯა-მოლები. მთელი ამ „საქმიანობის“ ცენტრი თავს იყრიდა ბათუმში — მუშირ დევრიშ-ფაშასთან.¹

თურქეთის სარდლობამ ენერგიული ზომები მიიღო სან-სტეფანოს შეთანხმების საწინააღმდეგოდ. დევრიშ-ფაშა ყოველგვარ ზეგავლენას ხმარობდა, რათა გენერალ-ლეიტენანტ კომაროვის ნაწილებს ართვინის შემდეგ ბათუმში არ დაეკავებინათ. იგი ზემო აჭარის მოსახლეობას აქეზებდა შერიგებებზე ხიმშიაშვილის წინააღმდეგ, რომელიც რუსეთის მომხრე იყო. ხოლო ალი-ფაშა თავდგირიძე და მისი ძმები ქობულეთში დევრიშ ფაშას აშკარად ხელს უწყობდნენ.²

დევრიშ-ფაშა არ დაკმაყოფილდა რუსების მიერ ართვინის დაკავების გამო ოფიციალურ ულტიმატუმებს, რომლითაც მან სრულიად დაუსაბუთებლად მიმართა ართვინის რაზმის უფროსს გენერალ-მაიორ კომაროვს და რიონის მხარის ჯარების სარდალ გენერალ-ლეიტენანტ ოკლობეიოს. თურქეთის სარდლობამ სან-სტეფანოს დაზავების პირობების დარღვევით დაიწყო მოსახლეობის „გამოსვლების“ ორგანიზაცია და მზადება ართვინის დასაკავებლად.

ართვინის თითქოსდა „თვითნებური“ დაკავების მოტივით, ბათუმის ოლქის მაშინდელმა ხელისუფლებამ განსაკუთრებული ღონისძიებები მიიღო. თურქეთის აგენტურა ჭოროხის ხეობის მოსახლეობაში ლაზებში, აჭარასა და მაჭახელში ხმებს ავრცელებდა რუსეთ-თურქეთის შეთანხმების დარღვევის აუცილებლობისა და ართვინიდან რუსების წასვლის შესახებ.³

თურქეთის ხელისუფალნი მარტო პროპაგანდას არ კმაყოფილდებოდნენ, მათ მოსახლეობის „მისამხრობად“ სამხედრო ძალის გამოყენებას მიმართეს⁴ და ბათუმის ოლქის მთელ რიგ ადგილებში რეგულარული ჯარები შეიყვანეს.

1 ხ. ახვლედიანი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათუმი, 1957, გვ. 132.

2 საქ. სსრ მეცნ. აკად. ბათუმის სამეც.-კვლ. ინსტიტუტის 1962 წ. ეთნოგრაფიული ექსპლუაციის დღიური.

3 ვ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958, გვ. 65; შ. მეგრელიძე, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათუმი 1956, გვ. 69-70; მისივე, აჭარის წარსულიდან, თბ. 1964, გვ. 11-12.

4 ხ. ახვლედიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 132.

თურქეთის ხელისუფლების ამ მოქმედებამ ერთხანს — 1878 წლის აპრილ-ივლისში — ერთგვარი შედეგი გამოიღო. ამას ხელს უწყობდა რუსეთის წინააღმდეგ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური კომპანიაც.

თურქეთის ამ მოქმედების შედეგად 1878 წლის აპრილის ბოლოს ლაზისტანსა და ზემო აჭარაში ადგილი ჰქონდა მოსახლეობის ერთი ნაწილის მღელვარებას. თურქებმა ისარგებლეს მდგომარეობით და ზემოაჭარის გავლენიან პირთან შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილთან ანგარიშის გასწორება გადაწყვიტეს. თურქების მიერ მოტყუებულმა აჭარელთა ერთმა ჯგუფმა დაარბია შერიფ-ბეგის სახლკარი, რომელიც იძულებული გახდა რუსეთის არმიისათვის შეეფარებინა თავი.¹

თურქეთის სამხედრო ხელისუფლება მდგომარეობას უფრო და უფრო ართულებდა. კომაროვისა და ოკლობუიოს ცდები, მოლაპარაკების გზით აეძულებინათ დევრიშ-ფაშა ავანტურაზე ხელა აეღო, სასურველ შედეგს არ იწლოდა.²

თურქეთის სამხედრო ხელისუფლებამ მიუხედავად საზავო პირობებისა, დევრიშ-ფაშის მეოხებით 1878 წლის 12-17 მაისს გენერალ კომაროვის ნაწილების წინააღმდეგ ათასი „ბაშიბუზუკის“ თანხლებით სამი ბატალიონისაგან შემდგარი ნაწილი გადაისროლა. თვით ართვინის კაიმაკამმა მუსტაფა-ფაშამ მოსახლეობაში იარაღის დარიგება დაიწყო და აუკრძალა მათ რუსული ნაწილებისათვის სურსათის მიყიდვა. დევრიშ-ფაშის ამ ოპერაციას რამდენადმე ხელს უწყობდა ზემო აჭარიდან შავშეთში „ბაშიბუზუკთა“ თავდასხმა, რომელიც თურქების საერთო გეგმაში შედიოდა.³

მაგრამ რუსეთის სარდლობა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან გამოდიოდა და საომარი მდგომარეობის განახლების ამ ავანტურას არ აპყვა, რადგან იგი ხელს შეუწყობდა მოსახლეობის უფრო მეტად დაშინებას და უნდობლობას რუსეთის სამხედრო ნაწილებისადმი. რუსეთის სარდლობამ ყოველი ღონე იხმარა რათა დევრიშ-ფაშას ხელი აეღო ამ უმსგავსო მოქმედებისაგან. ამასთან ერთად სამხედრო ნაწილებს ებრძანათ შეტაკების შემთხვევაში შეენარჩუნებინათ დაკავებული პოზიციები როგორც ართვინში, ისე ქობულეთის უბანზე. დევრიშ-ფაშა ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილების მოლოდინში იყო, მან უარი თქვა მოსალაპარაკებლად თბილისში მიწვევაზე. ამავე დროს თურქების აგიტაცია აჭარის მოსახლეობაში გრძელდებოდა. მასში უკვე აქტიურად მონაწილეობდნენ ინგლისელი ემისრებიც.⁴

1 სახ. ცენტრ. სამხ. ისტ. არქ. ფ. ვუა, საქმე 1137, გვ. 5-6.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 7.

4 იქვე, გვ. 9-11.

ინგლისის მთავრობა საზავო მოლაპარაკების წინ არა მარტო ოფიციალურ დემარშებს აკეთებდა რუსების წინააღმდეგ ომის დაწყების შემთხვევაში, არამედ მისი ავენტურა თვით აჭარაშიაც „საქმიანობდა“, რუსეთის წინააღმდეგ ინგლისის საომარი გამოსვლის შესაძლებლობისა და რუსების ჯარების დამარცხების აგიტაციით. ინგლისელთა წაქეზებით იყო, რომ ართვინის მისადგომებთან ლაზების შეიარაღებულმა ჯგუფმა რუსულ მოწინავე ნაწილებს სროლა აუტეხა.

რუსეთის ჯარების კავკასიის მთავარსარდლობა გულხელდაკრეფილი ვერ შეხვდებოდა ავანტურისტულ მოქმედებას, რასაც თურქეთის სამხედრო ხელისუფალნი ინგლასელების წაქეზებით სჩადიოდნენ. მან თავის მხრივ აუცილებლობის შემთხვევაში კონტროლისძიების გეგმა დასახა. სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით ეს გეგმა ორი ნაწილისაგან შედგებოდა: 1. იმ შემთხვევაში თუ მხოლოდ თურქეთის ჯარები მოაწყობდნენ შეტაკებას, რუსეთის მხედრობის გეგმით ჯარები უმაღლვე შეტევაზე უნდა გადასულიყვნენ დაკავებული პოზიციებიდან და დაეჭირათ ბათუმი სამი მხრიდან: ქობულეთიდან, ზემო აჭარიდან და ართვინიდან. 2. მეორე ოპერატიული გეგმა ვარაუდობდა თურქეთისა და ინგლისის ჯარებთან შეტაკების შესაძლებლობას და ამ შემთხვევაში პირველ ხანებში იგი დაკავებულ პოზიციებზე თავდაცვითი ხასიათისა უნდა ყოფილიყო. სამხედრო სარდლობის გეგმაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ადგილობრივი მოსახლეობის თურქეთის ჯარების გავლენისაგან ჩამოცილებას და მათთან ურთიერთობის განმტკიცებას ეჭირა.¹

ამრიგად, 1878 წლის თებერვალ-ივლისში ბათუმის ოლქში უაღრესად გამწვავებული მდგომარეობა შეიქმნა, რაც მაშინდელი საერთაშორისო პოლიტაკური ვითარების ერთერთი გამოხატულება იყო.

რუსეთის ეს გამწვავებული საგარეო მდგომარეობა ბათუმის საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო მსჯელობის საგანი გახდა. ეს მოვლენა რუსულ და საზღვარგარეთულ პრესაში ფართოდ აისახა. რუსეთის ამ მდგომარეობაზე მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, როცა წერდა, რომ 1878 წელს თურქეთთან დაკავშირებით რუსეთი ინგლისთან ომის საფრთხის წინაშე იდგაო.²

ამგვარად, 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად ბათუმის საკითხი უაღრესად მწვავე პრობლემად გადაიქცა. იგი 1878 წლის ბერლინის საერთაშორისო კონგრესის მსჯელობის ცენტრში იდგა. მაგრამ ვერც თურქეთის მთავრობის პროვოკაციულმა მანევრირებამ და ვერც

1 იქვე, გვ. 10-11.

2 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 159

ადგილობრივი მაღალი ფენების გამცემლობამ, ვერ შეაჩერა აჭარის განთავისუფლებისათვის ბრძოლის მიმდინარეობა. რუსეთი არა მარტო შავ ზღვაზე მოპოვებულ გამარჯვებას არ დასთმობდა, არამედ 1877-78 წლების ომის შედეგი იმდენად მნიშვნელოვანი იყო მთელი ქართველი ხალხისათვის, და განსაკუთრებით კი აჭარის მოსახლეობისათვის, რომ არავითარ ძალას აღარ შეეძლო მისი შეტრიალება.

ბათუმის ოლქის მოსახლეობის ჩამორჩენილი ფენების მოტყუება თურქეთის ხელისუფლებამ დიდხანს ვერ შეძლო. ბერლინის კონგრესის მსვლელობაში კიდევ უფრო ნათლად გაჰქანდა მათი საწინააღმდეგო ტენდენცია.

რუსეთის არმიის სარდლობა ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ მოსახლეობის საერთო განწყობილება 1878 წლის ივლისისათვის კვლავ განმტკიცდა და სასურველი გახდა. მათ ზურგი შეაქციეს თურქებს.¹ რუსი მხედრობის კეთილშობილურმა მოპყრობამ, უკანდახევის დროს თურქი ასკერების ძალადობამ, ხალხს თვალი აუხილა. აჭარის მოსახლეობის სიმბათიები გამანთავისუფლებელი მხედრობისადმი დღითი-დღე იზრდებოდა. ამის ერთ-ერთი დადასტურება ქიზულეთის მოსახლეობის მოქმედება იყო. ცნობილია, რომ ომის მსვლელობაში ხალხის მოლაღატე თავდგირიძეებმა ალი-ფაშას მეთაურობით რუსების წინააღმდეგ ერთგვარი „ლაშქარი“ („ბაშიბუზუკი“) შეაკოწიწეს, მაგრამ, როგორც მასალებით დასტურდება, თვით საომარი ოპერაციების მსვლელობაში ქობულეთელთა დიდი ნაწილი ჩამოშორდა მოლაღატე ფაშას, ნაწილი კი რუსების მხარეზე გადავიდა.² ომის შეწყვეტის შემდეგ მოსახლეობამ სწორი არჩევანი გააკეთა.

თურქეთის აგენტები: ალი ფაშა და ასლან ბეგ თავდგირიძეები თავიანთი მომხრეებით, ჯერ კიდევ საზავო მოლაპარაკების დროს ხალხს მოუწოდებდნენ რუსების მხრით შევიწროებისაგან თავდაღწევის მიზნით დაეტოვებინათ ადგილსამყოფელი და თურქეთში გადასახლებულიყვნენ.³

ომის მსვლელობაში სამხედრო მოქმედების მთელი სიმძიმე ყველაზე მეტად ქობულეთმა გადაიტანა. იგი მდინარე ჩოლოქიდან ციხისძირის მისადგომებამდე საომარი ოპერაციების ცეცხლში იყო გახვეული, ასეთ ვითარებაში, ზუნებრივია, მოსახლეობა მუდმივი დარბევა-დაქცევის შიშის ქვეშ იმყოფებოდა და პროვოკატორთა აგიტაციას მუჰაჯირობაზე ერთგვარი გავლენა უნდა ჰქონოდა, მაგრამ მალე ვითარება შეიცვალა და ხალხმა სწორი არჩევანი გააკეთა — თურქეთის აგენტებისა და ბეგ თავდგირიძეების წინააღმდეგ აღსდგა.

1 სახ. ცენტრ. სამხ. არქ. ფ. ვუა, საქ. 1337, გვ. 10.

2 საქ. სსრ. მეცნ. აკად. ბათუმის სამეცნ. კვლევ. ინსტიტუტის 1962 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური.

3 სახ. ცენტ. სამხ. არქ., ფ. ვუა, საქმე 1337, გვ. 44

1873 წლის 14 აგვისტოს ქობულეთელთა დელეგაციამ ოკლობის
გადასცა ხალხის გადაწყვეტილება რუსეთის მთავრობასთან მათი კარგი
ურთიერთობის შესახებ. თავის მხრივ რუსეთის მთავრობის სახელით გენე-
რალ-ლეიტენანტმა ოკლობეიმ მათ მისცა გარანტია.

«...14-го же числа вновь прибывшим на Хуц-убани из Кобулета
депутатам с обещанием нам полной покорности было объявлено по-
веление его высочества о неприкосновенности их быта. Из перегово-
ров с этими лицами выяснилось и делавшиеся турецкими властями
убеждения народа к переселению в Турцию, в виду вероятных со-
стороны нашей притеснений, исходившие от разъезжавших по краю
местных беков Али и Аслана Тавдгиридзе и других».¹

ქობულეთში საქმის ასეთი წარმართვით თვით რუსი მხედრობის წა-
რმომადგენელნი აღფრთოვანებულნი იყვნენ.

ბერლინის კონგრესმა, რომელიც 1878 წლის ივნის-ივლისში მიმდი-
ნარობდა რუსეთს ყარსის, არტაანის, ართვინისა და ბათუმის ოლქების
ვრცელი მიწა-წყალი დაუტოვა.

ბერლინის საერთაშორისო კონგრესის გადაწყვეტილებით თურქე-
თის მიერ ბათუმის ოლქის რუსეთისათვის ჩასაბარებლად 1878 წლის აგ-
ვისტოში ქ. ქუთაისში ორმხრივი რუსეთ-თურქეთის კომისია მუშაობდა.
კომისიაში რუსეთის მხრივ წარმოდგენილნი იყვნენ: გენერალ-ლეიტენან-
ტი თავადი ტრუბეცკოი, თავადი გ. გურიელი, ზემდეგი ვასილჩიკოვი და
რუსეთის ყოფილი ელჩი — ჯუღაიჩი. თურქეთის მთავრობას წარმოდგენ-
დნენ: ნეად-ფაშა, ალი-ბეი, სულეიმან-ბეი და სხვ. კომისიის მუშაობას
ხელმძღვანელობდა კავკასიის არმიის მთავარსარდლის მოადგილე გენე-
რალ-ადიუტანტი თავადი სვიატოპოლკ-მირსკი. კომისიამ 16 აგვისტოს
დაამთავრა მუშაობა და რუსული ნაწილების ბათუმში შესვლის დრო 25
აგვისტო დაადგინა.

ბათუმის ოლქის დაკავება რუსეთის კავკასიის მთავარსარდლობის
გეგმით სამი მხრიდან უნდა მომხდარიყო: ქობულეთიდან — ჩურუქსუს,
სამეხის, კვირიკის, ციხისძირისა და ჩაქვის გავლით. ართვინიდან — ქედა-
ბათუმის მიმართულებით და ახალციხიდან: ხულო-ქედა-ბათუმის მიმა-
რთულებით. საერთო ხელმძღვანელობა დავალებული ჰქონდა სვიატო-
პოლკ-მირსკის, რომელიც ქობულეთის რაზმს მიუძღოდა. ქობულეთის
რაზმს მეთაურობდა გურიის ნაწილის უფროსი გენერალ-მაიორი ნური-

¹ იქვე, გვ. 20-21.

დუ, ახალციხისას ანუ ზემო-აჭარისას — გენერალ-მაიორი ტრეიტერი
ხოლო ართვინისას — გენერალ-მაიორი კომაროვი.

ამ ორ უკანასკნელ რაზმს საერთოდ ხელმძღვანელობდა ახალქალაქში
დაბანაკებული არდაგანის დივიზიის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი ტერ-
გუკასოვი. სარდლობის ოპერატიული გეგმით ქობულეთის რაზმმა ჩუ-
რუქ-სუ, სამება და კვირიკე 17 აგვისტოს დაიკავა, ციხისძირი — 21 აგ-
ვისტოს. ჩაქვი — 24 აგვისტოს და 25 აგვისტოსათვის იგი ბათუმთან
იდგა. ამავე დროს ართვინიდან 21 აგვისტოს გამოსულმა კომაროვის ნაწი-
ლებმა 23 აგვისტოს მოაღწია ბორჩხაში. ზემო აჭარის რაზმი სამ ნაწილად
იყო გაყოფილი. მარჯვენა ნაწილს მეთაურობდა თავადი ერისთავი, რო-
მელიც მოხეს იაილიდან შემოვიდა ღორჯომში; შუა ნაწილი — პოლკოვნიკ
რიდიგერის ხელმძღვანელობით გადმოვიდა გოდერძზე; ხოლო მარცხენა-
ფრთა — პოლკოვნიკ მაკევეის წინამძღოლობით ბალნარიხვიდან გადმო-
ვიდა ბაკო-ხიხაძირზე. ზემო აჭარის რაზმის ცალკეულმა ნაწილებმა უკვე
25 აგვისტოსათვის დაიკავეს: რიყეთი, ღორჯომი, თხილვანა, ხიხაძირი,
ოშანახევი, კვატია, ფურტიო და ხულო; 29 აგვისტოს ჭვანა და ნიგაზეუ-
ლი, 30 აგვისტოს — დანდალო და ცხმორისი, ხოლო დაბა ქედა 1 სექ-
ტემბერს. ზემო აჭარისა და არტაანის რაზმები ბათუმში შევიდნენ 2 სექ-
ტემბერს.

რუსული ნაწილების ზემო აჭარაში, ქობულეთსა და მაჭახელ-ლივა-
ნაში შემოსვლა იყო საუკეთესო დემონსტრაცია იმისა, თუ როგორი აღ-
ფრთოვანებით ეგებებოდა ხალხი გამათავისუფლებელ არმიას. ამის შესა-
ხებ სამხედრო სარდლობის ოფიციალური ცნობების გარდა, იმდროინდელ
პრესაში საკმაო მასალაა მოცემული.

კავკასიის არმიის სარდლობის რაზმების უფროსის სვიატოპოლკ-მირ-
სკის განკარგულებით 1878 წლის 14 აგვისტოს მოსახლეობას წარედგინა
სამხედრო სარდლობის გარანტიები, რომელიც ქართულ ენაზე იყო შედ-
გენილი და საჯაროდ ცხადდებოდა. ამ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ
დაცული იქნებოდა ბათუმის ოლქის მოსახლეობის ოჯახური, ქონებრივი
და რელიგიური ხელშეუხებლობა. ასევე დარჩებოდა აგრეთვე შინა-სახალ-
ხო მმართველობის არსებული წესები.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ქობულეთის მოსახლეობამ თავისი ნე-
ბასურვილი ადრევე გამოხატა რაზმში დეპუტატების წარგზავნით, ხალხი
რაზმის მსვლელობას გულითად შეხვედრას უწყობდა.

მათი განწყობილება შესანიშნავად გამოხატა რუსთა არმიის მეწინავე,

ქართველი მხედრობის შესახებ დრად გამართულ მიტინგზე ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ გულო კაიკაციშვილმა, რომელმაც ამდღევანელი სიტყვით მიმართა: „...ეხლა ღვით მე იმედი მაქვს, რომ რაკი ჩვენს ქვეყანაში ნამდვილი ძმები, ბიძაშვილები და ნათესავებისაგან შემდგარი ქართველი ჯარი შემოვიდა, ახლა... გავძლიერდებით ჩვენ, ავმაღლდებით სულით. გულით. თქვენც ჩვენის დაახლოებით გაიხარებთ და მერე ჩვენის ასეთი შეერთებით და ამ ერთმანეთის სიყვარულით აღსდგება და გაძლიერდება საქართველო...“¹

ჯერ კიდევ 22 აგვისტოს ზემო აჭარის რაზმის გადმოსვლამდე გენერალ-მაიორ ტრეიტერთან ავიდა ქვემო აჭარის საპატიო პირების დეპუტაცია. მათ სრული ერთგულება აღუთქვეს და ხეობის დასაყავებლად მიიწვიეს. აქვე უნდა ითქვას, რომ თურქეთის აგენტურა ქობულეთ-მაჭახლის შემდეგ დიდ მუშაობას ქვემო აჭარაში ეწეოდა, რაზედაც რუსეთის სამხედრო სარდლობაც იყო ინფორმირებული.² იმის გამო, რომ ქობულეთის რაზმი უკვე 25 აგვისტოსათვის ბათუმთან იყო, ზემო აჭარის რაზმის მარჯვენა ფრთა ერისთავის წინამძღოლობით პერანგაზე აღარ გადასულა, რადგან ზემო ხინოსა და ზერაბოსელის საზოგადოება სრულ სიწყნარეს იჩენდა.³

ბათუმის ოლქის თითქმის ყველა თემსა და სოფელში მოსახლეობის ასეთმა გულითადად შეხვედრებმა სამხედრო სარდლობა დაარწმუნა. რომ დიდი სამხედრო ნაწილების გადმოყვანა მხარის დასაყავებლად აღარ იყო საჭირო.

აჭარის მოსახლეობის გამათავისუფლებელ არმიასთან შეხვედრის საუკეთესო გამოხატულება იყო სოფ. ცხმორისში ზემო და ქვემო აჭარის მცხოვრებთა წარმომადგენლობის მისვლა გენერალ-მაიორ ტრეიტერთან. მათ ხალხის გულითადი მადლობის გადასაცემად მთავარსარდლის მოადგილესთან, გენერალ-ადიუტანტ სვიატოპოლკ-მირსკისთან შეხვედრა მოითხოვეს, რომელიც 1878 წლის 2 სექტემბერს ბათუმში განხორციელდა.⁴

რუსეთის სამხედრო ნაწილების ეს საზეიმო მსვლელობა 1878 წლის 25 აგვისტოს ბათუმის გათავისუფლებით დაგვირგვინდა. 25 აგვისტოს დღის 2 საათზე საზეიმო ვითარებაში ბათუმზე რუსეთის დროშა აფრიალდა.

1 ა. სურგულაძე, გულო კაიკაციშვილის უცნობი სიტყვები, „ლიტერატურული აჭარა“, № 3. 1968 წ.

2. სახ. ცენტრ. სამხ. არქივი, ფ. გუა, ს. 1337, გვ. 31.

3 იქვე, გვ. 32.

4 იქვე, გვ. 34.

აჭარის განთავისუფლების ღირსშესანიშნავ დღეს მიეძღვნა 1878 წლის 2 სექტემბერს რუსეთის ჯარის ხელმძღვანელობისა და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელთა შეხვედრა. შეხვედრის ნაღიმს აჭარის განთავისუფლებისათვის ღვაწლმოსილი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი ხელმძღვანელობდა.

შერიფ-ბეგის სიტყვებში გადმოცემული იყო მოსახლეობის უღრმესი მადლობა გამათავისუფლებელი არმიისადმი: „ესეც იმათი სადღეგრძელო იყოს. — ამბობდა შერიფ-ბეგი, — ვინც ამ ომში მონაწილეობა მიიღო და ჩვენ ძველი და ახალი განაწილებული ქართველები შეგვავრთა. ვისურვოთ იმათი ბედნიერება და სიცოცხლე!“¹

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილის განთავისუფლება თურქეთის მრავალსაუკუნოვანი ბატონობისაგან მთელი ქართველი ხალხის ისტორიული ღღესასწაული იყო. იმდროინდელი ქართული პრესა პატრიოტული წერილებითა და სტატიებით გამოეხმაურა. საერთო აღტაცებას გამოთქვამდნენ ჩვენი ერის ცნობილი საზოგადო მოღვაწეები და მწერლები: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ს. მესხი, რ. ერისთავი, დ. ყიფიანი, ნ. ნიკოლაძე, პ. უმიკაშვილი და სხვ.

განთავისუფლების დღეებში ი. ჭავჭავაძე წერდა: „ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლზორცეული, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა“ ჩვენის გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლებისა და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო, დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“.²

1878 წლის ნოემბერში ქ. თბილისში საზოგადოებრიობამ ზეიმით აღნიშნა აჭარის განთავისუფლება. ამ ზეიმზე მოწვეულნი იყვნენ აჭარის მოწინავენი: შერიფ ხიმშიაშვილი, ხუსეინ აბაშიძე, ნური ხიმშიაშვილი, ხუსეინ ბეჟანიძე და სხვები. დელეგაციის საპატივცემულოდ გამართული სადილი ქართველი ხალხის ღღესასწაულად გადაიქცა. სიტყვებში, რომელიც წარმოთქმეს გრიგოლ ორბელიანმა, აკაკი წერეთელმა, დიმიტრი ყიფიანმა და სხვებმა, გადმოცემული იყო ქართველი ხალხის უსაზღვრო სიხარული. რასაც იგი თავისი მოძმეების შემოერთებით განიცდიდა. ასევე ღრმად პატრიოტული იყო აჭარის წარმომადგენელთა სპასუხო სიტყვები.

ახლად შემოერთებულ მხარეს, რომელიც თურქების ადმინისტრაცი-

1 „დროება“ № 182, 1878 წ.

2 ი. ჭავჭავაძე, ტ. 5. 1955 წ. გვ. 18.

ული დაყოფით ლაზისტანის სანჯაყში შედიოდა, ბათუმის ოლქი ეწოდა; 1878 წლის 20 სექტემბერს კავკასიის მეფის ნაცვალმა დაამტკიცა ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული მმართველობის დროებითი წესები.¹ ოლქში თავდაპირველად სამი ოკრუგი გამოიყო, კერძოდ: ბათუმის (კინტრის, გონიოს და ბათუმის უბნებით), ართვინის (არტანუჯის, ართვინის და შავშეთის უბნებით) და აჭარისა (ზემო აჭარის, ქვემო აჭარისა და მაჭახლის უბნებით) ცალკე საოლქო და სანავსადგურო ქალაქად გამოიყო ბათუმი.²

ბათუმის ოლქი, სამხედრო და ადმინისტრაციული თვალსაზრისით კავკასიის მეფისნაცვალს ე. ი. კავკასიის არმიის მთავარსარდალს და მის სამხედრო განყოფილებას დაექვემდებარა. ოლქის სამხედრო გუბერნატორად გენერალ-მაიორი კომაროვი დაინიშნა. მის თანაშემწედ და საოლქო მსასამართლოს თავმჯდომარედ თავადი ერისთავი, ხოლო თვით ბათუმის ოკრუგის უფროსად თავადი გ. გურიელი. ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული დაყოფის წესდებაში, ბათუმის გუბერნატორის არჩევით და კავკასიის მეფისნაცვლის დამტკიცებით სახალხო გამგეობის თანამდებობაზე ადგილობრივი მცხოვრებლების დანიშვნის შესაძლებლობაც იყო მოთითებული, ხოლო სამოქალაქო საქმეების გასარჩევად სახალხო მეჯლისები დატოვებული იქნა.

მეფის რუსეთის კანონების მიხედვით მართვის ეს წესები სულთანის თურქეთის მართვა-გამგეობასთან შედარებით, აჭარელთა ცხოვრებაში წინადადებული ნაბიჯი იყო. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ოლქის ადმინისტრაციულ მმართველობაში, განსაკუთრებით ე. წ. სამოქალაქო მართვის დარგში რუს ჩინოვნიკებთან ერთად, რამოდენიმე ქართველი პატრიოტის — თავად გრიგოლ გურიელის, ერისთავის, ამილახვარის, მეფისოვისა და მსხეთა შეყვანას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა.

ამრიგად, რუსეთმა მის წინააღმდეგ დაძაბული საერთაშორისო ვითარების მიუხედავად, არ დათმო მოპოვებული გამარჯვების მთავარი შედეგი — შავ ზღვაზე ნავსადგური ბათუმი და კავკასიაში უაღრესად მნიშვნელოვანი სტრატეგიული — ეკონომიკური მხარე ბათუმის ოლქი. ამ საქმეში მას ენერგიულად დაუჭირა მხარი ჩაგვრისაგან განაწამებმა ადგი-

1 ვ. სიჭინავა, დასახ. ნაშრ., გვ. 75-76.

2 მ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში. მუჰაჯირობა-ემიგრაცია, თბილისი, 1912, გვ. 187.

ლობრივმა მოსახლეობამ, რომელიც ღირსეულად შეხვდა რუსეთის გამათავისუფლებელ მხედრობას.

ომის შედეგად საბოლოოდ მოხერხდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის აჭარის თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლება და მისი დედა-საქართველოსთან შეერთება.

ამ დროიდან აჭარაში ახალი სამეურნეო, კულტურული და ეროვნული აღორძინების ხანა იწყება.



პირველი ტორპედოს გამოყენება

ტორპედოს ისტორია ბათუმთანაა დაკავშირებული. რუსეთის ფლოტმა ადмирალ მაკაროვის მეთაურობით პირველად აქ გამოიყენა ეს მძლავრი იარაღი, რომელსაც მაშინ „თვითმფრენი ნაღმი“ უწოდეს.

აი, როგორ მოხდა ეს.

რუსეთის ინიციატივით 1877 წლის მარტში ლონდონში შედგა ექვსი სახელმწიფოს წარმომადგენელთა კონფერენცია, რომლის გადაწყვეტილება ავალებდა თურქეთს გადაშტრელი ზომები მიეღო ქრისტიანობის დასაცავად. თურქეთი წინ აღუდგა ამ გადაწყვეტილებას და 23 აპრილს შავი ზღვის ბლოკადა გამოაცხადა. ამის საპასუხოდ რუსეთმა ომი გამოუცხადა მოწინააღმდეგეს და შეუდგა სამზადისს. საჭირო გახდა შავი ზღვის სამხედრო ფლოტის სასწრაფოდ აღდგენა, და ამ საქმეს სათავეში ახალგაზრდა ს. მაკაროვი ჩაუყენეს. იგი ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე თბომაველ „კონსტანტინის“ კაპიტნად დანიშნეს. მალე საჭირო გახდა ამ გემის ნაღმოსნად გადაკეთება.

„კონსტანტინის“ ეკიპაჟმა კიდევ ერთი სიახლე განახორციელა: გემბანზე აიტანა ოთხი სატორპედო კატარა, მათ შორის „ჩესმა“ და „სინობი“.

1877 წლის 2 მაისს მტრის ხუთი ჯავშნოსანი მოადგა. სოხუმს და ორსათნახევრის განმავლობაში ბომბავდა ამ ქალაქს. სევასტოპოლში მყოფმა ს. მაკაროვმა, გაიგო თუ არა. ახმედ ფაშას ესკადრა ბათუმს მოადგაო, „კონ-

სტანტინი“ აქეთკენ დასძრა და რამდენიმე დღის შემდეგ უკვე ჩვენი ქალაქის სანაპირო ზონაში მტერს ზვერადა.

ყველაზე სწრაფმაველმა „ჩესმამ“ ბრძანება მიიღო პირველს მიეტანა იერიში მოწინააღმდეგეზე. ოპერაციაც განხორციელდა, მაგრამ ნაღმი არ აფეთქდა. მორიგე ოპერაციას ს. მაკაროვი ხელმძღვანელობდა... და მტერი იგემებდა ძლიერ დარტყმებსაც, მაგრამ იგი მიიმალა. ბათუმის რეიდზე დარჩენა სასიფთოო შეიქნა. სევასტოპოლში დაბრუნებულ ს. მაკაროვსა და მის ეკიპაჟს ჭორები გაუვრცელეს.—არ უნდა გაეშვათ ეს მეტიჩარა ბათუმში, კბილებამდე შეიარაღებულ და ჭარბ მტერთან შეგმა თმაში ხომ არაა, აიჩემა ახალი იარაღი და ყველა აგვაწრიალაო. ამან ძალიან ააღელვა ს. მაკაროვი და ბრძოლაში ჩაბმას ესწრაფოდა. მას მხარი დაუჭირეს მეზღვაურებმაც. ახალგაზრდა ოფიცერმა ამჯერად ითხოვა, მის განკარგულებაში გადაეცათ ტორპედოები და ნება დაერთოთ ქობულეთ-ციხისძირთან დაბანაკებულ მტერზე იერიში მიეტანა. მაგრამ შავი ზღვის ფლოტის უფროსმა ნ. არკასმა უარი თქვა და „კონსტანტინი“ სხვებთან ერთად ბოსფორისკენ გაგზავნეს. აქ მათ რამდენიმე ჯავშნოსანი ჩაძირეს და ვალმოხდილნი დაბრუნდნენ უკან. შემდეგ ს. მაკაროვის ხომალდი მარტოდმარტო დაედგნა მტერს და გავრასთან ღია ზღვაში გაიტყუა მტრის ჯავშნოსანი. ამის შედეგად შავი ზღვის კავკასიის სანაპირო ჯა-

რების უფროსის გ. შელკოვნიკოვის ნაწილებს საშუალება მიეცათ შეერთებოდნენ გენერალ ი. ალხაზოვის არმიას, რომელიც სამხრეთის ფრონტისაკენ მიემართებოდა. შემდგომში გენერალ-მაიორი ბეგბუტ მარტიროსის-ძე შელკოვნიკოვი წერდა: ს. ნაკაროვი თუ არა, ვერ გადავურჩებოდით მტერსო. ამ ოპერაციის წარმატებით ჩატარებისათვის იმპერატორმა ალექსანდრე II ოქროს ხმალი უბოძა მაკაროვს.


ახლა „კონსტანტინის“ მატროსები უფრო გაბედულად დაეძებდნენ მტერს. სოხუმთან მათ რამდენიმე ხომალდს გაუხსნეს ცეცხლი და 2 ავგისტოს კიდევაც გამოიყვანეს მწყობრიდან ჯავშნოსანი „ასსარი — შეგქეთი“, რომელიც თურქებმა ბუქსირით ბათუმისაკენ გამოაცურეს. როგორც შემდეგ გამოიკვია, იგი გზად ჩაიძირა, მაგრამ მტერმა „ასსარი — შეგქეთი“ ამავე ტიპის მსგავსი ხომალდით შეცვალა, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო.

1878 წლის 10 იანვარს „კონსტანტინმა“ კურსი ისევ ბათუმისაკენ აიღო. მეზღვაურები ჩქარობდნენ, რომ დახმარებოდნენ თანამემამულეებს, რომლებიც ხმელეთიდან აპირებდნენ იერიშის მიტანას. მალე „კონსტანტინი“ ნაპირიდან 4-5 მილის მანძილზე გაჩერდა. ისევ „ჩესმა“ და „სინოპი“ ჩაუშვეს წყალში და ნისლის ჩამოწოლამდე დაზვერვაც მოახერხეს, შემდეგ კი „მთვარის

სინათლემ და თოვლიანი მთების ელვარებამ საუცხოოდ გაანათეს საბრძოლო რაიონი“ — ვკითხულობთ მაკაროვის მოხსენებაში. ი. ზაცარენსა და ო. შეშინსკის მხოლოდ ორი წუთი დასჭირდათ ტორპედოების გაშვებისათვის. ორივე ერთად აფეთქდა და იქაურობა შემზარავმა ხმაურმა მოიცვა. მტრის გემი გადაცდა და ფსკერისაკენ დაეშვა. ეს მოხდა 1878 წლის 14 იანვარს, ღამით... და იგი იყო პირველი ბრწყინვალე ბრძოლა ზღვაზე ტორპედოს გამოყენებით. ჩაიძირა თურქეთის საღარაჯო გემი „ინტიბახი“. შემდეგ „კონსტანტინმა“ სამსონს ჩაუარა და იქედან სევასტოპოლისაკენ გაეშურა. ეს იყო ამ სახელოვანი ხომალდის უკანასკნელი ბრძოლა რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომში.

„ინტიბახის“ ჩაძირვის გამო ს. მაკაროვმა ფლიგელ - ადიუტანტის წოდება დაიხსაზურა.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტსაც, რომ ს. მაკაროვს აქ, ბათუმისათვის ბრძოლებში დაებადა თანამედროვე სატორპედო კატარღების, პირველი ავიამზიდისა და ყინულმკერელის აგების იდეა. ზოგიერთი მისი ჩანაფიქრი მაშინვე განხორციელდა ნაღმოსან „ვზრიზე“, აგრეთვე „ბათუმსა“ და „სოხუმზე“, რამაც დასაბამი მისცა ახალი კლასის ძლიერ ხომალდებს — სატორპედო კატარღებსა და ნაღმოსნებს.



საქართველოს
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აкадеმიის
პრეზიდიუმი

მ. შოლოხოვის უცხოურ კრიტიკაში

მ. შოლოხოვის შემოქმედებას დიდი ინტერესით აღევნებენ თვალყურს როგორც მკითხველთა საზოგადოება, ასევე არა მარტო საბჭოთა კრიტიკოსები, არამედ უცხოელებიც. ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს საბჭოთა კრიტიკოსების აზრს შოლოხოვზე. იგი შეუღარებელ ბელეტრისტად არის აღიარებული. უცხოეთში კი ზოგიერთ მათგანს გადაუწყვეტია შოლოხოვის შემოქმედებაში „აღმოაჩინოს“ რეალიზმისათვის შეუფერებელი სუსტი ადგილები და ეს ჩასთვალოს რუსული და, კერძოდ, საბჭოთა ლიტერატურის დამახასიათებელ თვისებად. ასეთია ინგლისელი კრიტიკოსის ალექსი კომფორტის აზრი შოლოხოვზე.

კომფორტი თავისი წიგნის „რომანი და ჩვენი დრო“ ერთ ერთ თავში „რეალიზმი, ფანტაზია და სიმბოლიზმი“, რეალიზმის ორ სახეობას არჩევს:

1. პოეტური სახეებით მდიდარი ნაწარმოები მოვლენების ზუსტ ფორმულირებასთან ერთად შეიცავს შეგრძნების თუ ქვეშეგრძნების რეფლექსებს, გამოწვეულს იმ პერსონაჟების მიერ, რომლებსაც ეს ნაწარმოები მიეძღვნა, ე.ი. როცა რეალიზმი არ წარმოადგენს უბრალო თხრობას.

2. მოვლენები ისეა გადმოცემული, როგორც მას ხედავენ. რეალიზმის ეს მეორე, ნაკლებ ჭეშმარიტი სახეობა, კომფორტის აზრით, მარქსიზმის შედეგად ფართოდ გავრცელდა და განვითარდა ომამდელ რუსულ რომანებში: რეალიზმის ამ სახეობის წარმომადგენლად ავტორს შოლოხოვი მიაჩნია.

მანამ რუსეთთან მოკავშირეობა პატივსაცემად ითვლებოდა, — ამბობს კრიტიკოსი, ინგლისის ბურჟუაზიის საშუალო ფენა გატაცებით კითხულობდა შოლოხოვს და შეიძლება კიდევაც მოსწონდა იგი. ამას ისიც კი ამტკიცებს, კომფორტის სიტყვებით, რომ ბიბლიოთეკებში შოლოხოვის წიგნები ხმარებისაგან გაცვეთილი იყო.

კომფორტი ამ „მდარე რეალიზმით“ გატაცების მიზეზებს ეძებს და უკვირს როგორ შეაღწია შოლოხოვის ნაწარმოებმა ინგლისელ მკითხველთა წრეში, რა მხატვრული თავისებურებებით მოიხილნენ მისი ქვეყნის მკითხველები. კრიტიკოსი ვერ უარყოფს, რომ შოლოხოვის შემოქმედებაში არსებობს რაღაც, რითაც მწერალი უკავშირდება თქონის ხანის რუსეთის რომანისტების ნაწარმოებებს. მაგრამ რა არის ეს „რა-

ლაც? კომფორტის აზრით ეს არის მია-
მიტობა. ამ ტერმინით, ფიქრობთ, ავტო-
რი გულისხმობს უშუალობას, განზოგა-
დების უნარის უქონლობას, რაც თურ-
მე, ასევე შეიმჩნევა დოსტოევსკისთანაც,
გზრდა ამისა შოლოხოვს, კომფორტის
თქმით, მიდრეკილება ჰქონია, მოგვი-
თხროს მხოლოდ ის, რაც თვალთახედვის
არეშია, მსგავსად ბავშვისა ან ველურისა.
ავტორი მწერლის ენაშიც ამჩნევს მიამი-
ტობის ნიშნებს, რაც, მისი აზრით, ემო-
ციების, ფიქრების და საერთოდ, ფსიქო-
ლოგიური სიმარტივით არის გამოწვე-
ული.

კომფორტს რუსი მწერლის მეორე თა-
ვისებურებად მიაჩნია უბრალოება მომ-
ხდარი ფაქტების გადმოცემისას. ამას
ავტორი რუსული პროზის დამახასიათე-
ბელ თვისებად თვლის. იგი ფიქრობს,
რომ ეს თვისება რუსული ლიტერატუ-
რის ტრადიციას წარმოადგენს. და შესა-
ძლებელია იგი რუსული ენის ბუნებიდან
გამომდინარეობდესო. თანაც ვერც იმას
უარყოფს, რომ მან რუსული არ იცის
და ამიტომ ძნელია შედარების მოყვანაო.

მიუხედავად ამგვარი აღიარებისა, იქ-
ვე დასძენს, რომ მან თითქოს დოსტოევ-
სკისთანაც იპოვა ამგვარი უბრალოების
ნიშნები(!), მაგრამ, რატომღაც, შოლო-
ხოვის მიერ კაზაკთა შესახებ დაწერილ
რომანებში უფრო ნათლად შეამჩნია ეს
უბრალოება, ვიდრე დოსტოევსკის ნა-
წარმოებებში.

კომფორტი, მას შემდეგ რაც „დაამ-
ტყიცა“, რომ შოლოხოვის შემოქმედე-
ბის ერთ-ერთი მთავარი თვისება მია-
მიტობაა, ე. ი. აღქმის უშუალობა, რამ-
დენიმე სტრიქონის შემდეგ ამტკიცებს
რომ მწერალი არ გადმოგვცემს მღაბიო
ხალხის აზრებს და განცდებს ისე, რო-
გორც ის არის — მარტივად, არამედ
სინამდვილის კულტივიზირებას ახდენ-
სო, რაც გამოწვეულია, ერთის მხრივ
თვით შემოქმედის სურვილით დაიცვას
განსაზღვრული იდეოლოგია და მეორე
მხრივ ამას განსაზღვრავს ნახევრად წე-
რაკითხვის მცოდნე, მაგრამ ღიდი ენთუ-
ზიაზმის მქონე მასის გონებრივი შეგნე-
ბაო. კრიტიკოსის აზრით, რატომღაც,

თითქოს ამიტომაც, რომ შოლოხოვის
შემოქმედებაში მოვლენები ბავშვურად
არის აღქმული და აღწერილი, მაგრამ
კომფორტი ვერც იმას უარყოფს, რომ
მწერალი ღიდი ყურადღებას, უთმობს
ამა თუ იმ მოვლენის ახსნას და რაც
მთავარია, შოლოხოვის შემოქმედებაში
იდეოლოგიას ყოველთვის ხაზი აქვს
გასმული.

ავტორის ყურადღებას იპყრობს შო-
ლოხოვის მიერ დახატული, საშინელე-
ბათა ამსახველი სურათები, სახელდობრ
ის ფაქტი, რომ მწერალი არასოდეს არ
არბილებს ფერებს საშინელებათა აღწე-
რის დროს, პირიქით, იგი ცდილობს
რაც შეიძლება უშუალოდ და მკვეთრად
ასახოს მოვლენები და თანაც ყურადღე-
ბა ფოკუსის გარეთ გაიტანოს. ასე აე-
თებს ბავშვი და რუსი, ამბობს კომფორ-
ტი, ძალიან რომ არ შეშინდეს მის მიერ
აღწერილ საშინელებებით. თითქოს გო-
გოლიც ამ მეთოდს მიმართავს. მის
მიერ აღწერილ საშინელება მეტყუოზს
რეალიზმსა და ორაზროვან ფანტასტი-
კას შორის, რომელიც თუ კარგად და-
ვუკვირდებით, ძრწოლას მოგვეგვრის,
როგორც საშინელი სიზმარი.

ასე, მაგალითად, კომფორტის აზრით,
შოლოხოვის ნაწარმოებში წინასწარ იგ-
რძნობა საშინელების მოახლოება, მანამ
სანამ ამ საშინელებას აღწერდეს მწე-
რალი, მაშინ, როცა პერსონაჟები ამას
ვერ ამჩნევენ, თითქოს თოჯინები იყ-
ვნენ და არ გააჩნდეთ წინასწარ შეგო-
ძნების უნარი. კომფორტს ამის დასამ-
ტყიცებლად, მოჰყავს ერთი სურათი
„წყნარი დონიდან“. კაზაკები საუბრო-
ბენ, ამ დროს თვითმფრინავი მათ წინ
მდებარე სახლს დაბობმავს, ბომბარდი-
რების დამთავრების შემდეგ მუცელში
დაჭრილი ერთი კაზაკი მიხზხავს და
თან მიათრევს საკუთარ შიგნეულს. რო-
ცა მკითხველი ამას კითხულობს, ამბობს
კომფორტი, ჰგონია, რომ აღამიანის
ტანჯვა არა რეალურია, კიდევ მეტი,
თითქოს რამდენიმე საათის შემდეგ ეს
სურათი აღარ ახდენს გავლენას და მკი-
თხველს უკვე ეჭვი ეპარება ამ სურა-
თის რეალობაში. კრიტიკოსის აზრით,

ეს არის თვისება იმ ცხოვრებისა, რომელსაც, შესაძლებელია, უფრო მეტი უშუალობა გააჩნია, ვიდრე ინგლისურს.

კომფორტს ზოგადი დასკვნები გამოაქვს საკუთარ დაკვირვებებიდან და ამბობს, რომ ტენდენციური რეალიზმი, რომლითაც რუსები საკუთარი იდეების პროპაგანდას ეწევიან, თავისი საშინელებებით ასეთი არაფექტურია, რადგან რუსი მწერლები შეშინებული არიან იმ ისტორიით, რომლის შესახებაც ისინი წერენ, და მკითხველი და თავი რომ დაიცვან ამ საშინელებისაგან, ფოკუსი შორს გადააქვთ და ამით ასუსტებენ რეალური სახის სიძლიერეს. აი, კიდე კომფორტის მიერ ილუსტრირებული მაგალითი: როცა კრივოშლიკოვი („წყნარი ღონი“) ჩამოსახრჩობად ჩამოკიდეს, მისი ფეხები მიწას შეეხო. შოლოხოვს კრივოშლიკოვის ფიგურის გროტესკულ მხარეზე გადააქვს უეცრივე ყურადღება, კერძოდ, სახის მოყვანილობაზე, პოზაზე და გროტესკს იმისათვის იყენებს, რომ მკითხველმა გაუძლოს ამ საშინელებას.

ყოველივე ამის შემდეგ კომფორტს უკვირს თუ როგორ მოიპოვა შოლოხოვმა მწერლის ესოდენ დიდი სახელი, რა იზიდავს მკითხველს მწერლის შემოქმედებაში. კრიტიკოსს, შეიძლება მწერლის დიდ მხატვრულ ნიჭთან ერთად მისი სახელიც უარეყო, მაგრამ ფაქტების სიჭიუტემ აიძულა სრულიად „უბრალოდ აეხსნა“, ეს მისთვის გაუგებარი, მწერლის მიღწევები; კერძოდ კომფორტის აზრით შოლოხოვის წარმატების მიზეზი თურმე მხოლოდ და მხოლოდ თხრობაში უნდა ვეძიოთ, რომ შოლოხოვის შემოქმედება არაჩვეულებრივად მიმზიდველი და საინტერესოდ მოთხრობილი ისტორიაა და სხვა არაფერი, ამიტომ შოლოხოვის ნაწარმოებები მოთხრობა უფროა, ვიდრე რომანი. შოლოხოვის მიერ აღწერილი სამყარო, ესაა სამყარო, სადაც ერთად არის თავმოყრილი გროტესკული საშინელება, ძალადობა, უხეშობა. ყველაფერი ეს ქმნის რეალიზმის შთაბეჭდილებებს,

რომლის მიზანია ცხოვრების მოვლენები თხრობას დაუმორჩილოს.

მაგრამ ყველა ასე როდი ფიქრობს უცხოეთში, არიან საღად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც გონიერულად მსჯელობენ და რეალურ შეფასებას აძლევენ „წყნარ ღონსა“ და მის ავტორს. ერთ-ერთი მათგანია აივორ სპექტორი, რომელიც რუსულ ლიტერატურაში ლექციებს კითხულობს ვაშინგტონის უნივერსიტეტში. მან 1945 წელს გამოსცა წიგნი „რუსული ლიტერატურის ოქროს ხანა“. ამ წიგნში ავტორი, სხვა რუს მწერლებთან ერთად ამერიკელ მკითხველს აცნობს შოლოხოვის შემოქმედებასაც და მიაკუთვნებს მას მე-19 საუკუნის რუსი კლასიკოსების ბრწყინვალე პლედას. სპექტორს ზემოთ დასახელებულ წიგნში მოჰყავს შოლოხოვის ბიოგრაფია, „წყნარი ღონის“ მოკლე შინაარსი და შემდეგ ამ რომანის კრიტიკული ანალიზი.

სპექტორის აზრით, ეს ნაწარმოები რუსული ლიტერატურის უბადლო განძია, რადგან იგი დაიწერა და შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლების დროს. როგორც ამ წიგნიდან ჩანს, სპექტორი კარგად იცნობს რუსულ კლასიკურ ლიტერატურას, იგი ერთმანეთს ადარებს მე-19 საუკუნის ოქროს ხანის მწერლებს, როგორც თვითონ უწოდებს და ამბობს, რომ „წყნარი ღონი“ არ უნდა ავლერიოთ გავოლის „ტარას ბულბაში“ და ტოლსტოის „კაზაკებში“ ან „ჰაჯი მურატში“, არც ლერმონტოვის მიერ აღწერილ კავკასიელ კაზაკთა ცხოვრების ამსახველ ნაწარმოებში. „წყნარი ღონი“ ამერიკელი კრიტიკოსის აზრით, მე-20 საუკ. ორიგინალური ნაწარმოებია ღონის კაზაკების ცხოვრებაზე.

სპექტორი ერთი მეორის გვერდით აყენებს ტოლსტოისა და შოლოხოვს, მიიჩნევს მათ ორი საუკუნის უდიდეს რომანისტებად. ამ შედარებისას იგი ერთგვარ უპირატესობას ანიჭებს შოლოხოვს. კერძოდ, კრიტიკოსის აზრით, შოლოხოვს არ სჭირდებოდა რომანის მასალათი ისტორიულ არქივებში ეძებნა, ამასთანავე, შოლოხოვი არ ყოფილა ისე როგორც ტოლსტოი, ნაწარმოებში აღწერილ ფაქტების გარეშე მაყურებელი,

რომელმაც კახათა ცხოვრების მხოლოდ ერთი პერიოდი აღწერა. შოლოხოვი თვითონ არის კახაი და უშუალოდ აქტიური მონაწილე იმ მოვლენებისა, რასაც აღწერს, ეს კი სპექტორის აზრით, შოლოხოვს ბევრ უპირატესობას ანიჭებს.

ტოლსტოისა და ლურმონტოვის კახაეების ცხოვრება, განაგრძობს სპექტორი, მოგვაცონებს ამერიკელი კლუბის ან სამხრეთ შტატების ინდიელების რომანტიკულ, ფათერაკებით აღსავსე ცხოვრებას. სულ სხვანი არიან შოლოხოვის გმირები, ისინი რუსეთის რევოლუციის არსებით ნაწილს შეადგენენ, რომელთა აქტიურობა არ განისაზღვრება უბრალო თავდასხმითი ექსპედიციებით, არამედ ისინი ისტორიულად მნიშვნელოვან ბრძოლაში მონაწილეობენ.

შოლოხოვი, ფიქრობს სპექტორი, „წყნარ ღონში“ ყველაზე უფრო ტოლსტოის „ომისა და შშვიდობის“ გავლენას განიცდის. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ნაწარმოებში („წყნარი ღონი“) კახათა ცხოვრება გადმოცემულია „აკვნიდან საფლავამდე“, რაც ამერიკელი კრიტიკოსის აზრით, შოლოხოვამდე არც ერთ რუს მწერალს არ გაუქეთებია, ე. ი. არ დაუხატავს ამ ხალხის ცხოვრება ესოდენ სრულყოფილად.

სპექტორი რუსულ ლიტერატურასთან ერთად კარგად იცნობს რუსეთის ისტორიასაც, კერძოდ, იგი ამერიკელ მკითხველს აცნობს თუ რა როლი ეჭირა კახაეებს თვითმპყრობელობის დროს რუსეთში. სახელდობრ, კახაეის ხსენებაც გი სამარისი იყო, რომ შემინებულყოფი არა თუ ბავშვი, არამედ მოზრდილიც კი. კახაეებს მეფე იყენებდა თავისუფალი აზრის წინააღმდეგ საბრძოლველად, რეაქციული რეჟიმის დასამყარებლად და რომ თვით კახაეებიც თავიანთ თავს კანონებისა და წესრიგის დამცველად თვლიდნენ. მათ ნაბრძანები ჰქონდათ ჩაეხშოთ აჯანყება, წინააღმდეგობა გაეწიათ ლიბერალური მოძრაობისათვის, რომელიც კონსტიტუციონალურ მიმართულებას მოითხოვდნენ, და ამგვარად რუსეთ-

ში სიტყვა „კახაი“ გახდა რეაქციის სინონიმად.

სპექტორი შოლოხოვის ერთ-ერთ დამსახურებად სწორედ იმას თვლის, რომ მან დამტკიცა ამ ზემოთ მოყვანილი დებულების მცდარობა. დამტკიცა, რომ კახაი ბუნებით არ იყო რეაქციონერი და თვით კახათა შორის არსებობდა კლასობრივი დიფერენციაცია. მხოლოდ შოლოხოვმა შესძლო რუსულ ლიტერატურაში ფარდა აეხადა და მკითხველისათვის კახათა ცხოვრების მთელი პანორამა ეჩვენებინა. მკითხველმაც მხოლოდ შოლოხოვის შემოქმედებაში დაინახა, რომ კახაეები იმგვარივე ხალხია, როგორც რუსეთის სხვა ხალხები.

სპექტორი რომანის გონებრივ მხარესაც არ ტოვებს უყურადღებოდ. მისი აზრით, შოლოხოვმა მიზნად დაისახა კახაური ფრაზები რუსული ენის საკუთრებად გაეხადა, რუსული არისტოკრატული მეტყველება კახაური დიალექტით გაეძლიერებინა, რისთვისაც სპექტორის აზრით, მწერალი უდავოდ დაფასების ღირსია.

სპექტორი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ისევე როგორც ტოლსტოი, შოლოხოვიც თავისუფალია ყოველგვარი შეზღუდვისაგან, ეს შეიძლება იმიტომ, ფიქრობს კრიტიკოსი, რომ საბჭოთა მთავრობამ შოლოხოვის სახით დაინახა გულწრფელი შემოქმედი, რომელმაც პირველად ასახა კლასთა ბრძოლის სურათები კახათა შორის და ეს მწერალი თავისუფალი კახაის უფლებებით დააჯილდოვა.

ყოველივე ამის შემდეგ ამერიკელი კრიტიკოსი ამტკიცებს, რომ თუმცა შოლოხოვი, როგორც მწერალი ჩამოყალიბდა საბჭოთა ხელისუფლების დროს, მაგრამ მისი რომანი „წყნარი ღონი“ მე-19 საუკუნის კლასიკური რუსული რომანის ტრადიციებს აგრძელებს. უპირველეს ყოვლისა, შოლოხოვი მიყვება მის წინაპართა გზას მეორეხარისხოვან სიუჟეტებისა და გმირთა დახატვისას და ამასთანავე თანამედროვეობისაგან განსხვავებით, შოლოხოვი გვაძლევს უამრავ პატარა „დეტალს“ განსაკუთრებით მაშინ, როცა ადგილობრივ ფაქტებს აღ-


წერს. ამ მხრივ მისი კონკურენტი მხოლოდ გოგოლი და ტოლსტოია. ამიტომ, ასკვნის სპექტორი, შოლოხოვს საპატიო აღილი ეკუთვნის რუსული ლიტერატურის ოქროს ხანის დიდ რეალისტებს შორის; კიდევ მეტი, „წყნარი დონი“ არა მარტო შეიძლება შევადაროთ ტოლსტოის „ომსა და მშვიდობას“, არამედ იგი ზოგჯერ კიდევაც სჯობნის ამ აღრეული პერიოდის კლასიკოსს, რადგან მაშინ, როცა ტოლსტოი ლაპარაკობს წარსულ ისტორიაზე, რომელშიც მას მონაწილეობაც კი არ მიუღია და ამიტომ არქივის მასალებს უნდა დაყრდნობოდა, შოლოხოვი აღწერს საკუთარი ეპოქის უზარმაზარ აჯანყებას, რომლის უშუალო მონაწილე თვითონ იყო, რაც რომანს ერთგვარ ავტობიოგრაფიულ ხასიათსაც კი აძლევს.

ტოლსტოის სურდა გამოეყენებინა „ომი და მშვიდობა“, როგორც შესავალ ნაწილში უფრო მნიშვნელოვანი მოვლენების — დეკაბრისტთა მოძრაობის აღწერისათვის, რასაც ზოგჯერ რუსეთის პირველ რევოლუციასაც კი უწოდებენ, მაგრამ მწერალი დაკმაყოფილდა გვირგვინი ნაციონალური ბრძოლის აღწერით ნაპოლეონის წინააღმდეგ. შოლოხოვმაც „წყნარ დონში“ აღწერა საბჭოთა რევოლუცია 1917-21 წლებში, მაგრამ არ არის გამორიცხული, ფიქრობს სპექტორი, რომ შოლოხოვმა ან ვინმემ განაგრძოს „წყნარი დონი“, რომელშიც გრიგორის ვაჟი მიშატკა დაგვიხატოს მოსკოვის ან სარატოვის გმირული თავდაცვის მონაწილედ, ეპიკურ ნაციონალურ ბრძოლებში ნაღებების წინააღმდეგ.

ასევე დიდ მოწონებას გამოიჭიან შოლოხოვის „წყნარ დონზე“ „Anglo-Soviet Journal“ = ის 1962 წლის მეორე ნახევარში მათავსებულ სარედჟქციო წერილის „დონის ხელოვნის“ ავტორი.

სტატია ეხება პ. სტევენსის მიერ ინგლისურად თარგმნილ „წყნარ დონს“. რეცენზენტის აზრით მთარგმნელს მიუღწევია მიზნისათვის, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ენა საესვად წინდებულია, არტიკლებით და სხვა ფორმალური სიტყვებით, მას მაინც მოუხერხებია ძლიერი მხატვრული ეფექტით გადმოეცა ისეთი ხელოვნის ნაწარმოები, როგორიცაა შოლოხოვი. გარდა ამისა წერილის ავტორი ეხება „წყნარ დონს“ და მას მიიჩნევს საუკეთესო ნაწარმოებად, რომელიც ძლიერად მოქმედებს ადამიანის გრძნობებზე, რადგან შოლოხოვი არ კმაყოფილდება სახეების უბრალო ჩატვით, შოლოხოვი პოეტია და მისი მოქმედება ნამდვილი ეპიკური ქმნილებაა.

ევროპელ მწერალთა შორის, წერილის ავტორი შოლოხოვს ეიქტორ პიუგოს ადარებს, რადგან ორივე „პოზიტიური რომანტიკოსებია“, იმ განსხვავებით, რომ მათი პოეზია არ განისაზღვრება პირადი ცხოვრებით. ეს არის გრძნობებით აღვსილი პოეზია, რომელშიც მთელი სამყარო ჩანს, ეს არის მიწის პოეზია, რომელიც კარგია მიუხედავად იმისა, რომ იგი სისხლით მოირწყა, ეს არის ადამიანის პოეზია, რომელიც კარგია იმიტომ, რომ იგი ადამიანურია.



„ქალის ტვირთის“ ფოლკლორული ნუსხრობები

„ქალის ტვირთში“ „არსენა მარაბდელის“ მსგავსად, ხალხი შეფასებულია; არა მარტო როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების გარდამქმნელი, არამედ როგორც შემოქმედი.

„ქალის ტვირთის“ ფოლკლორული ანალიზისას, უპირველესად რომანის წყაროების საკითხი გვაინტერესებს. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია სამი გარემოება: 1. ისტორიული სიმაღლე თავისი დოკუმენტაციით. 2. ლიტერატურული ტრადიცია და 3. ფოლკლორი.

„ქალის ტვირთის“ მაგისტრალური ხაზი მთავარი მოქმედი პირის — ქეთო ახატნელის ცხოვრებას მისდევს. საბაჟურიც და იდეაც იმაზე მიუთითებს, ასწევს თუ არა ახატნელის ასული იმ ტვირთს, რომელიც რევოლუციამ ქალს დააკისრა.

ამ ნაწარმოების განვითარების მთავარ ძალას ფოლკლორული მოტივი — ივლითობა, წარმოადგენს, რომელიც სხვა ხალხურ დეტალებთან ერთად საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკოთ თხზულების ფოლკლორულ წყაროებზე.

ივლითობა, თავისი ზოგადი გაგებით, ქალისაგან სულიერი და ფიზიკური ხარკის გაღებას ნიშნავს. ამ ცნების უინარსის სათავე ებრაულ ლეგენდაში არსებობს, ხოლო იქ, ივლითობა, ფოლკლორიდანაა

შესული... ამიტომ ჩვენ მას ვიხილავთ, როგორც ფოლკლორულ მოტივს.

ლეგენდამ, რომელიც მძაფრად ხატავს პატრიოტი ქალის სახეს, თავისებური გარდატეხა ჰპოვა სხვადასხვა ხალხის ფოლკლორში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

მ. ჯავახიშვილისათვის ეს ლეგენდა ცნობილი იყო როგორც პირველწყაროებიდან (ბიბლიის ქართული რედაქციები), ისე აღორძინების ხანის მხატვრების ტილოებიდან, აგრეთვე ფლობერის „სალამბოდან“, გუცოვის „ურიელ აკოსტადან“. ქართული ლეგენდიდან „ხორეშანის თავგადასავალი“, შ. არაგვისპირელის „შოი თავადიდან“. და სხვ.

ქეთოს ივლითობის საკითხზე ორი აზრი არსებობს. აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე ამბობს: ქეთოს სურდა „ივლითობის“ მძიმე ხვედრი გაეზიარებინა, რაკი აკოსტად ზურაბ გურგენიძე მიიჩნიაო“

მკვლევარი ლ. ძნელაძე კი მას ბიბლიურ ლეგენდის გმირ ქალად თვლის.

საკითხის ნათელსაყოფად განვიხილოთ მწერლის ხელთ არსებული წყაროები.

ბიბლია: — „ნაბუქოდონოსორ ასურესტანის მეფემან“, ქურთებზე გამარჯვებით გაამაყებულმა, მოინდომა „დაჰყრობაცა მთელი ქვეყნისა, და ღმერთსა ვით ყოველთაგან თაყვანისცემულ ყოფა“. ამის გამო თავის სარდალს ოლოფერნს მისცა ჯარი და უთხრა, დაიპყრე

ქვეყნები. ოლოფერნი მიადგა ებრაელთა ქალაქს — ბეტლევს და სასოწარკვეთილებაში ჩააგდო მოსახლეობა... ბეტლევსში ცხოვრობდა ერთი მდიდარი ქვრივი „ივდიო წოდებული, სახით ფრიად მშვენიერი და ღვთის მოშიში“, რომელმაც ქმრის მენასეს სიკვდილის შემდეგ „არღა ინება ზელმეორ ქვეყნიერებაო“ და სიწმინდითა ცხოვრობდა. „ვიითარცა ესმა საქმენი ესე“, ადგა, მორთ-მოიკაზმა, აიყვანა მხევალთ, ბეტლევსიდან გავიდა და ეახლა ოლოფერს... „ესრეთ დღესა სამსა და ღამესა სამსა ივდიო ოლოფერნესთან გაატარა“, მეოთხე ღამეს მთვრალს თავი მოკვეთა და გამობრუნდა უკან. უმეთაურო ლაშქარი ებრაელებმა უკუაქციეს.¹

„სალამო“: — ჩვენს ერამდე მესამე საუკუნეში ეგაბის კუნძულებთან რომაელებმა გაანადგურა კართაგენის ფლოტი. დამარცხებულმა კართაგენმა ჯამაგირი ვერ გადაუხადა დაქირავებულ ლაშქარს, რის გამოც ისინი აჯანყდნენ. როცა ლაშქარი ახალი იერიშისათვის ემზადებოდა, კართაგენის მხედართმთავრის ჰამილკარის ღვთის მოშიში ქალიშვილი — სალამო მზღებლებით შეიპარა მტრის ბანაკში და მასზე შეყვარებულ მხედართმთავარ მათოსთან განმარტოვდა. შემდეგ კი ჩაძინებულ მათოს თავის მოკვეთა მოუწოდოდა, მაგრამ ვერ გაიმეტა (თურმე მასაც შეპარვოდა გულში მოსისხლე მტრის სიყვარული)... მოიპარა ქალღმერთის (ტაინიტის) რიდე, რომელიც მათოს ჰქონდა განატაცები და დაბრუნდა მამის ლაშქარში. კართაგენელებმა სასტიკად დაამარცხეს მათოს ჯარი. ამის მიზეზი თურმე იმ რიდის დაბრუნება იყო, რომელიც სალამომ მოჰპარა მძინარე მათოს.

„ურიელ აკოსტა“: ამსტერდამელ მდიდარ მენესეს ასული ივდიო, რომელიც იოხანის საცოლედ ითვლება, მოიხიბლარა ურიელ აკოსტას ფილოსოფიური აზროვნებით, შეუყვარდება იგი. მათ შეუთლებას წინ აღუდგება მამა, სინაგოგა, ხალხი... ივდიო იძულებულია ცოლად გაჰყვას იოხანს, გული კი აკოსტასკენ მიუწევს. ივდიოს გატანჯულ სულ-

ში გაორება ისაღებებს და განაწამები ქალი თავს იწამლავს.

აი რას გვიამბობს ქართული ლეგენდა ხორეშანის შესახებ.

შაჰ-აბასმა დაიპყრო მთელი კახეთი და მეტი წილი ქართლისა. საქართველოს მეფემ, შაჰთან საჩუქრებითა და შეწყნარების თხოვნით სახელგანთქმული მამულიშვილი შიო თავადი გაგზავნა, მაგრამ ამოდ. მეფის თხოვნა შაჰმა სასაცილოდ აიგდო... საქართველო საშინელი საფრთხის წინაშე დიდგა, საშოში იყო აგრეთვე თელავის ახლოს მოკალათებული ალავერდა-ხანიც, რომლის გადმობრუნებას ამ ხანად ქართველებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს დიდი მისია შიო თავადის ლაშქარს — ხორეშანს დაეკისრა... სამშობლოს განსაცდელმა პატრიოტი ქალი უყუყუნაო მიიყვანა ალავერდა-ხანთან, რათა თავბრუდებოდა ვნებაშლილ ხანისათვის. ხორეშანი მას შაჰის წინააღმდეგ აამხედრებს და საქართველო დარბევას გადაურჩება.

ამ მოტივზეა აგებული შ. არაგვისპირელის დრამა „შიო თავადი“.

მ. ჯავახიშვილის, „ქალის ტვირთი“, — მაღალი წრის ქალიშვილი ქეთო ახატნელი რევოლუციონერთა მეთაურით — ზ. გურგენიძით მოიხიბლება და ერთობის საქმის თანამგრძნობი გახდება. შექმნილი მდგომარეობა უკარნახებს ცოლად გაჰყვას რევოლუციის და პირადად ზურაბ გურგენიძის დაუძინებელ მტერს ავშაროვს, რათა მოჩვენებითი ცოლობით ერთობის საქმეს სამსახური გაუწიოს. ქეთო ვერ უძლებს გაორებას და იღუპება.

ამრიგად აქ მოყვანილ ამონაწერებს ერთი საერთო მოტივი „ივდიობა“ ასულდგმულებს, გარკვეული მიზნის მისაღწევად სულიერი და ფიზიკური მსხვერპლის გაღება.

რომელი მათგანი დაედო საფუძვლად ქეთო ახატნელის ივდიობას?

ბიბლიური ლეგენდის გმირი ქალის — ივდიოს სახე, ქეთო ახატნელის სულიერი ტანჯვის წყარო, შთაგონება და მიზნის სიხსადე. ვერწმუნებით მკვლევარ, ლ. ძნელაძეს, რომელმაც ახატნე-

ლის ასულის ივლითობის პირველ წყაროდ ბიბლია მიიჩნია. მოვიგონოთ ზურაბ გუბგენიძის გამოსვლა ქალთა წრის სხდომაზე, რომელსაც ქეთოც ესწრება.

— ქალის როლი პოლიტიკურ ისტორიაში, — ამბობს ზურაბი, დასაბამიდანვე მოჩანს. თუნდაც ივლითი გაიხსენეთ. ნაბუხოდონოსორის სარდალმა ოლოფერნმა ებრაელთა ერთ ქალაქს ალყა შემოარტყა, ვინმე მანასეს მზეთუნახავმა ქვრივმა ივლითმა თავი გასწირა: მტრის ბანაკში გავიდა, ოლოფერნი მოხიბლა და დანებდა. როცა ოლოფერნმა გული იჭერა და ჩაეძინა, ივლითმა მისივე მახვილით მოჰკვეთა თავი და გამოიპარა. უმეთაურო ლაშქარმა ებრაელებს ვეღარ გაუძლო და გაიქცა. სად არის დედა აზრი ამ ლეგენდისა? ივლითმა თავისი უბიწო სახელი და მშვენიერი სიბუდე სიბილწავედ მისცა მტრის და სამაგიეროდ სამშობლო ქალაქი და მშრომელი ხალხი იხსნა, — სიქვა ზურაბმა და ქეთოს დაეცქერა, რომელიც მოხიბლული იჯდა. და თავის ახალ მეგობარსა და მასწავლებელს თვალს არ აშორებდა..

—ესეიგი, მიზანი თვითონ მიზანია, საშუალება კი თითქმის არაფერი. — განაგრძო ზურაბმა. — ვისაც ჩვენი მიზანი ღრმად სწამს და ძვალრბილში აქვს გამჯდარი, ის არავითარ საშუალებას არ მოერიდება და ყველაფერს გასწირავს“.

აქედან იწყება ქეთოს ივლითობა, მისი ხასიათის გარდატეხა. ამის შემდეგ აჩრდილოვით დასდევს ახატნელის ასულს ივლითის, სახე და ყველაზე კრიტიკულ ნაბიჯსაც ივლითის მიბაძვლითობით დგამს — რევოლუციის ინტერესების დასაცავად ცოლად მიჰყვება რევოლუციის დაუძინებელ მტერს ავშაროვს. ე. ი. პირველი წყარო, რომელმაც ქეთოს სახის ჩამოყალიბებაში ერთგვარად გადამწყვეტი როლი ითამაშა, არის ებრაული ლეგენდა „მოთხრობა ივლითისა“.

მაშ რაღა აქვს ქეთოს სახეს საერთო სალამბოსთან, გუცკოვის ივლითისთან, ქართველ ხორეშანთან?!

„სალამბო“ მიხილ ჯავახიშვილის საყ-

ვარელი რომანი იყო. ჰიმელკარის სასულის მოქმედებით მოხიბლულ განზო-ხული ჰქონდა დაეწერა ქართული „სალამბო“ მთიელთა ცხოვრებიდან. ამიტომ ბუნებრივია „ქალის ტვირთზე“ მუშაობისას მწერლის მუზას სალამბოს ლენდიც დასტრიალებდა. თუმცა უნდა აღენიშნოთ, რომ ფლობერი და ჯავახიშვილი სხვადასხვანაირად აღდენენ მსგავსი მოტივის მხატვრულ გარდასახვას. მაგალითად, ჰიმელკარის ასულისა და მისი ხალხის ინტერესები ერთ მხარეზეა, სასურველი ადამიანი კი მოწინააღმდეგის მხარეზე; ქეთოს ხასიათი ამ შემთხვევაში უფრო უახლოვდება ბიბლიურ ივლითის — იგი მოქმედებს მტრის და არა მიჯნურის წინააღმდეგ.

მ. ჯავახიშვილის გმირი ქალისა და გუცკოვის ივლითის ბედი ნამდვილად გეანან ერთმანეთს: ორთავენი პროგრესულ აზრს უჭერენ მხარს, პროგრესული აზრის მატარებლებს უმიჯნურდებიან და რადგან არსებული მდგომარეობა არ იძლევა დაქორწინების საშუალებას, პირადი ბედნიერება მიაქვთ სამსხვერპლოზე.

ქართული ლეგენდით, ხორეშანის თავდასასვლით მ. ჯავახიშვილი მოხიბლული იყო. იგი ჯერ კიდევ 1907 წელს წერდა: „შოი თავადმა და ხორეშანმა ერთმანეთს დაუპირისპირეს პირადი ბედნიერება და სიყვარული მამულისადმი“. ეს ლეგენდა ჯავახიშვილს მიანდა მწერლისათვის მშვენიერ მასალად. ამიტომ გვგონია, რომ ხორეშანის სახეცაც თავისებური განვითარება ჰპოვა ქეთო ახატნელის ივლითობაში.

„ქალის ტვირთში“ და ქართულ ლეგენდაშიც, გმირი ქალის საბედისწერო ნაბიჯის გადადგმა — საერთო საქმისათვის მტრის სარეცლის გაზიარებაა.

საყვარელი ადამიანების კარნახით, მამულის უბედობით შეძრწუნებული თავადი მიეჭრება ახალ შერთულ ცოლს ხორეშანს და ეუბნება: „სამშობლო და-

იხსენ... გაიწირე თავი!.. მიეც შენი სიყვარული მცირე ხანს ხან-ალავერდის, ვარსკვლავების ამოსვლიდან განთიადამდინა“.

ზურაბიც ასევე ეუბნება ქეთოს: „საჭიროა მტერს ცოლად გაჰყვე... შენს მიხანს იქედან ემსახურო და განსაზღვრული სარგებლობა მოუტანო.“

ქეთოსა და ხორეშანის ხასიათებს ახლოვებს ის მდგომარეობაც, რომ ისინი უმტყიენეულოდ ვერ ურიგდებიან მტერთან განმარტოებას. ყოყმანობენ, ზომიერ და წონიან ნაბიჯს... რასაკვირველია, ხორეშანის განცდები ამ მხრივ უფრო მძაფრია.

მამასადამე, ქეთოს ივლითობას პირველ წყაროდ დაედო ბიბლიური ლეგენდა „მოთხრობა ივლითისა“. ხოლო „სალამბომ“, „ურიელ აკოსტამ“, ხორეშანის თავგადასავალმა, „მეო თავდამა“ და სხვამ, მეტნაკლებად შეუწყვეს ხელი ახატნელის სახის შექმნას, რაც გვაძლევს უფლებას ყველა ჩამოთვლილი ძეგლი მივიჩნიოთ ქეთოს ივლითობის ფოლკლორულ-ლიტერატურულ წყაროდ.


„ქალის ტვირთში“ ყურადღებას იპყრობს სხვა ფოლკლორული მოვლენებიც: პერსონაჟებისა და სიტუაციების დახასიათებისას მწერალი იშველიებს ჯადოსნური ზღაპრის ატრიბუტებს: ბროლის კოშკში მჯდომი ქეთო გაიგივებულია თეთრ გედთან, მისი პორტრეტი შეფერადებულია ლალის, ზურმუხტის, ფირუზის თვლებით, ერთობა შედარებულია გველშაპთან. ნაწარმოებში გაბნეულია ხალხური ეპოსისათვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები. შეიმჩნევა ხალხური ეპოსიდან მხატვრული ციტაციის მაგალითებიც, გამოყენებულია ანეგდოტები, ხალხური ტრადიციული სიმღერები, ცეკვები, მცირე ხალხური ჟანრები.

რომანში, ჩვენებასა და სიზმრის ვისებური მხატვრული ფუნქციონირების ქეთო ახატნელს ეჩვენება, რომ: შემფოთებულ ცაში, სადაც ღრუბლებს თეთოს დოლი გაემართათ, „განმარტოებით თეთრი მარმარილოს კოშკი მისცურავს, — კოშკის თავზე ყელმოღერებული თეთრი გედი წარმოქმდარა. უკან პირდაღებული შავი ურჩხული მოსდევს... საცაა უნდა დაეწიოს... აჰა კიდევ დაეწია, კოშკი დაანგრია, გედიც ჩაყლა და თვითონაც ჩაიფუშა“. მსგავსი ფანტასტიკურობით ხასიათდება ზურაბ გურგენიძის სიზმარიც⁴.

მხატვრულ ნაწარმოებში სიზმრისა და ჩვენების მიზანია პერსონაჟების მოქმედების განვითარების ნათელყოფა. ქეთოს ჩვენება თავისთავად წარმოადგენს პატარა ფანტასტიკურ მოთხრობას, სადაც ურჩხულის დადევნება ფოლკლორული მოტივია,

რად დასჭირდა მწერალს სიზმრისა და ჩვენების გამოყენება ნაწარმოებში? მწერალი ალეგორიული ფორმით გვეუბნება: კოშკის თავზე ყელმოღერებული გედი — მაღალ არისტოკრატიულ ბუდეში მონებივრე ქეთოა, რომელიც ვერ ხედავს მის უკან მყოფ ურჩხულს. იგივე ძირმომპალ თავდაზნაურულ ცხოვრებას, რომელიც საცაა ჩაუხგრავს კოშკს (ოცნებას) და შთანთქავს ქეთოს. ეს პასაჟი ქეთოს ცხოვრების ერთგვარი პროლოგია, რომელიც მიუთითებს პერსონაჟის ძირითად ხასიათზე, მწერლის მხატვრულ ჩანაფიქრზე.

ქეთოს ჩვენებას მეორე მხარეც აქვს. იგი წარმოადგენს პეიზაჟის სამკაულს, ჯადოსნურად აღშფოთებული ბუნების კომპოზიციურ ნაწილს, რომელიც მიგვანიშნებს, რომ რაღაც ძვრების წინაშე დგას ქეთოს გარშემო მყოფი სამყარო.



რევოლუციური რომანტიკის პათოსით...

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალ ეპოქას კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. მანვე წარმოშვა საბჭოთა ხელოვნება, რომელიც პირველი დღიდანვე ამოცანად ისახავდა ყოველმხრივ ავსახა ახალი სინამდვილის შინაარსი, მისი პათოსი, მისი წინააღმდეგობანი და მამოძრავებელი ძალები. ამ პერიოდში მთავარი მხატვრული თემა გახდა ახალი სამყაროსა და ახალი ადამიანის დაბადება.

„მშვენიერების“ გამოვლინების ერთ-ერთი სფერო იყო ხალხის გმირული ბრძოლა ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში. დრო მოითხოვდა გმირებს და შობდა კიდევაც მათ. „გმირული“, როგორც „მშვენიერების“ ერთ-ერთი მხარე, ასახვას პოულობდა ოციანი წლების პირველი ნახევრის ფართო ლიტერატურულ ნაკადში. ლირიკულ თხრობაში სოციალურად შეგნებული პეროიზმის, როგორც „მშვენიერების“ გამოვლინების სახეობრივი გახსნა განსაზღვრავდა საბჭოთა ლიტერატურის რევოლუციურ-რომანტიკულ სიმამფრეს საერთოდ, კერძოდ კი ოციანი წლების მწერლობის პათოსს.

რევოლუციური რომანტიკა ახასიათებს როგორც უფროსი, ისე უმცროსი თაობის საბჭოთა მწერლებს. ახალი ლიტერატურის ფუძემდებელთა შორის ერთი საპატიო ადგილი უკავია ბ. ლავრენეს. რომლის შემოქმედებითი აყვავების პერიოდი სწორედ ოციან წლებზე მოდის. აღიარებულია, რომ მწერლის ამ პერიოდ-

დის საუკეთესო ნაწარმოებია მოთხრობა „ორმოცდამეერთე“. მასში ბ. ლავრენემა თავი გამოიჩინა, როგორც დრამატული სიუჟეტის ოსტატმა.

„ორმოცდამეერთის“ რომანტიკა უკავშირდება რევოლუციის ერთგულების პრობლემას. ლავრენემა იგი გახსნა სიყვარულის ზოგადკაცობრიული იდეალისა და რევოლუციის ერთგულების სოციალურ-ისტორიული იდეალის შეტაკებათა მეშვეობით, რამაც განსაკუთრებული სიმწვავე შესძინა ამ პრობლემას.

მხატვარმა თავისი იდეის ნათელსაყოფად აირჩია საგანგებო სიტუაცია. წითელარმიელთა რაზმმა შეიპყრო თეთრი ოფიცერი, რომელიც აუცილებლად უნდა მიეყვანათ შტაბში. რაზმი გზას მიიკვლევდა ყარა-ყუმის უდაბნოში და ქვიშის ამ ოკეანეში ზედაზედ კარგავდა მებრძოლებს. როცა უდაბნო გალესდა წინ მხოლოდ არალის ზღვა დარჩა, უკანასკნელი მებრძოლებიც დაიღუპნენ. გადარჩნენ მხოლოდ ორნი — ევსიუკოვის რაზმის ჯარისკაცი მარიუტკა და თეთრი ოფიცერი გოვორუხა. ბედმა ისინი გაიყვა კუნძულზე, რომელსაც მხოლოდ გვიან შემოდგომაზე აკითხავდნენ მეთევზეები. იწყება უცნაური რობინზონადა: უკაცრიელი კუნძული და ორი მტერი — ერთი ტყვე, მეორე კი ღარაჯი.

თვით სოციალურმა წარმოშობამ განაპირობა გმირების ადგილი მტრულ ბანაკებში. გოვორუხა, იყო მდიდარი, აზნაური, განათლებული და კულტურული, მარიუტკა კი ღარიბი მეთევზე,

რომელმაც ბოლომდე გამოსცადა სილა-ტაის საშინელება. და შეიძლება არც არასოდეს დაახლოებოდნენ ისინი ერთ-მანეთს, განსაკუთრებულ ვითარებაში რომ არ აღმოჩენილიყვნენ.

ჩამკვლარ კუნთულზე მათ წინაშე და-ისახა ამოცანა: გაეძლიათ, როგორმე სი-ცოცხლე შეენარჩუნებინათ. არსებობი-სათვის ბრძოლის პროცესში დროებით-ორივემ დაივიწყა მტრული ურთიერთო-ბა. ისე ჩანდა, თითქოს საღლაც შორს დარჩა კლასობრივი ბრძოლა და ქარი აქ არასოდეს მოიტანდა სამყაროს მო-ვიზიზიხე ხანძრის ნაპერწყმლებს.

მარიუტამ იკისრა მეურვეობა გაე-წია ამ „ცისფერთვალა“ ოფიცრისათვის, რომელიც ბავშვებით უმწეო იყო შეუ-ჩვეველ და ესოდენ მძიმე პირობებში. მას ამოძრავებდა სუსტისადმი თანდაყო-ლილი დედობრივი ზრუნვა და უცნაუ-რადაც კი მოეჩვენა ოფიცრის მადლობა: „მადლობას ნუ მიხდი... აბა რისთვის? გმადლობთ. რა, შენი აზრით, ადამიანი სასიკვდილოდ უნდა გავწირო! ტყუილი ვარ თუ ადამიანი?“ ამას ამბობს გოგო-ნა, რომელიც მშვიდად ითვლიდა დანო-ცილი მტრის თავებს.

ოფიცრისადმი მარიუტკას დამოკიდე-ბულება ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე გუ-ლში სიყვარულის ცეცხლი აენთებოდა, ცხადყოფდა მის თანდაყოლილ ჰუმანუ-რობას. იგი ცხოვრებამ აიძულა იარაღი აესხა და არ ამოძრავებდა ნგრევის არა-ვითარი სტიქიური ენება. მარიუტკა მო-ნაწილებს რევოლუციას, რადგან შე-იგნო, რომ მას ხალხისათვის მოჰქონდა არაღაც დიდი და კეთილი.

არის რაღაც ღრმა და ნაზი მარიუტ-კას, ამ პოეტურად მეოცნებე ქალიშვი-ლის სიყვარულის პირველსავე გამოვლი-ნებაში. მწერალმა შეძლო ეჩვენებინა ის მრავალი გრძნობა, რომელიც ქალის სი-ყვარულის ერთიან გრძნობას შეადგენს და რომელშიც დედობრივი ზრუნვა მკი-დროდ ერწყმის თანდაყოლილ მისწრა-ფებას დაიცვას რითიმე მუდამ სუსტი მა-მაკაცი, ამავე ღროს იგი ბოლომდე აფა-

სებს იმ კარგს, რაც მან მამაკაცში აღმო-ჩინა.

ლავრენევის ადრინდელი შემოქმედე-ბის მკვლევარები ერთსულოვნად აღიარებენ, რომ მარიუტკა გაიტაცა პორუ-ჩიკის „განსწავულობამ.“ ამის გამო ი. ევენტოვი მარიუტკას გრძნობას თვლის შემთხვევითად, რომელიც გაჩნდა „უც-ნაურ, მძიმე, გაუგებარ დღეებში“ (ბ. ლავრენევი“ 1951 წ. გვ. 25). ასე რომ ყოფილიყო, არავითარი ტრაგედია არ დატრიალდებოდა. გოვორუხა უბრალოდ რიგით ორმოცდამეერთე იქნებოდა და მეტი არაფერი.

ვითარების მთელი დრამატიზმი იმაშია, რომ მარიუტკას დაეუფლა მართლაც დი-დი ღრმა გრძნობა. ეს არ ყოფილა უბ-რალო გატაცება. მარიუტკას სიყვარული გამოხატავს ამ მშვენიერი გრძნობის უსა-ზღვრო შინაარსობრივ სიმდიდრეს და სილამაზეს.

გმირი, რომელმაც ეს გრძნობა აღძრა მარიუტკაში, სრულიადაც არ ყოფილა „არარაობა“, როგორც მას უწოდა კრი-ტიკოსმა ი. ევენტოვმა. გარკვეული აზ-რით, გოვორუხა არის ტიპიური წარმო-მადგენელი იმ რუსი ინტელიგენციისა, რომელიც სავსებით მოუშაღებელი შე-ხვდა რევოლუციურ მოვლენებს. „წმინ-და მეცნიერების“, წიგნების სიყვარულ-მა მოწყვეტა გოვორუხა ხალხის ცხოვ-რებას. სამშობლოს ერთგულების სუ-ლისკვეთებით აღზრდილი, იგი ფრონტზე მიდის და რწმუნდება, რომ ომი სრული-ადაც არ არის დიდი მოვლენა, როგორც მას ეგონა. მერე მოხდა რევოლუცია, რომელიც გოვორუხას წარმოედგინა როგორც დღესასწაული. მაგრამ „დედურ-ტირებმა“ მას პავონები ჩამოგლიჯეს და შეურაცხვეს; „რისთვის?“, უკვირდა გო-ვორუხას — მას ზომ ოფიცრობისას არა-სოდეს შეუტრაცხუყვია არცერთი ჯარის-კაცი! ასე აღმოჩნდა იგი თეთრების ბა-ნაკში, მაგრამ ისინიც არ მოეწონა და გადაწყვიტა განდგომოდა ორივე ბანაკს, ჩაკეტილიყო თავის თავში. თავისი ბე-დით და ხასიათით გოვორუხა რამდენა-


დმე მოგვაგონებს ა. ტოლსტოის ვადიმ როშჩინს („ტანჯვის გზები“).

ერთი კი ცხადია: არა თეთრი ოფიცერი, არამედ მარიუტკა გამოხატავს მწერლის წარმოდგენას მშვენიერებაზე. მარიუტკამ რევოლუცია განიცადა როგორც ახალი სამყაროს დაბადება, შეიგნო მისი განმახლებელი ძალა და ამ შეგნებამ შეაძლებინა მას ორმოცდამეერთე გასროლა. მოვლეობის გრძნობამ დათრგუნა პირადული გრძნობა. ამასთან მარიუტკამ უკანასკნელი ნაბიჯი უფრო ინსტინქტურად გადადგა, ვიდრე შეგნებულად.

ამ მოთხრობის დაწერიდან ოცდაათი წლის შემდეგ რომანტიკოსმა მწერალმა ა. დოვეენკომ შენიშნა, რომ სწორი არ არის, როცა უგულებელვყოფთ ტანჯვას, რომელიც ჩვენი ყოფის ისეთივე დიადი დადასტურებაა, როგორიც ბედნიერება და სიხარული. ლავრენევმა ფაქიზი მხატვრული ტაქტი გამოიჩინა, როცა ძუნწად, მაგრამ ესოდენ ძლიერად გადმოსცა გამიჯნურებული ქალის ტანჯვა და მოთხრობაც აქ შეწყვიტა. „ეს რა ჩაიდინე?“, გაოგნებული ამბობს მარიუტკა და ასე-

თი ტანჯვით მოპოვებული მისი გმირობა კიდევ უფრო გამირული ხდება.

ლავრენევს არაერთხელ უსაყვედურეს, რომ გმირობა გააიგივა მხოლოდ „განსაკუთრებულთან“, დაივიწყა, რომ გამირული ვლინდება ყოველდღიურშიც, ჩვეულებრივ ვითარებაშიც. ჩვენი აზრით, ყოველ მწერალს უფლება აქვს თვითონ აირჩიოს მოვლენა — ჩვეულებრივი თუ არაჩვეულებრივი. მთავარია, გამოხატულის არსი შეესაბამება თუ არა ცხოვრების ლოგიკას, გასაგები და ახლობელია თუ არა მილიონობით მკითხველისათვის. მშვენიერების ის წარმოდგენა, რომელიც ნაწარმოებშია მოცემული. ლავრენევის მოთხრობა კი ამ მხრივ სანიმუშოა. და მართალი იყო კრიტიკოსი ი. ვიშნევსკი, როცა წერდა, რომ ლავრენევმა „ორმოცდამეერთეში“ შეძლო გაეხსნა „გამარჯვებული სამყაროს აღამიანის ცოცხალი, მრავალწახნაგოვანი ხასიათი.“ ყველაფერი ეს ცხადყოფს, რომ ლავრენევი იყო რევოლუციის რომანტიკოსი მწერალი.



ნაგორი ინჟინერული მენავთობით კომპა

1929 წლის 25 მაისი ბათუმელმა მე-
ნავთობებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს,
ამ დღეს გაიხსნა საბჭოთა მუშებისა და
ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მიერ
აგებული ნავთობგადამამუშავებელი ქა-
რხნის პირველი რიგი — ნავთის კუბუ-
რი ბატარეა. იგი მწყობრში ჩადგა მა-
შინ, როცა ინდუსტრიული გიგანტები
საბჭოთა ქვეყანაში თითზე ჩამოსათვლე-
ლი იყო.

საავტომობილო და მანქანებში მუშა-
რების განვითარებამ 1929 წლიდან დიდად
გაზარდა მოთხოვნილება მაღალი ხარის-
ხის ბენზინსა და ზეთზე. აუცილებელი
გახდა ნავთობის გადამამუშავების ტექნო-
ლოგიის გარდაქმნა, მისი განახლება და
ახალი ტექნიკით აღჭურვა. საჭიროებამ
მოითხოვა წარმოებაში დამკვიდრებული-
ყო ევროპული კრეკინგპროცესები,
რომელიც გაზრდიდა ბენზინის გამოსავ-
ლიანობასა და მის ხარისხს. ქარხნის
წარმატებებმა და ახალმა ცხოვრებამ გა-
ზარდობეს შექმნილიყო საერთაშორისო
ბაზრის კონიუნქტურა. გაორკეცებული-
ყო საერთაშორისო ბაზარზე საბჭოთა
ნავთის ექსპორტი.

იმ დროისათვის, მსოფლიოს ბაზარზე
ნავთობის პროდუქტების გასაღებაში
პირველობისათვის, ინგლის-ამერიკის
დამოკიდებულება მეტად დაძაბული გა-
ხდა. ამის თაობაზე 1929 წლის 1 აპრილს
გაზეთი „ვიშა“ წერდა: „ინგლისის ბა-
ზარზე ნავთის ფასი ეცემა. ინგლის-ამე-
რიკის შორის შეთანხმებამ ნაყოფი არ
გამოიღო. ამერიკის სანავთო ტრესტი ყი-

დულობს საბჭოთა ნავთს და დაინტერე-
სებულია ინგლისში ნავთის ფასების და-
ცემით. ამავე დროს არ უჭერს მხარს ინ-
გლისის ზრახვებს საბჭოთა ნავთის ბოი-
კოტის საკითხში, თითქმის ეს ნავთი მო-
პარულია ირანიდან. ირანისა და აზერ-
ბაიჯანის ნავთის საბადოები თითქმის მი-
წის ქვეშ არიან შეერთებული და ზიარ
ჭურჭელს წარმოადგენენ“. ამგვარმა სი-
ტუაციამ განაპირობა საბჭოთა მენავთო-
ბითა დელეგაციის გაგზავნა ამერიკაში.
დელეგაციას „აზნავთის“ მმართველი ბა-
რინოვი მეთაურობდა. დელეგაციამ შე-
იძინა უახლესი ტექნიკით აღჭურვილი
ნავთობის გადამამუშავებელი დანადგა-
რები რომლის საშუალებით შეიძლებოდა
მიღებულიყო ნავთობის პროდუქტების
ყველა ასორტიმენტი. დანადგარების ეს
სისტემა შემდგენიარად განაწილდა: ათ-
დიუმიანი მილგაყვანილობით ბაქოდან
მიღებული სურუხანის ნავთობის ერთი
ნაწილი, უკვე მოქმედ კუბურ ბატარეა-
ში შევიდოდა, რომელიც გამოხდის წე-
სით იძლეოდა ნავთს, მანქანების ზეთს
და ნაწილობრივ ბენზინს. ამასთან ერ-
თად უნდა განლაგებულიყო ჯენკენის
სისტემის ოთხი დანადგარი, რომელიც
ნარჩენი მაზუთისაგან გამოჰყოფდა ბენ-
ზინს. სურუხანის ნავთობის მეორე ნა-
წილის გადამამუშავება უნდა მოეხდინა,
ფოსტერის სისტემის ნავთობის ორ მი-
ლოვან დანადგარს „ტრუბაქას“. ეს და-
ნადგარი ძირითადად აწარმოებდა ბენ-
ზინსა და ნავთს, ხოლო ნარჩენების ნა-

წილი იგზავნებოდა ბრაისტოკის ქარხანაში საპონის ზეთის მისაღებად.

დელეგაციამ სხვა სახის დანადგარებიც შეისყიდა. ასეთს წარმოადგენდა ვინკლერ კოხის ოთხი კრეკინგდანადგარი. გერმანიიდან შემოტანილი იქნა გავირდმეკავას აღმდგენი ფიშერის სისტემისა და სხვა საექსპორტო პროდუქტების გასაწმენდი დანადგარები.

ამ მოწყობილობათა შესყიდვა მოხდა ერთი პირობით. მანქანების დადგმა-ამუშავებაზე პასუხი უნდა ეგო მათ გამოშვებ ფირმებს, რის გამოც ბათუმში მოვლინებულნი იქნენ ამერიკელი ინჟინრები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამერიკელი ინჟინრები უგულოდ ეკიდებოდნენ საქმეს, სათანადო დახმარებას არ უწყევდნენ ქარხნის კოლექტივს. მაგარა მუშები და სპეციალისტები თანდათან ეუფლებოდნენ ახალ ტექნიკას და დიდი მონდომებით სძლევდნენ სიძნელებებს.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლენინური კურსის განხორციელებისა და სახალხო მეურნეობის ტექნიკური შეიარაღებისათვის, მანქანებისა და დანადგარმოწობილობათა იმპორტირებაში, დიდი წვლილი უნდა შეეტანა ნავთობის პროდუქტების ექსპორტს, რაც ძირითადად იწარმოებდა ბათუმიდან.

ბათუმელი მენავთობეები დიდ და პასუხსაგებ ამოცანის წინაშე დადგნენ: რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხიანი ნავთი, — გახდა მათი დევიზი.

ამიტომ იყო, საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნისადმი. გამომრკვევი კომისიები მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქარხნის პარტიული უკრავდის ავტორიტეტს, რომელიც ახორციელებდა პარტიის ლოზუნგს — „პირით წარმოებისაკენ!“

დიდი იყო პარტუკრავდის როლი, მისმა დროულად ჩატარებულმა ღონისძიებებმა მუშებში ვიწრო შოვინისტური გამოხდომები უმალ აღმოფხვრა. პარტიულმა ორგანიზაციამ, ზემდგომი პარტიული ორგანოების დახმარებით დაახლოვა და

მჭიდროდ დააკავშირა ისინი, მათ ხასითებსა და მისწრაფებებს დაუღო სარჩული — მეგობრობა!

1930 წლის ივნისში ქარხანაში ადგილი ჰქონდა დიდი რაოდენობის ნარჩენის, კერძოდ მავუთის დაგროვებას. თუ დროულად არ ამუშავდებოდა ჯენკენის დანადგარი, მავუთი უნდა დაღვრილიყო. ამჟამად იკარგებოდა 50.000 ტონა ბენზინი და ლიგროინი, რომელიც მავუთის გადამუშავების შედეგად მიიღებოდა. დირექციამ და პარტიულმა ორგანიზაციამ მოზილიზაცია უყო მუშა-ინჟინერთა კოლექტივს. დასახული იქნა პრაქტიკული ღონისძიება ასეთი ლოზუნგით: — „თუ არ ავაშუშავებ „ჯენკენის“ ვეღარ იმუშავებს ვეღად გასული ათასობით ტრაქტორი!“

მეორე დღეს 7 საათზე დანადგარი ამუშავდა და აცილებული იქნა სახალხო დოვლათის დაკარგვის მოსალოდნელი საშიშროება.

1930 წლის დასაწყისში დაიწყო ახალი, თბილექტრო, ანუ ძალოვანი სადგურის მშენებლობა, რომელიც მთლიანად მენავთობეთა დაბას ელექტროენერგიით დაკმაყოფილებდა.

1930 წლის ბოლოსათვის დანადგარებისა და მოწყობილობების თერთმეტ მსხვილ ობიექტზე მშენებლობა მიმდინარეობდა, რომლის მეტი წილი 1931 წელს დამთავრდა და მოწყობრაში ჩაღდა. ამ დიდ წარმატებებს ნაკლიც ახლდა მშენებლობის დაჩქარებამ და დანადგარების ნაჩქარევად აწყობამ, რიგი შეცდომები გამოიწვია. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ქარხანა ადგილობრივი კადრების ნაკლებობას განიცდიდა. მომწიფდა საკითხი: „ბოლშევიკები უნდა დაუეფლონ ტექნიკას“. ამ მიზნით ბაქოში უმთავრესად ქარხნის მოწინავე მუშები, გამოერესად კომუნისტები, ბაქოს მაშინ სამართლიანად ეწოდა „საბჭოთა მენავთობეთა კადრების სამჭედლო“.

ქარხანას მაღლ დაუბრუნდა სამრეწველო-აკადემია-დამთავრებული მუშების ერთი ჯგუფი. მათ შორის იყო მოწინავე მუშა ზუსეინ სარჯველაძე, რომე-

ლიც შემდეგ ქარხნის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა.

ხუსეინ სარჯველაძე მადლიერებით იგონებს ბაქოში გატარებულ სწავლის პერიოდს. იგი დასძენს: — დიდ დახმარებას მიწევდნენ რუსი და აზერბაიჯანელი ლექტორები. მათმა გულითადმა ზრუნვამ გლეხი კაცი ინჟინერი გამხადა.

ბაქოში აითვისეს და სპეციალობა მიიღეს აგრეთვე ყოფილმა მშენებელმა მუშებმა: ქარხნის ახლანდელმა დირექტორმა ს. დოლიძემ, მთავარმა ინჟინერმა მ. ბეჟანიძემ, საწარმოო განყოფილების უფროსმა ვ. ქირიამ და სხვებმა.


ბათუმელი მენავთობეები თანდათან ეუფლებოდნენ უახლესი სისტემის დანადგარების რთულ ტექნოლოგიას. მართალია პირველ ხანებში დანადგართა ცალკეულ კვანძებს ვადაზე ადრე სჭირდებო-

და შეკეთება, დროულად ვერ აუღიონდნენ მოძალებულ ექსპორტს. არც პირადუქციის ხარისხი იყო უნაკლო, მაგრამ ეს სიძნელეები ინჟინრებისა და მუშების მუყაითი მუშაობის შედეგად მალე დაძლეული იქნა.

ასე შეიქმნა და გამოიჭედა ქარხანაში ხალხთა მეგობრობის მუშათა მძლავრი კოლექტივი, რომელიც ძლიერი და ავტორიტეტული გახდა.

დღეს, როცა გახედავთ მენავთობეთა დაბას, მის ცაზე ცეცხლოვანი მილების ტყეს, სიამაყისა და სიხარულის განცდა გეუფლებათ.

ბათუმის პორტში განუწყვეტლივ შემოდის სხვადასხვა ქვეყნის ტანკერები, რათა წაიღონ ჩვენი მენავთობეთა დაუღალავი შრომის ნაყოფი — ქართული ნავთი.



ვლადიმერ ქაჩხაძე

შეხვედრა ვლადიმერ მაიაკოვსკთან

რ ე ლ ა ქ ი ი ს ა გ ა ნ

ამ მოგონების ავტორი — მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ვლადიმერ ქაჩხაძე, ადრე ლექსებს წერდა და პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრი იყო. მოგონებაში მოგვითხრობს პოეტთან შეხვედრის შესახებ, რომელიც წილად ხვდა მას მოსკოვში გამართულ დიდ ლიტერატურულ საღამოზე მონაწილეობისას.

ვებუდავთ ნაწყვეტს მეშუარული ხასიათის წიგნიდან „ფაქტები, მოგონებანი“ (რაზედაც იგი ამჟამად მუშაობს).

ქართველ ხალხს ეამაყება, რომ მის მაღლიან მიწაზე დაიბადა რევოლუციის მგზნებარე მომღერალი—ვლადიმერ მაიაკოვსკი. დიდია მაიაკოვსკის დამსახურება საბჭოთა ლიტერატურის წინაშე. მისი ომახიანი ხმა, კვლავაც გრგვინავს ჩვენი დიადი ცხოვრების ყველა უბანზე. მე ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ საშუალება მქონდა მასთან პირადი შეხვედრისა. მაშინ მე ჭაბუკი გახლდით და ვიყავი მსმენელი მოსკოვის უმაღლესი ლიტერატურული კურსებისა.

1928 წლის გვიანი შემოდგომა იყო. ჯგუფში დირექტორი შემოვიდა და მთხოვა მონაწილეობა მიმედო დიდ ლიტერატურულ საღამოზე, რომელიც გაიმართებოდა დიდ თეატრში მაიაკოვსკის უშუალო ხელმძღვანე-

ლობით სიხარულისაგან მთელი დღე დაბნეული ვიყავი. სადამოს რვა საათზე აწურული შევედი დიდ დარბაზში, სადაც საოცარი ფუნქციონირებდა ატეხილიყო. აქაიქ ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ მწერლები. უცებ, ვიდრე მათა-კოვსკი გამოჩნდებოდა, მისი ომახიანი ხმა გაისმა. მალე წარმოსადგები მა-მაკაცის მიხვრა-მოხვრით შემოვიდა და იმერული კილოთი იკითხა:

— საქართველოდან რომელი ხართ?

მე ცოტა ხანი შევყოყმანდი, იქნებ ჩემს გარდა კიდევ ვინმე იყვეს-მეთქი, მაგრამ როცა დავრწმუნდი არავინ ყოფილა, — მე გახლავარ-მეთქი — ენა ამოვიდგი.

— კეთილი, — გულიანად გამიცინა და ხელი ჩამომართვა.

— თქვენი გვარი? — დაინტერესდა მათაკოვსკი. მე გვარი მოვახსენე.

— ქემხაძე? — გაიკვირვა მან — ასეთ გვარს იმერეთში არ შევხვე-დრივარ, ალბათ აღმოსავლეთ საქართველოდან ხართ.

— დიახ. — დავეუდასტურე და განვუმარტე, რომ ჩვენი წინაპრები ადრე კახეთში სახლობდნენ.

— აბა მაჩვენე რა ლექსებს წაიკითხავთ, ყმაწვილო, — მომმართა და რვეული გამომართვა. რვეულში რამდენიმე ლექსი მეწერა. სწრაფად ჩაათვალიერა და ერთ მათგანზე შეჩერდა. ლექსს სათაურად „აიშე“ ეწე-რა.

— ეს რა, ქალის სახელია, არა? — მკითხა მან.

— დიახ. — მივუგე სწრაფად.

— ამას წაიკითხავ, თუმცა ჯერ კარგად გავეცნო... და კითხვას შეუდ-გა. ზოგიერთი სიტყვები ვერ გაიგო.

— ეს კუთხური დიალექტი გახლავთ. — ვუპასუხე და თითოეული სიტყვა განვუმარტე.

რადგან მაშინ მათაკოვსკმა საჭიროდ სცნო აემალღებინა მისი იდეური მხარე, რათა გამოეხატა რევოლუციის შედეგად მომხდარი არსებითი ვა-რდატეხის მძაფრი სიძალადე, ამდენად საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო ლექსი.

ა ი შ ე

არ შემოგვინა ყვავილზე ცვარი,
კვლავ ლამაზობდა დილა მაისის...
შორეულ გზაზე აიშე მდგარი,
იყო სადარი ამაყ აისის.
მის წითელ იაზმას ბინდი არხევდა,
დაიძრა კიდეც მხარზე გუგუმით,
ვაჟი თითქოს და ხელსა ართმევდა,
ამბოროს ატანდა ნიაფს დუდუნით.
აიშემ სწრაფად გადაირბინა,

ხევში დაეშვა, მოწყდა შევლივით,
ტანი ლერწამის გადაიგრიხა,
მზერას აფრქვევდა ის შეშინებით.
ვაჟი, ვაჟკაცი სირმა-ჩაქურით
კლდიდან გადმოხტა, დაეშვა ფერდობს,
ქალმა მიაპყრო თვალები ურვით
„რად გამოჩნდიო“ და ძლიერ ბღეზობს...
— გოვ, შემომხედე, თაფლის თვალებით,
ნულარ დამფერვლავ ცეცხლის ალევზე...
აჯაფ, რა ვქენი, მიცქერ მხდალივით,
გეყურბანები, უფრო ალახზე...
— ჰო, მაგრე იყოს, ვენდობი სიტყვას,
ღმერთს მაღალს ჩემთვის გაუჩენიხარ.
— ასე იცოდე, რაც უნდა ითქვას,
მკვდარიც რომ ვიყო, მაინც ჩემი ხარ...
ამ დროს უეცრად ისმის ხმა კლდიდან
თავის აიშეს დაეძებს ბაბო.
ვაჟი გადახტა, მოწყდა თვალიდან
„სად წადი, ციცავ, მოდი, აქ გნახო...“
სიომ დაჰბერა, სიომ მთისამა
იწყეს სხივებმა ბრძოლა ტაროსთან...
ქალი ატირა, სიტყვამ მამისამ
„ბაბოვ, არ მივალ აწე წყაროსთან...“

მაიაკოვსკი ნაწერს ატრიალებდა ხელში და ცდილობდა დავერწმუნებოდა, რომ ლექსის ის ადგილი, სადაც ყმაწვილი მას ხვდება, უსათუოდ უნდა გაკეთდეს ისე, რომ ჩანდეს მისი ცხოვრების ახალი და შესანიშნავი მხარე — სულიერი და გონივრული სიმაღლე. აი, ასე რომ ის უკვე სწავლობს მუშფაკში და გოგონას, რომელიც ამდენ ხანს ჩადრის ქვეშ სიბნელებში იყო გამომწყვდეული, მოუწოდოს მხარი აუბას და სიყვარულის ნათელი გზით სინათლისაკენ წაჰყვას და თავადაც დაეწაფოს ყველაზე ძვირფასს და სანუკვარს — ცოდნის წყაროს.

— გესმის! — დიდი თვალების სიღრმიდან მომაჩერდა მაიაკოვსკი, — ასეა, არა?... ასე სჯობს, ხომ..


— დიახ. — მივუგე და გავუღიმე.

— მაშ, ასე, სადამოზე ერთად ვკითხულობთ. შენ ქართულად, მე კი ადრევე საზოგადოებას რუსულად განვუმარტავ ამ შესწორებით, თუ მოვახერხე ვეცდები თეთრი ლექსით გადავცე შენი „აიშე“.

დაიწყო საღამო... მე მოუთმენლად ველოდი ყველაზე მღელვარე და ძვირფასი წუთების მოახლოებას.

ჯერი ჩემზე მიდგა... გასუსულ დარბაზში წარსდგა მაიაკოვსკი და და-
იწყო... ძნელია გადმოგცეთ მისი ლექსის კითხვის სრულყოფილი დე-
კლამაცია. მისმა ომახიანმა ხმამ, მრავალმხრივმა მიმიკამ, მეტყველმა ექს-
ტიკულაციამ, როგორც ყოველთვის, მაშინაც დიდი შთაბეჭდილება მოახ-
დინა მსმენელებზე და როცა მის შემდეგ მე ლექსი ქართულად წავიკითხე,
იგრიალა ტაშმა მანამ, ვიდრე ისევ არ წამაკითხეს.

სადამოს დასასრულს მაიაკოვსკი გადამეხვია და წარმატებები მისურ-
ვა. ასე უბრალო და ადამიანური გულითადობის ძვირფასი თვისების
მქონე იყო ჩვენი დიდი თანადროულობის უდიდესი პოეტი — მაიაკოვსკი,
რომლის ბრწყინვალე ნაწარმოებები დღესაც ემსახურება მშრომელთა დი-
ად საქმეს — კომუნიზმის მშენებლობას.



მოგზაურობის ზანაღები

გამგზავრების წინ მოსკოვში თოვდა, აქ კი, სტამბოლში, სადაც ეს-
ეს არის ჩამოფრინდით, თითქმის ზაფხულის დღეა.

დღეს თოთხმეტი აპრილია.

ჩვენი ჯგუფი ქართველი და აზერბაიჯანელი მწერლებისაგან შედგება.
ყოველი ჩვენგანი პირველად მოხვდა თურქეთში.

პართალია, ეს ქვეყანა ჩვენს მეზობლადაა, მაგრამ მრავალი მიზეზის
გამო იგი დიდხანს შორს იყო ჩვენგან, ამიტომ მისი დღევანდელი სახე და
შინაარსი დიდ ინტერესს იწვევს, რადგან ბევრი რამ მაინც გვსმენია და
ვიცით თურქეთის წარსულისა და მისი თანამედროვე ვითარების შესახებ.

საბჭოთა მკითხველი დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს თანამედ-
როვე თურქი პროგრესული მწერლების ნაწარმოებებს. ბევრი მათგანი
თარგმნილია ქართულ ენაზეც. ჩვენ გვყავს პირადი მეგობრები თურქ მწე-
რალთა შორის, რომლებიც უკვე იყვნენ საქართველოში და ახლა ჩვენთან
შეხვედრას სიხარულით ელიან.

საბჭოთა ქვეყნის სამშვიდობო ინიციატივამ, ბოლოს და ბოლოს, თა-
ნაგრძნობა და გაგება გამოიწვია თურქეთის ხელმძღვანელთა შორისაც,
რომლებიც იძულებული გახდნენ ყური ეგდოთ თავისი ქვეყნის მშრომელ-
თა დიდი ხნის სურვილისათვის, — გამთბარიყო ჩვენს ხალხებს შორის
დამოკიდებულება. ამიერკავკასიის ორი მოძმე რესპუბლიკის ლიტერა-
ტორთა ჩამოსვლა მეზობელ თურქეთში, ამ საქმის კეთილნაყოფი-
ერ განვითარებასა და ხალხთა ურთიერთ ნდობას ემსახურება.

სტამბოლი ძალიან ლამაზი ქალაქია. ჯერ კიდევ ქველმა ბიზანტიელ-
ებმა მიანიჭეს მას მარადიული სიცოცხლის მიმზიდველობა. კონსტანტინე-
პოლში მათ დადგეს ბევრი ძეგლი და აღაშენეს ტაძარნი თუ სასახლენი,

რომელნიც დღესაც მშვენიერების უპირველეს ქმნილებებს წარმოადგენენ
ნაშუადღევს სასტუმრო „კენედიდან“ ქალაქის გასაცნობად გავდი-
ვართ. ქუჩაში გასვლისთანავე ფეხსაცმლის მწმენდავები დაგვდევენ და
იხვეწებიან ფეხსაცმელი გავიწმინდოთ. ყვავილების გამყიდველები კი სა-
განგებო თაიგულს კრავენ და პირდაპირ ხელში გვაჩრიან.

მივყვებით ქუჩებს. ახალი თანამედროვე შენობები ენაცვლება ძველს.
უამრავი მანქანების გვერდით ტვირთაკიდულ კაცებს ვხვდებით, მდიდრუ-
ლად ჩაცმულთა შორის ბევრია მათხოვარი. კონტრასტები ყველგან და
ყველაფერში იგრძნობა.

ჩვენი ავტობუსები აიასოფიასთან ჩერდება. აქ უცხოელთათვის უამ-
რავი სუვენირი იყიდება. ჩვეულებრივად მხოლოდ ბიჭები ვაჭრობენ. ავ-
ტობუსებიდან პირველი ჩამოვდივარ და ვიდრე ყველანი თავს მოიყრი-
დნენ, სუვენირებით მოვაჭრე ბიჭთან მივდივარ, — სტამბოლის ხელების
ფერად ფოტოებს ვათვალიერებ, ბიჭი კი სეტყვასავით მაყრის სიტყვებს,
მიქებს საქონელს და თავის მხრივ მეკითხება:

— სადაური ხართ?

— გურჯისტან... კავკასია... — ვეუბნები.

— ოო! გურჯისტან?

— რა იყო, ქართველი ხომ არა ხართ? — ვეკითხები.

— მე არა. — სწრაფად მეუბნება და ვილაცას ხმამაღლა ეძახის,
ჰამიზ! — უცებ მაღალი, შავგრემანი ბიჭი მოვარდა. გამყიდველი მეუბნება:

— აი, ეს გურჯია...

ახალმოსულს სახეზე სიწითლემ გადაჰკრა. ხელს ვართმევ და ქართუ-
ლად საუბარს ვუწყებ. იგი უარის ნიშნად თავს აქნევს და თურქულად
მპასუხობს.

— არ ვიცი ქართული. ბაბამ კარგად იცის. ნენეი ადრე მომიკვდა და
ქართული ვეღარ ვისწავლე.

— სადაური ხართ ნეტავი! — დავინტერესდი.

— შორს ყოფილა ჩვენი მემლექეთი. ბაბამ თქვა: იქ დიდი წყალიაო,
რიონი რქმევია სახელად. აი იქიდან ვყოფილვართ...

— კარგი, ჩემო ჰამიზ! — გულაჩუყებული ვეუბნები, ხელს ვართმევ
და ჩვენებს ტაძრის შესასვლელთან ვეწევი.

აიასოფიას გრანდიოზულობა, სილამაზე და არქიტექტურული სიმდი-
დრე პირველმხაველს მაშინვე ატყვევებს. თურქებს ეს ქრისტიანული სამ-
ყაროს ძეგლი თავისად გარდაუქმნიათ; ისლამურ ყაიდაზე მიუშენებიათ
მინარეთები, შიგნით მთავარი საკურთხეველი მექისაკენ შემოუბრუნებიათ.
ფრესკები და ნახატები გადაუღებავთ, ხოლო ეზოში საავდესე შადრევანი
გაუმართავთ. ლოცვის წინ ხელ-ფეხის განსაბანად შიგ. შესასვლელებში

მარმარილოს უზარმაზარი ორი ქოთანი დაუდვიათ. შემდეგ თურქეთის გამოჩენილ მოღვაწეს — მუსტაფა ქემალ-ფაშას (ათათურქს) აქ ლოცვა აუკრძალავს. აიასოფიას იმ დღიდან მუზეუმის სახე მიუღია. თურქი ოსტატები ცდილან ტაძრის პირველყოფილი მოხატულობანი აღედგინათ. თუმცა კიდევ ბევრი ჭეშმარიტი ქმნილება ბიზანტიური ფერწერისა უხეირო საღებავქვეშ იმალება, მაგრამ ტაძრის ხილვა მაინც გაცუებასა და აღტაცებას იწვევს.

იქვე ქუჩის გადაღმა დგას სულთან ახმედის მიერ აგებული ეგრეთწოდებულ ცისფერი მეჩეთი. მას აშკარად ეტყობა აიასოფიას არქიტექტურული გავლენა. ამ ჯამეში ოცი ათასი მორწმუნე ერთდროულად ლოცულობს.

სალამოს ჩვენთან სასტუმროში მოვიდნენ ცნობილი მწერლები და ხელოვნების მუშაკები: აზიზ ნესინი, ილხან თანერი, ჯენგიზ თიუნჯერი და თეატრალური კრიტიკოსი ჰაიათ ასილიაზიჯი. ჩვენს შორის გულითადი საუბარი გაიმართა.

მეორე დღე სტამბოლის ღირშესანიშნაობათა გაცნობას დაეთმო. დიდხანს დავრჩით სულთანთა სასახლეში, რომელსაც „თოფ-ყაფის“ ეძახიან.

ძნელია ჩამოთვალო და აღწერო ამ სასახლის დარბაზებში გამოფენილი ზღაპრული სიმდიდრე: თვალმარგალიტი, სამკაულები, სულთანთა და ხანუმთა ძვირფასი სამოსები, 320-ოთახიანი ჰარემის მოწყობილობა, პარკებისა და შადრევნების სილამაზე... აქ იხილავთ სპარსულ და ინდურ ნახელავს, ჩინურ ფაიფურსა და ქსოვილს, არაბულ ხალაჩებსა და ნუსხადებს (წიგნებს), ოქროს ტახტებს, სპილოს ძვლის ნაკეთობებს, სულთან ახმედ მეორის ოქროს აკვანს, რომელიც ათი ათასი მარგალიტითაა მოოჭვილი; აქაა მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული ოქროს ტახტი, რომელიც აურაცხელი თვალმარგალიტითაა შემკული. ეს ტახტი სპარსეთის შაჰს ეკუთვნოდა.

ვნახეთ ჰარემიდან ბაღზე გადმომდგარი ის მყუდრო აივანი, სადაც სალამოობით სულთანს თავის რომელიმე ცოლთან ერთად განმარტოება უყვარდა. ისინი ყვავილების წალკოტს გადასცქეროდნენ, სადაც კუ ზურგზე ანთებული სანთლებით დადიოდა.

წარუშლელი შთაბეჭდილებებით ვბრუნდებით სასტუმროში.

აქ გვხვდებიან სტამბოლელი ქართველები.

მეორე სალამოს ერთი მათგანი მთელ ჯგუფს ბოსფორზე სავახშმოდ

ეპატიუება. მალე სუფრა ქართულ ყაიდაზე იშლება ნელნელა ლექსების კითხვაში გადადის. პოეტები საუკეთესო ლექსებს კითხულობენ. კარლო კალაძე იწყებს ქართულ ბუნების ხოტბას. არჩილ სულაკაური სევდიანი, გაბზარული ხმით წარმოთქვამს ლექსს „გონიოს ციხეზე“. გივი გოგიჩაიშვილი იგონებს თავის მამას, რომელიც ორმოცი წლის წინათ აჭარაში მასწავლებლად მუშაობდა და მუსლიმან თანამემამულეებს ქართულ წარა-კითხვას ასწავლიდა. იგი შთამბეჭდავად კითხულობს ერთ ცნობილ ლექსს: „ქართლ-კახეთი, იმერეთი, აჭარა და იმერხევი...“ ალექსანდრე გომიაშვილი იხსენებს თავის „ადგილის დედას“, მე სტამბოლიდან ისევ თბილისს ვესიყვარულები, ხოლო ბესო ჟღენტი ჩვეული ორატორული სიტყვით აჯამებს ჩვენს ნაფიქრალს.

მეორე დღეს ცნობილი ზღვის ყურეს „ოქროს რქას“ ბორანით ვსვრავთ, ბოსფორში გავლით მივდივართ მარმარილოს ზღვაში და იქ ე. წ. დიდ კუნძულზე ერთ-ერთ რესტორანში ვსადილობთ.

ისლამური მუზეუმი, რომელიც მეორე დღეს დავათვალიერეთ, ბნელი, ჩუმი და ნაღვლიანი მეჩვენა. ვნახეთ „ყურანის“ მრავალი გამოცემა. საინტერესო იყო დიდი ფორმატის ფურცლებზე ნაწერი არაბული ტექსტი, რომელსაც ოქროს თავსამკაულები ამშვენებდნენ. ჩემი ყურადღება მიიქცია კუთხეში მაღალ თაროზე შემოდებულია სპილენძის სურამ, რომლის ქვეშ გაჭირვებით ამოვიკითხე „მამელუკის წყლის ჭურჭელი“.

მამელუკის? რამდენი მოგონება, ტკივილი და ერთგვარი სიამაყეც კი გეუფლება ქართველ კაცს. ამ სიტყვის გაგონებაზე. ეგვიპტის პატრონი მამელუკები, წარმოშობით ქართველები, ხშირად ებრძოდნენ თურქ მომხდურებს და სასახლო გამირობასაც იჩენდნენ. ვინ იცის, რომელ მოკლულ მამელუკს ეკუთვნოდა ეს ჭურჭელი!

თავისუფალ დროს სტამბოლის განთქმულ დიდ ბაზარში მივდივართ. იგი მინიატურული სავაჭრო ქალაქია. აქ ყველაფერს ნახავ და ყველა ჯურის კაცს შეხვდები. აქ ჩამოყავდათ იმ წყეულ დროში მოტაცებული ქართველი ქალ-ვაჟები და ჰყიდდნენ. ყველაფერს ხარბად ვაკვირდები. თუ ფასს გიკლში შეიხედე, ჰნელია, გამყიდველი მოიცილო. გევაჭრება, გეხვეწება, ააა გიკლებს, საქონელს გიქებს, ბოლოს შენი სადაურობითაც ინტერესდება.

ბურსაში გამგზავრების ქამიც მოახლოვდა. ადრე დილით ჩვენი ტობუსი ბორანზე აჰყავთ, რომელმაც ბოსფორი უნდა გადაკვეთოს და გადმა ნაპირზე ქალაქის აზიურ ნაწილში, უსკიუდარში, უნდა გადაგვიყვანოს. ამდენ ფუსფუსსა და ყრიამულში ჩვენი ქართული სიტყვაც გაისმის... ვიღაცა მალულად გვითვალთვალებს... ჩვენს ახლოს გაუბედავად ჩერდება... იგი მაღალი პირხმელი მოხუცია. მას დიდი, ნაღვლიანი თვალები აქვს და თითქმის ძალიან ნაცნობი სახე. რადგან შეუნიშნავი არ დაგვჩა მისი მორიდებული მზერა, — ბედავს:

— ჩვენებურები ყოფილხართ... ჩვენ გურჯები ვართ! — და ორ ახალგაზრდას ახლოს იწვევს. ვესალმებით. ხელს ვართმევთ, კარგი ქართულით გველაპარაკება ბერიკაცი, ხოლო ერთ ჭაბუკს, მორცხვად რომ გამდგარა გვერდზე და შორიდან გვიღიმის, ეტყობა უჭირს ქართულად საუბარი.

— როგორა ხართ, როგორ ცხოვრობთ?! — ვეკითხებით.

— აჰა, იშტა, ასე არ გვიშავს! — იქ მამლექეთში ქართველობა ხომ არის მაგრად? — კითხულობს თავის მხრივ მოხუცი. ყველანი ერთხმად ვუდასტურებთ და ვჩქარობთ გემზე ასვლას.

— იყავით, მაგრად იყავით! — მოგვცახის მოხუცი.

* * *

„ესენი ძველი მუჰაჯირები არიან. — ვფიქრობ ჩემთვის მეორე ბორანზე, რომლითაც უკვე იზმირის ყურეს გადავდივართ. — ისინი დაბნეულნი და დამფრთხალნი ისტორიის უკუღმართობამ ბედის საძებნელად აქ გაღმოტყორცნა...

თანდათან ხშირდება ზეთისხილის ტყეები, გორაკები, ტბები და მდინარეები. ალაგ-ალაგ ძველი ნანგრევებიც შეინიშნება. თანდათან ცოცხლდება მოგონებებში ანტიკური მითები. დიახ, ამ ადგილებში ძველი ანტიკური სამყარო ჰყვავდა...

აი მინდვრები თავდება და... მთის მიღწერდებაზე შეფენილი ქალაქი თანდათან გვიახლოვდება.

ბურსაში შევდივართ.

ამ ქალაქის სახელი ხშირად საპყრობილეს მომავგონებს...

ეს ალბათ იქიდან დამჩემდა, რომ ნაზიმ ჰიქმეთი თოთხმეტი წელი აქაურ ციხეში იჯდა. ასეთი ეპიზოდიც მახსენდება: 1949 წელს ნაზიმმა ბურსას ციხეში პროტესტის ნიშნად შიმშილობა გამოაცხადა. მთელი მსოფლიო მწვავედ განიცდიდა პოეტის ბედს. იმ ხანებში მოსკოვის გაზეთმა დაბეჭდა ჰიქმეთის ლექსი „შიმშილობის მეხუთე დღე“, რომელიც მე ქართულად ვთარგმნე და „საბჭოთა აჭარის“ მეშვეობით ჩვენს მკითხველს გავაცანი. ქვეშ ეწერა „ბურსას ციხე“. მაგრამ ახლა მე სულ სხვა რამე მაღელვებს...

ბურსას მახლობლად, დიდი ხნის გადმოხვეწილი ჩემი მამიდა ცხოვრობდა, რომელიც არ მინახავს არასოდეს. მამიდას სტამბოლიდან ღია ბარათი გაუგზავნე, ამა და ამ დღეს ბურსაში ვიქნებით-მეთქი.

მიიღო თუ არა ბარათი? შეძლებს თუ არა ჩამოსვლას? შევხვდებით თუ არა ერთმანეთს?..

სასტუმროს წინ, სადაც ჩვენ უნდა დავბანაკდეთ, ბურსელი ქართველების ჯგუფი შეყრილა.

— აქედან არც ისე შორსაა სოფლები, სადაც მხოლოდ ჩვენებურები ქართველები ცხოვრობენ. თუ დრო და სურვილი გექნებათ: — გვთავაზობენ ჩვენი არაოფიციალური მასპინძლები, — წავიდეთ, რომელიმე სოფელში გლეხებს ძალიან გაეხარდებათ!

ჩვენ სიამოვნებით ვთანხმდებით.

მანქანაში ჩასხდომისას შორს ქვაფენილზე ჩვენსკენ მომავალ მოხუც ქალს რატომღაც ვაკვირდები. იგი გაჭირვებით მოიჩქარის, გაშლილ ხელებს იქნევს და თეთრ ლეჩაქს აფრიალებს... კარს ვაღებ და ძირს ჩამოვდივარ...

უნებურად მიღელავს გული — ეს ნამდვილად მამიდაჩემია — ვამბობ და შესახვედრად მივდივარ. იგი უეცრად ჩერდება, თვალებს ხელით იჩრდილავს და შეშინებული მაკვირდება...

მე ახლოს მივდივარ და უსიტყვოდ ვეხვევი...

სავალალოდ მძიმეა ბედი ასეთი ადამიანისა... სახეზე თითქოს განვლილ-განცდილის კვალი დაჩენია. ღიმილი. სადღაც შორეულ წარსულში დაკარგვია... ტუჩები უცაცხაბებს და ცხელ ხელს ხელზე მიჭერს...

* * *

ჩვენი გზა იზმირისაკენ მიდის.

ალიონზე ვემშვიდობებით ბურსას. ქალაქის შუაგულში მიმავალი ავტობუსიდან ვილაცამ სარკმელში გამახედა. ქუჩის გადაღმა მოთეთრო სახურავზე საგუშაგო კოშკით შენობა დავინახე.

მალე მშვენიერი, მწვანიანი ველები იშლება. ისევ ზეთისხილის ტყეები, ალაგ-ალაგ ისევ — ანტიკურ ნანგრევთა ნარჩენები.

შუადღისას ეგეოსის პირას პატარა ქალაქ აივალუქში ცოტახნით ვჩერდებით. ზღვაზე გადამდგარი რესტორნის მეპატრონე, ახალგაზრდა შავგრემანი კაცი, ჭერში ჩამოკიდებულ ბადეებიდან ხალისით იღებს ზღვის უცნაურ ბინადართა ფიტულებს და დაინტერესებულ თანამგზავრებს სახსოვრად აძლევს.

ანტიკური ქალაქის პერგამის ნანგრევებმსაკენ მივდივართ.

პირველი ციხე-სიმაგრე აქ სპარსელ მეომრებს გაუშენებიათ მე-7 საუკუნეში ჩვენს ერამდე. შემდეგ ბერძნები მოსულან, ხოლო შორეულ ლაშ-

ქრობაში მიმავალ ალექსანდრე მაკედონელს აქ სამასი ათასი ოქროს მონეტა დაუტოვებია, რომლითაც მესამე საუკუნეში ჩვენს ერამდე ვიღაც ბერძენ მხედართმთავარს ქალაქის გაშენება დაუწყია. პირველად პეროკონოსი რქმევია, ხოლო როცა აქაურებს ეგვიპტელებმა პაპირუსი აღარ მიაწოდეს და პერკონელებმა თავის მიერ აღმოჩენილ საწერ ფურცლებს პერგამენტი უწოდეს, ქალაქსაც პერგამი ეწოდა.

ნანგრევთა დათვალიერებისას დაკვირვებული კაცი მიხვდება რამდენად გრანდიოზული იქნებოდა ქალაქი.

ფერდობზე, ამ ცოტა ხნის წინათ გათხრები ჩაუტარებიათ დიდელი დროის ერთ-ერთი პირველი საავადმყოფო აღმოუჩენიათ. სწორედ აქ დაბადებულა მაშინ მსოფლიოში ახლაც არსებული სამედიცინო ემბლემა — მაღალი წვრილფეხა თასი ზედშემოხვეული გველით.

* * *

იზმირს ღამით ვესტუმრეთ, ხოლო დილით პირდაპირ მეორე ანტიკურ ქალაქ ეფესისკენ მივდივართ. იგი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულში აშენებულა. აქ იყო მსოფლიოს ერთ-ერთი შვიდ საოცრებათაგანი — არტემიდას ტაძარი. მხოლოდ მისი კედლებიდან ახლა ჩამონატეხებილა დარჩენილა. შენობა კი მე-16 საუკუნეში ვიღაც გერმანელს დაუშლია და გაუზიდა. ნაყოფიერების ქალღმერთის არტემიდას დიდებული ქანდაკება კი როგორღაც გადარჩენილა. ახლა იგი სპეციალურად ცალკე აშენებულ მუზეუმის შესასვლელში დგას.

ქალაქის ძველი ქუჩათა ქვაფენილები შემორჩენილან. კარგად გადარჩენილა ელინური თეატრიც, რომელიც შემდეგ რომაელებს თავის სტილზე გადაუკეთებიათ.

აქედან ჩვენი ავტობუსი მიხვეულ-მოხვეული გზით მთაზე აღის. იქ, მაღლა ე. წ. სელჯუკის მთაზე, წმინდა მარიამის სახლია. გადმოცემით თითქოს აქ გაუტარებია ღვთისმშობელ მარიამს თავისი სიცოცხლის ბოლო ხანი. რომის პაპის ბრძანებით 1966 წელს ეს მთა წმიდა ადგილად იქნა გამოცხადებული. ამიტომ ახლა აქ რომელ ქვეყნიდან არ მოდის მნახველი, რელიგიის ფანატიკოსები ფულსა და ენერგიას არ იშურებენ, რათა ინახულონ ეს წმიდა ადგილი.

გორაკის ძირში მიდგმულ პატარა ქვის ეკლესიაში, სადაც თითქოს

მარიამი ღოცულობდა, ერთხელ შესვლა და პირველის გადაწერა მათი
ვის დიდ მოვლენად ითვლება, ხოლო იქვე მოჩუხჩუხე წმიდა წყაროსაც
თუ დაღევ; ყოველი სენისაგან უმალ განიკურნები შიგნით კედელზე მიწ-
ყობილი უამრავი ყავარჯენი ვნახეთ. თითქოს აქ განკურნებულ ხეა-
რებს დაუტოვებიათ.

საღამო და მეორე დილა თვით ქალაქ იზმირის დათვალიერებას და-
ეთმო. გურჯის ხსენებაზე ბევრი იზმირელი კმაყოფილებით იგონებს ლა-
მას და მდიდარ საქართველოს პავილიონს, რომელიც ამ რამდენიმე წლის
წინათ აქ იყო გამართული. ისინი მოუთმენლად მოელიან ახალ ქართულ
პავილიონს.

იზმირიდან ანკარამდე გზას ათი საათი მიაქვს.

შუადღისას ქალაქ აფიონში ვჩერდებით. ქალაქიდან მოჩანს გარეუ-
ბანში მდგარი ძალიან მაღალი მუქწითელი ფერის კლდე, რომლის წვერ-
ზე გორიზად აღმართულა ძველისძველი ასურული ციხე-კოშკი.

ანატოლიის სოფლები, ყვითელი თიხის თუ აგურის დაბალი სახლე-
ბით, ტიალი ეზოებით, ცხვრის ფარებით და თეთრნაბდიანი მწყემსებით
ნელა მოცურავენ უკან...

მწვანე ჯეჯილები კლებულობს. ალპიურ საძოვრებს გადავდივართ.
ქოროღლის უღელტეხილზე თოვს, მაღლე აღმოსავლეთის ფერდობებით
ბარში ვეშვებით და რამდენიმე საათის სიარულის შემდეგ მოწყენილად
გვხვდება წვიმიანი ანკარა.

სწორი და ფართო ქუჩები თანამედროვე შენობებით უმაღლესე
ცნობს, რომ ქალაქი ახალგაზრდაა, თუმცა ამტკიცებენ, რომ უხსოვარი
დროიდან აქ ქალაქი არსებულა.

ჩვენ ყველაზე მეტად გვაინტერესებს განთქმული ხეთური მუზეუმის
დათვალიერება.

ეს უძველესი დიდი ხეთური ციცილიზაცია დღევანდელ თურქებს თა-
ვისი პირდაპირი წინაპრების კულტურად მიაჩნიათ.

სხვათაშორის სასტუმროს ვესტიბულში შეხვდები პლაკატს, რომელ-
ზეც ესა თუ ის ძველი ხეთური ძეგლია დახატული. ქვეშ კი დიდი ასოე-
ბით წერია: — თურქული ხელოვნება რვა ათასი წლისაა.

მეორე დღეს ათათურქის ცნობილ მავზოლეუმს ვნახულობთ. იქ თუ-

რქეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის მუზეუმში, სხვათაშორის, ჩვენს ყურადღებას იქცევს ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის დამყარებული მეგობრული ურთიერთობისადმი მიძღვნილი ექსპონატები.

საპატიო ადგილას ჩამოკიდებულია ქემალ ათათურქისათვის ნაჩუქარი კალინინის, ვოროშილოვისა და ბუდიონის ფოტოსურათები.

საქმეში ჩახედული და კეთილგანწყობილი თურქები ჩვენთან საუბრებში ხშირად კმაყოფილებით იგონებენ ხოლმე ჩვენს ორ ქვეყანას შორის არსებულ ნაყოფიერ მეგობრობას და იმედით შეჰყურებენ ურთიერთობის დღევანდელ სასიკეთო გამოცოცხლებას.

სტამბოლისაკენ მიმავალნი ადაბაზართან მიახლოებისას გზის ორივე მხარეზე ვამჩნევთ ნაცნობ პეიზაჟებს, რომელიც გვაოცებს ჩვენებური ეზო-კართა და ბაღა-ბოსტნებით. ალაგ-ალაგ ვხედავთ, — ღარიან წიქვლებს, — ჩვენსავით გამართულ თუთუნის საშრობებს, — სახლებს...

ამ ცნობისმოყვარეობას თურქი გიდი ერდენიც ამჩნევს და მოულოდნელად საზეიმოდ აცხადებს: აქ ამ რაიონებში მრავალი გურჯი ცხოვრობს!

სტამბოლში სასტუმრო „კენედის“ ჰოლში გველოდებიან: აზიზ ნესინი, ჰაიათ ასილიაზიჯი და ჯენგიზ თიუნჯერი — ჩვენი აქ ყოფნის ბოლო საღამოა და თურქ მწერლებს ქართველი მეგობრებისათვის სხვადასხვა სახსოვარი მოუტანიათ.

სტამბოლში მცხოვრებ თანამემამულეებს მოუსურვებიათ ჩვენთან შეხვედრა და ისინიც გველოდებოდნენ. სამწუხაროდ ერთსადიმავე დროს ხდება გაცნობაც და დამშვიდობებაც... ვილაცამ გვერდზე მომწია და მაღალი ჭადაროსანი კაცი წარმომიდგინა — ეს თურქეთის პირველი მხატვარი — ბაღბანია! ეს სახელი „ინოსტრანაია ლიტერატურიდან“ მახსოვს, სადაც ამ ნიჭიერი თვითმყოფადი მხატვრის ნახატები დაიბეჭდა. იგი ნაზიმ ჰიქმეთის ქველი მეგობარია: ერთად ისხდნენ ბურსას ციხეში. მე, როგორც ბათუმელს, სადაც მისი მეგობარი ნაზიმი პირველად ეზიარა ახალ სამყაროს, მაჩუქა მის მიერ დახატული ჰიქმეთის პორტრეტი წარწერით.

გამომგზავრების დღეს, ადრე დილით, კარლო კალაძე, იოსებ ნონე-შვილი და მე მივდივართ სტამბოლის ცენტრთან ახლო მდებარე ქართულ

კათოლიკურ ეკლესიაში. აქ მოხუცი მღვდელი, ჩვენი ვინაობის გაგების შემდეგ, ერთგვარი ყოყმანითა და შიშით შეგვიძღვა მყუდრო ნანევრად ჩაბნელებულ ოთახებსა და სათავსოებში, სადაც მრავალ სურათსა და წიგნებში საქართველოა წარმოდგენილი. მაგიდაზეა ქართველი შვილის გამოკმული „ვეფხისტყაოსანი“, კედელზე შ. რუსთაველის. ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და მრავალ ქართველ სასულიერო მოღვაწეთა პორტრეტები ჰკიდია.

მოხუცი მასპინძელი ბოდის იხდის და ერთი წუთით გვტოვებს. იგი მალე ბრუნდება. ძლივს შემოაქვს მძიმე სქელუდიანი წიგნები, მაგიდაზე დებს და სასოებით გვამცნობს:

— ეს სულხან-საბას ხელნაწერი დედნებია. „მოგზაურობა ევროპაში“ და „ლექსიკონი ქართული“

თვითელი ჩვენგანი მოკრძალებითა და ბედნიერების განცდით ეხება სულხან-საბას სასოებით ნაწერ ფურცლებს...


ეს წუთები ჩვენი მოგზაურობის შთაბეჭდილებათა ნამდვილი გვირგვინი იყო. უნდა ითქვას, თურქეთში მოგზაურობამ დაუვიწყარი და ღრმა შთაბეჭდილებებით დამაჯილდოვა. ეს ქვეყანა ბუნებრივად ძალიან ლამაზი და მდიდარია, მას უთუოდ თავისი საკუთარი კოლორიტი, საკუთარი სახე და განვითარების გზა აქვს, მაგრამ სამწუხაროდ, აქ ყოველ ნაბიჯზე თვალში გვცემა ამერიკული გავლენები. კოკა-კოლას და პეპსი-კოლას ვეება რეკლამები, ამერიკულ ავტომობილები, ამერიკული კინოფილმები, საღეჭი რეზინა — საკმარისია ამის დასადასტურებლად. თვით მუსიკაც კი, რომელსაც რესტორნებში გაიგონებთ, ამერიკული მოდური ჯაზებიდან მოდის.

მაგონდება იზმირში, სასტუმროს რესტორანში, სადაც ჩვენ ვივახშმეთ, ახალგაზრდა თურქი ავტომატურ მუსიკალურ სკივრთან მივიდა და სიაში დიდხანს რაღაც ეძებდა. მერე გაჯავრებით ხელი ჩაიქნია და უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა: — დასწყევლოს ღმერთმა სულ ამერიკულია, ერთ თურქულ სიმღერას ვერ მოისმენ!

საუბარში ხშირად გაიგონებთ ხოლმე ჩივილს სკოლებისა და მასწავლებლების უკმარობაზე სოფლად, ექიმების სიმცირეზე... ეს იმიტომ ხდებაო, ასკენიან, ოთხი ახლადდამთავრებული თურქი ექიმიდან, სამი ამერიკაში მიდის სამუშაოდ.

ხალხს სრული დამოუკიდებლობა, თავისუფლება, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის გაუმჯობესება და მეგობრობის განმტკიცება გულისხმობდა. ეს სურვილი დღევანდელი თურქეთის მთავარი ძალაა. ჩვენც ერთი დიდი სურვილი წამოვიდეთ სამშობლოში, — იყოს კეთილი მეზობლობა და ურთიერთნდობა საბჭოთა და თურქ ხალხებს შორის!

იყოს მშვიდობა ყველგან!





ი. რურუა — ნავო, იალქნაი	
(მოთხრობა)	3
ჯ. ჯაყელი — ლექსები	12
ნ. კილასონია — ლექსები	15
ნ. ჩხიძე — წიგნიანი ლაშქ	
(მოთხრობა)	17
ო. კუპრაძე — ლექსები	22
ნ. გვარამაძე — ლექსები	24
ლ. სეიდოშვილი — ბუნობა	
(ლექსი)	27

ზღვა და ადამიანები

ჯ. გვარამაძე — მეზღვაური	
ნაპირზე დარჩა (ნარკვევი)	30

დედის ბოგნა

ნალური ლექსები და ანდაზები	34
შეკრებილი ჩვენი კუთხის სიტყვები	37
ფ. სიმონიძე — მოთხრობები	
(თარგმან უკრაინულიდან ნ. ვერძაძე)	40
ო. შალამაძე — ეკატერინე	
ჭავჭავაძის ბარათი (ლექსი)	45
ი. მელია — (ლექსები)	48

ამაგდარი ქალაქი

ს. ჯინჭარაძე — ყვავილების უანგარო მსახური	49
---	----

აპარის წარსულიდან

ა. ინაიშვილი — აპარის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიიდან	52
ი. ბეჰიშვილი — პირველი ტორპედოს გამოყენება	64

კრიტიკა და კუმულიციონიზმი

ო. შარაიშვილი — მ. შოლოხოვის უცხოურ კრიტიკაში	66
ბ. ჭაღმაძე — „ქალის ტვირთის“ ფოლკლორული წყაროები	71
ი. ლეჟინა — რევოლუციური რომანტიკის ბათოსით	75
ნ. სენკირაძე — როგორ იჭედებოდა მენავთობეთა ძმობა	78

მოგონებანი

ბ. ქიქოძე — შეხვედრა ვლადიმერ მაიაკოვსკთან	81
ფ. ხალვაში — მოგზაურის ჩანაწერი	85

რედაქტორი ნანა გვარამაძე.

სარედაქციო კოლეგია:

ბ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ/მგ. მდივანი), პ. ლორია, ალ. ჩავჭავჭავაძე, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72.

ხელმოწერილია დასაბუჯდად 2/IX 1968 წ. საბუჯდი 6, საგამომცემლო 5 თაბახი, შეკვეთის № 3203 ემ 00597, ქალაქის ზომა 60×90, ტირაჟი 1800.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარბოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9 (ლექსებმუხრის. 22).

აპარის შუბრულ-გაზეთების გამომცემლობა

3560 40 353.

3.2/124.

საქართველოს
საბჭოთაო კავშირი

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„Литератури Аджара“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ИНДЕКС 78118